

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

დავით ციციშვილი

*პოლიტიკურ ელიტათა ცვლა პოსტ-საბჭოთა საქართველოში*

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სოციოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად წარდგენილი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: იაგო კაჭკაჭიშვილი,  
(თსუ, სრული პროფესორი, სოციოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი)

თბილისი  
2011 წელი

## სარჩევი:

<b>შ ე ს ა ვ ა ლ ი</b> - - - - -	2
<b>I ტაშო ელიტათა თეორია (თეორიული მიმოსილვა)</b> - - - - -	5
<b>II ტაშო - საქართველოს ელიტა - პოლიტიკა და მისი შედეგები</b> (ისტორიული კონტექსტი) - - - - -	18
<b>III ტაშო მეთოდოლოგია</b> - - - - -	24
<b>IV ტაშო პოლიტიკური ელიტები: ცვლილებები, მოქმედებები და ქსელები</b> (კვლევის შედეგები 2007 წლისთვის, სამი ძირითადი ინტერვალი: 90-იანებიდან ვარდების რევოლუციამდე, ვარდების რევოლუციიდან ახალი ელიტის მიმართ საზოგადოებაში პროტესტის გაჩენის პერიოდი 2007წ. და 2007წლის შემდგომ) - - - - -	27
<b>V ტაშო - ქართული პოლიტიკური ელიტის ფორმაცია</b> (ემპირიული ნაწილი - 2007 წლის 7 ნოემბრის, 2008 წ. არჩევნების, 2008 წ. საომარი მდგომარეობის, 2010 წლის ადგილობრივი არჩევნების შედეგად)- - - - -	49
<b>შეჯამება, დასკვნები</b> - - - - -	88
<b>დანართები</b> - - - - -	91
<b>ბიბლიოგრაფია</b> - - - - -	109

## შ ე ს ა მ ა ლ ი

წინამდებარე კვლევა ფოკუსირებულია საქართველოს მაგალითზე, ქვეყნისა რომელსაც გააჩნია განსაკუთრებული ტრანსფორმაციის ისტორია კავკასიის რეგიონში და ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს შორის, ამავე დროს გააჩნია გარკვეული მსგავსი მაგალითები ელიტათა ჩამოყალიბებაში, რაც კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდა საქართველოს და უკრაინის მშვიდობიანი რევოლუციების შემდგომ. 1989 წლიდან დღემდე პერიოდის მიმოხლვით, განსაკუთრებულად 2003 წლის ნოემბრის “ ვარდების რევოლუციის “ ხაზგასმით, კვლევაში განხილულია სიტუაცია საქართველოში ელიტებთან მიმართებაში.

80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში, საბჭოთა კავშირის დაშლისას გამოჩნდა ახლად ჩამოყალიბებული სახელმწიფოები; ახალი ძალები მოექცნენ მმართველობის სადავეებთან ამ ქვეყნებში და მათი ახალი წყობა სხვადასხვა მიმართულებით წარიმართა. ამ ქვეყნებში სხვადასხვა “საწყისი” პირობების და გარემოებების შედეგად განსხვავებული სოციალური სტრუქტურები და სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის განსხვავებული ურთიერთობები განვითარდა.

ძირითადი ცნება ამ კვლევაში არის “ელიტა”. ელიტათა თეორიის დამფუძნებლების, ვილფრედო პარეტოს, გაეტანო მოსკას და რობერტ მიხელსის მიერ ელიტად მიიჩნევა ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც მართავენ სახელმწიფოს და აქვთ მისი მართვის არაპროპორციული რესურსები. ტერმინები, რომლებიც განსაზღვრავენ ასეთ რესურსებს განსხვავდება, მაგრამ მათ საერთო აქვთ ერთი რამ: ასეთ სისტემებში უმცირესობა მართავს მასებს, დემოკრატიული სისტემის შემთხვევაშიც კი (შუმპეტერი 1942). საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩამოყალიბებული სახელმწიფოების თანამედროვე კვლევებში როგორცაა ივან სხელენის “კაპიტალიზმის შენება კაპიტალისტების გარეშე” და ჯონ ჰიგლის “ელიტა სოციალიზმის შემდეგ” ყურადღება მახვილდება ელიტის რეპროდუქციის თეორიაზე.

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ პროტესტით გამოსვლის (1989 წელს) და საბჭოთა კავშირის დაშლის (1991) შემდეგ პირველი ეროვნული არჩევნები

ჩატარდა საქართველოში, რომელშიც პარტიამ “მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო-მ” გაიმარჯვა და ზვიად გამსახურდია გახდა პრეზიდენტი. ამას მოჰყვა 1991-1995 წლებში ორი ეთნიკური ომი აფხაზეთსა და ოსეთში და სამოქალაქო ომი. 1992 წელს ედუარდ შევარდნაძე გახდა პარტიის “მოქალაქეთა კავშირის” ლიდერი და 1995 წლიდან ვარდების რევოლუციამდე იყო საქართველოს პრეზიდენტი. 2003 წლის ნოემბერში ხელისუფლების სათავეში ნაციონალისტური პარტია მოვიდა და ახალგაზრდა მიხეილ სააკაშვილმა მოიგო 2004 წლის თებერვლის საპრეზიდენტო არჩევნები მოსახლეობის უმრავლესობის (90%) მხარდაჭერით.

დღესდღეისობით საქართველოს მოსახლეობის და უცხოელი სპეციალისტების ყურადღება მიპყრობილია მიხეილ სააკაშვილის სახელისუფლებო გუნდის მიმართ. წინამდებარე კვლევაში გაანალიზებულია ცვლილებები, რომლებიც მოხდა ყველაზე უფრო გავლენიან ელიტებში. კვლევის ძირითადი ნაწილი ეთმობა მმართველი ელიტის შედარებას ვარდების რევოლუციამდე და რევოლუციის შემდეგ. მოხდა თუ არა ფუნდამენტური ცვლილებები? არის თუ არა ახალი გუნდი ნამდვილად “ახალი”? კვლევის მიზანია მოიძებნოს კავშირი “ძველ” და “ახალ” მმართველობის ტიპებს შორის და გაეცეს პასუხი კითხვებს: არის თუ არა ახალი მმართველობის სისტემა “ძველის” მემკვიდრეობა? რა არის ახალი სისტემის მახასიათებლები?

ჩემი აზრით, “რევოლუციის” შედეგად ხელისუფლება მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ძველისგან. სახელისუფლებო გუნდის ზოგიერთი წევრი ხელისუფლებაში იყო ძველი მმართველობის დროსაც. რაც შეეხება, ახალ სახეებს მათ მჭიდრო კავშირი აქვთ ძველი მთავრობის წევრებთან. ეს ნიშნავს რომ ქვეყნის პოლიტიკა დიდად არ შეცვლილა, პატარა ჯგუფებს რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციებიდან არიან და აქტიურად აპროტესტებენ ძველ სისტემას არ შეუძლიათ სიტუაციის შეცვლა. საქართველოში ამ სფეროში მთელი რიგი წამყვანი ექსპერტების აზრით სწორედ ასეთი სიტუაცია შეიქმნა რევოლუციის შემდგომ.

კვლევისთვის მე გადავწყვიტე გამეანალიზებინა ისეთი პუნქტები, როგორცაა წარმოშობა (კავშირები, სისტემა) და პოლიტიკა (მოქმედება) და ყურადღება გამემახვილებინა კავშირზე ახალ და ძველ მმართველ ელიტას შორის, მათ გამორჩეულ და აქტიურ წევრებზე და მნიშვნელოვან პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე. ამისათვის ერთმანეთს შევადარე სიტუაცია ვარდების

რეკოლუციამდე და რეკოლუციის შემდეგ და გამოვიყენე კომპეტენტური ექსპერტების მოსაზრებები. მე შევისწავლე მმართველი გუნდის ფორმაციისა და ტრანსფორმაციის პროცესი და გავაანალიზე ინტერვიუები, როგორც პოლიტიკური უმრავლესობის წარმომადგენლების, ასევე უმცირესობის, არასამთავრობო ორგანიზაციების წევრების და ექსპერტების ინტერვიუები. კვლევისათვის გამოყენებულია მასალები და ინტერვიუები, რომლებიც შეგროვებულ იქნა რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოში მნიშვნელოვანი სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების და ელიტათა ცვლის პერიოდებში: 2003 წელს ვარდების რეკოლუციამდე, 2005-2006 წლებში ვარდების რეკოლუციის შემდეგ, 2008 წელს (2007 წლის ნოემბრის მოვლენების, რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების, 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების, აგვისტოს მოვლენების შემდეგ) და ასევე მიმდინარე მდგომარეობით 2010 წლის ადგილობრივი არჩევნების შემდგომ და 2011 წლის დასაწყისში.

კვლევა შედგება ხუთი თავისგან. პირველ თავში განხილულია კლასიკოსებისა და თანამედროვე მკვლევარების მიერ ჩამოყალიბებული თეორიები ელიტებზე, ელიტათა თეორიის განვითარების ეტაპები დასავლეთში, აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნების მთავრობების თანამედროვე კვლევები.

მეორე თავში აღწერილია საქართველოში მმართველი ელიტების ჩამოყალიბების პროცესი. ეს მოიცავს პერიოდს საბჭოთა კავშირის დაშლიდან დღემდე.

მესამე თავში განხილულია კვლევის მეთოდოლოგია, ხოლო

მეოთხე და მეხუთე თავში მოცემულია კვლევის ანალიზი, შეჯამებულია ინტერვიუები, და სხვა დამხმარე მასალა და მოცემულია შედეგები ორი პერიოდის გამოყოფით: ვარდების რეკოლუციის შემდგომი პერიოდი 2008 წლისთვის და შემდგომ, როდესაც აშკარა გახდა პროტესტის ზრდა საზოგადოებაში ახლად მოსული ელიტების მიმართ.

ბოლოს კი, მოცემულია დასკვნები და კომენტარები კვლევის შედეგებიდან გამომდინარე.

## I ო ა ზ ო

### ელიტათა თეორია

წინამდებარე კვლევა ემყარება “ელიტის” კონცეფციასა და “ელიტის თეორიას”. ელიტა ყველა საზოგადოებაში არსებობდა უძველესი დროიდან, მაგრამ რა ფუნქციები და რა ვალდებულებები გააჩნიათ მათ მიმართ, ვისთვისაც ისინი მოიაზრებიან ელიტად, პოლიტიკურ ლიდერებად. ამ მხრივ განსხვავებული ვითარებაა საზოგადოებაში, სხვადასხვა წრეებში, იმის მიხედვით საზოგადოება დემოკრატიულია, არ არის დემოკრატიული, თუ იმყოფება გარდამავალ პერიოდში. ელიტის ჯგუფები და “ელიტიზმი” შეინიშნება სხვადასხვა სფეროებში, მაგრამ როგორც ბევრი მეცნიერი, როგორცაა გ. ნოლია, ჯ. ჰიგლი, ა. ვალდერი და სხვა აღნიშნავს, დღესდღეობით ყველაზე დიდი ზეგავლენა და ძალაუფლება პოლიტიკურ ელიტას გააჩნია. ელიტამ, როგორც საზოგადოებისა და სახელმწიფოს მბრძანებელმა (მმართველმა) განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო მე-19 საუკუნეში, როდესაც დემოკრატიის კლასიკურმა (ხალხის მმართველობის) თეორიებმა ვერ შეძლეს ნამდვილი ვითარებს ჯეროვნად ასახვა. ელიტის თეორიების თანახმად, ხალხის (დემოსის) მონაწილეობა შემოიფარგლება არჩევნებით, ხოლო რეალური მმართველობა და ძალაუფლება პოლიტიკური ელიტის ხელშია. “ელიტა” (ფრანგული ენიდან: საუკეთესო, რჩეული) მრავალი კუთხით განსაზღვრავს საზოგადოების ცხოვრებას, ვინაიდან სწორედ ელიტა ახდენს მიზნებისა და სამომავლო გეგმების/პერსპექტივების ფორმირებას საზოგადოების განვითარებისთვის. ყოველივე ამას ის ახორციელებს მნიშვნელოვანი სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებისა და ამ გადაწყვეტილებების სახელმწიფო ძალაუფლების მეშვეობით აღსრულების გზით.

ტერმინი “ელიტა” პოლიტიკურ მეცნიერებაში პირველად გამოიყენა ვილფრედო პარეტომ (1848-1932), რომელმაც განაცხადა: ”ტერმინ “ელიტას” ქვეშ უმთავრესად იგულისხმება უპირატესობა, მისი ფართო გაგებით. ამ ტერმინში მე მოვიხსენებ ადამიანთა ჯგუფს, რომელთა უნარები (აზროვნების უნარი) და შესაძლებლობები უმაღლეს დონეს აღწევს.” ვილფრედო პარეტო, გაეტანო მოსკა (1856-1941) და რობერტ მიხელსი (1876-1936), არიან იტალიური პოლიტიკური და სოციოლოგიური სკოლის წარმომადგენლები და ითვლებიან ელიტის კლასიკური თეორიის ფუძემდებლებად. პირველ ყოვლისა მათ მიანდათ, რომ პოლიტიკური უთანასწორობა არის ბუნებრივი მოვლენა და ასევე ისინი ელიტას მოიაზრებდნენ, როგორც ადამიანთა ჯგუფურ ერთობას, რომლებსაც აქვთ განსაკუთრებული უნარ-ჩვევები და რომლებიც აცნობიერებენ თავიანთ უპირატესობებს სხვებთან მიმართებაში. ფაქტობრივად, გ. მოსკამ, ვ. პარეტომ და რ. მიხელსმა ჩამოაყალიბა აღნიშნული თეორია გარკვეული განსხვავებული მოსაზრებებით უმცირესობაში მყოფ მმართველ ელიტასა და მმართველობის ქვეშ მყოფ უმრავლესობას შორის არსებული პოლიტიკური უთანასწორობის თაობაზე, თუმცა მათი მთავარი დასკვნა მდგომარეობს იმაში, რომ საზოგადოება ყოველთვის იმართება უმცირესობით, რომელსაც წარმოადგენს მმართველი ფენა, ან გუნდი.

ქვემოთ მიმოვიხილავ ელიტის თეორიის განვითარებას დასავლურ აზროვნებაში, საიდანაც აღმოცენდა აღნიშნული თეორია და შემდეგ დაუზღვრუნდები ძირითად თეორიულ ჩარჩოს, რომელსაც წარმოადგენს აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის პოსტსაბჭოური ქვეყნების ელიტების შესწავლა, ელიტების რეპროდუქციის და ცირკულაციის თეორიების ჭრილში; წარმოშობის და გავრცელების პრაქტიკურად. ჩემი მოსაზრებით, ის უფრო შეესაბამება პოსტსაბჭოურ ქართულ მოდელს, ვიდრე წმინდა დასავლური მიდგომები. თავდაპირველად განვიხილავ ელიტის თეორიის განვითარების პროცესში არსებულ სამ ძირითად სკოლას (მიმართულებას): “ნეო-მაკიაველისტები” (ან ე.წ კლასიკური თეორია), კრიტიკული თეორიის მიმდევრები (პლურალისტების პირისპირ) და ლიბერალები (ე.წ თანამედროვე თეორია).

### *კლასიკური თეორია*

ელიტის თაობაზე ჯერ კიდევ პლატონი და არისტოტელე ბჭობდა, მაგრამ თანამედროვე დისკუსია სათავეს იღებს “ნეო-მაკიაველისტებიდან” ვილფრედო პარეტო (1935), გაეტანო მოსკასა (1939) და რობერტ მიხელსისგან (1959). ”მე-20 საუკუნის დასაწყისში ევროპულ საზოგადოებაში შექმნილი აურზაურის საპასუხოდ, თითოეულმა ჩამოაყალიბა ელიტის მმართველობის გარდაუვალობის მხარდამჭერი არგუმენტები, კლასიკური დემოკრატიული თეორიის, მარქსისტული ფენების ანალიზისა და სოციალისტური პოლიტიკური მოძრაობების საპირისპიროდ” (ჯ. სკოტი 1990, შესავალი). ვ. პარეტოს თანახმად ელიტას ზოგადად წარმოადგენდნენ ისინი, ვინც იმყოფებოდნენ წამყვან თანამდებობებზე ბიზნესში, პოლიტიკაში, განათლებასა და სხვა სფეროებში. აღნიშნული ინდივიდების განსხვავება დანარჩენი “არაელიტური” საზოგადოებისგან ადვილად შესამჩნევია. შემდგომში, მან განასხვავა “მმართველი ელიტა“- ძლიერი პოლიტიკური ძალაუფლების მქონე ელიტის ნაწილი, არამმართველი ელიტისაგან. ვ. პარეტო მიიჩნევდა, რომ მმართველი ელიტა შედგებოდა მათგან, ვინც იყო უფრო ნიჭიერი, ქონდა ლიდერობის უნარი, რომელიც მომდინარეობდა საუკეთესო პიროვნული თვისებებისგან. მაკიაველის მსგავსად, ის განასხვავებდა პოლიტიკური ლიდერების ორ იდეალურ ტიპს, მათი წამყვანი პიროვნული თვისებებისა და მოტივაციის მიხედვით. “ლომები” მიმართავენ მასებში ყველაზე გავრცელებულ კონსერვატიულ ინსტინქტებს, ემყარებიან ტრადიციას, სიძლიერეს და კანონისადმი მორჩილებას. “მელიები” შედარებით ნოვატორი ლიდერები არიან, რომლებიც ეყრდნობიან ეშმაკობას, ახალ იდეებსა და მიმართავენ მანიპულაციას. ორივე ტიპი საჭირო იყო, მაგრამ ვ. პარეტო ხედავდა საზოგადოების მართვის ცირკულირებად მოდელს, როდესაც “მელიები” დომინირებდნენ გარდამავალ და არეულობის პერიოდში, ხოლო “ლომები” საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენის დროს (ვ. პარეტო 1935).



ვ. პარეტოს მსგავსად, გ. მოსკა მიიჩნევდა რომ ელიტის მმართველობა არის ემპირიული მოვლენა ყველა საზოგადოებაში. მიუხედავ იმისა, რომ ის ხაზგასმით საუბრობდა “მმართველი კლასის” საუკეთესო ინდივიდუალურ თვისებებზე, მოსკა ასევე აღნიშნავდა, რომ მმართველი ელიტის ორგანიზებულობის უპირატესობები მდგომარეობს იმაში, რომ ის წარმოადგენს შედარებით ერთსულოვან და ადვილად ორგანიზებად უმცირესობას არაორგანიზებული მასების პირისპირ (გ. მოსკა 1939). ის ასევე განიხილავდა “სუბელიტის” როლს - მენეჯერების, ბიუროკრატების ტექნოკრატულ ფენას, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია ელიტის მმართველობისათვის თანამედროვე საზოგადოებებში. გ. მოსკა ეთანხმებოდა ვ. პარეტოს იმაში, რომ ჩაკეტილი მმართველობის სისტემები ემუქრება სოციალურ სტაბილურობას, რადგან სტაგნაციაში მყოფი ელიტა აფერხებს ცვლილებებთან ადაპტაციის პროცესს.

“პოლიტიკურ პარტიებში ((1915)1959) რ. მიხელსი ხედავდა ელიტის მმართველობის აუცილებლობას თანამედროვე საზოგადოებაში რთული ორგანიზაციული წყობის სამართავად. მის კლასიკურ კვლევაში წარმოადგენილია გერმანული სოციალურ- დემოკრატიული პარტიის ანალიზი, მაგრამ მისი არგუმენტები მიესადაგება სხვადასხვა ორგანიზაციულ კონტექსტს. ვებერის პოლიტიკასა და ბიუროკრატის შესახებ ნაშრომის ზეგავლენით რ. მიხელსის ყველაზე ცნობილი დასკვნა შეჯამებულია მის ნაშრომში “ოლიგარქიის რკინის კანონი”, რომელიც ემყარება მოსაზრებას, რომ მსხვილ ორგანიზაციებზე ძალაუფლება ყოველთვის ექცევა რამოდენიმე ადამიანის ხელში, რომლებსაც წამყვანი თანამდებობები უჭირავთ (რ. აკარდი 2001). ისეთი ორგანიზაციების, როგორცაა პროფკავშირების და პოლიტიკური გაერთიანებების ლიდერები ცდილობენ შეინარჩუნონ თავიანთი პოზიციები, თუ კი ერთხელ მაინც ჩაუვარდათ ხელში ძალაუფლება. ხოლო ისინი ვინც შედარებით დაბალი საფეხურიდან დაწინაურდნენ, ერთგებიან იმ პროცესში, რომელიც ძალაუფლების სტრუქტურის შენარჩუნებისკენაა მიმართული. ის რესურსები, რომლებიც გააჩნიათ ინსტიტუტების ლიდერებს და ასევე მათი ინტერესებისა და პერსპექტივების ერთობა მათ ანიჭებს მთელ რიგ უპირატესობებს, რათა შეინარჩუნონ ძალაუფლება არაორგანიზებული საზოგადოების რიგით წევრებზე. დროთა განმავლობაში ლიდერები ანვითარებენ საერთო ინტერესებსა და კავშირებს ელიტის შიგნით, რაც აისახება მათ ხელმძღვანელ თანამდებობებში და გამოარჩევს მათ მასისგან.

რ. მიხელსმა დაინახა, რომ თავის მხრივ მასას თავისი წველილი შეაქვს ელიტის მმართველობაში, მისი საერთო აპათიისა და უპირობო მორჩილების გზით. ორგანიზაციულ ფაქტორებზე ყურადღების გამახვილებით, მიხელსმა დიდი გავლენა მოახდინა ელიტის ძალაუფლებასთან მიმართ თანამედროვე მიდგომების ჩამოყალიბებაში (იხ. მ. მარჯვერი 1987; რ. ბარტონი და ჯ. ჰიგლი 1987).

### *ელიტათა თეორიის და პლურალიზმის მიმდევართა დებატი*

ელიტის თეორეტიკოსებს შორის არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება, კერძოდ მათ შორის ვინც მიიჩნევს ძალაუფლების კონცენტრირებას, როგორც გარდაუვალ ან სასურველ მოვლენად და ვინც ეწინააღმდეგება ამ მოსაზრებას. ბოლო ჯგუფში ერთიანდებიან კლასიკური ელიტის თეორეტიკოსები და ისინი ვინც განაუთარა თავისი მოსაზრებები ამ მიმართულებით. (ა. ფილდი და ჯ. ჰიგლი 1980; რ. ბარტონი და ჯ. ჰიგლი 1987). მათგან განსხვავებით “კრიტიკული” ან ე.წ. “რადიკალური” ელიტის თეორეტიკოსები აღიარებენ ძალაუფლების კონცენტრაციას საზოგადოებაში, მაგრამ არ ეთანხმებიან იმ მოსაზრებას, რომ ეს მოვლენა არის გარდაუვალი ან სასურველი. კლასიკური თეორეტიკოსებისგან განსხვავებით, რომლებიც ხაზგაზმით საუბრობენ მასების აპათიისა და არაკომპეტენტურობაზე, კრიტიკული თეორეტიკოსები მიიჩნევენ, რომ ელიტის დომინირება ხორციელდება საზოგადოების იმ ნაწილის მანიპულირებისა და ექსპლუატაციის გზით, რომელიც არ მიეკუთვნება ელიტას.

კრიტიკული ელიტათა თეორიის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი წარმომადგენელია ჩ. მალსი (1965), რომელმაც ჯ. ჰანტერთან (1953) და სხვა კრიტიკული ელიტის თეორეტიკოსებთან ერთად გამოაქვეყნა ნაშრომი, პოლიტიკური ძალაუფლების თაობაზე აშშ-ში ფართოდ გავრცელებული “პლურალისტური” კვლევების საპასუხოდ. პლურალიზმი, რ. დალის (1956), რ. ტრუმანის (1951), მ. რიზმანის (1950) და სხვების კვლევების თანახმად

გულისხმობს, რომ ძალაუფლება თანამედროშვე დემოკრატიულ საზოგადოებაში იყო ფართოდ გავრცობილი და რომ ის ადამიანები, რომელთაც ეკავა გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობის მქონე პოზიციები განიცდიდნენ მნიშვნელოვან ზეწოლას მასის მხრიდან (არჩევნებისა და სხვა სახის პროტესტის სახით), ან სხვა ინსტიტუტების ელიტებისა, ან ორგანიზებული ინტერესთა ჯგუფების მხრიდან მათ წინააღმდეგ მიმართული მხილების სახით.

ჩ. მილსის ელიტის ძალაუფლების კონცეფცია ეფუძნებოდა საზოგადოების მასას. იმ საზოგადოებრივმა პროცესებმა, რომლებმაც მოახდინეს საზოგადოებრივი ძალის კონცენტრაცია, ჩამოაყალიბეს საზოგადოება დაქსაქსული ცალკეული ინდივიდებისაგან, რომელთა ცხოვრების ფორმირება ზედა ფენებიდან ხორციელდებოდა. მას შემდეგ რაც ელიტა უფრო ცენტრალიზებული გახდა, მისთვის გაცილებით ხელსაყრელი აღოჩნდა მასობრივი საგანმანათლებლო ბიუროკრატიული ინსტრუქციების მიერ არჩევით, გაფილტრული ინფორმაციითა და მასმედიით მანიპულირება. საგანმანათლებლო ინსტიტუტები მასიურად ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მიღების ცენტრებად და არა კრიტიკული აზროვნების განვითარებისა და დემოკრატიული პოლიტიკისთვის აუცილებელი ინფორმირებული მოქალაქეების ნავსაყუდლად (ჩ. მილსი 1956). პლურალისტები თვლიან რომ ის გადაჭარბებული შეხედულების იყო ფუნქციონალური ელიტის ერთობის თაობაზე და უარყოფდა საარჩევნო პროცესსა და ინტერესთა ჯგუფების კონკურენციას. ნეო-მარქსისტული და ხვა კლასიკური თეორიის ანალიტიკოსები სხვა მხრივ აკრიტიკებდნენ ჩ. მილსის მოდელს, კერძოდ რომ ის არ აცნობიერებდა თუ რა მასშტაბით ახდენდა წამყვანი ეკონომიკური ინტერესები პოლიტიკური ძალაუფლების ფორმირებას (გ. დომპოვი და ჯ. ბალარდი 1968). აღნიშნული პოლემიკის ძირითადი სადისკუსიო საკითხია ელიტის ერთსულოვნების დონე. როგორი უნდა იყოს კონსენსუსი (ან კონკურენცია) ელიტებს შორის, ელიტის (ან პლურალისტული) მოდელის შემთხვევაში? რა არის ელიტის კონკურენციის მასშტაბები? არსებობს თუ არა ელიტების იერარქია, რომლის სათავეში დგას მმართველი ფენა, ანუ “ძალაუფლების მქონე ელიტა”, ან სხვადასხვა ინსტიტუციონალურ ძალაუფლებათა “პოლიარქია”? ელიტის თეორეტიკოსები აღიარებენ, რომ გამორჩეული უნარ-ჩვევების ინდივიდებს წამყვანი პოზიციები უჭირავთ სხვადასხვა ინსტიტუტებში, როგორცაა პრესტიჟული უნივერსიტეტები, კერძოდ

ორგანიზაციები, მსხვილი საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მედია (ტ. დიუი 1995).

პლურალისტები მიიჩნევენ ამ ინსტიტუტებს საზოგადოებრივი ზეგავლენის შედარებით ავტონომიურ წყაროებად. მიუხედავად იმისა, რომ ისინი გამოყოფენ “სტრატეგიულ ელიტებს” ან გავლენიან ლიდერებს სხვადასხვა სფეროებში (ს. კელერი 1963), ისინი ვერ ხედავენ პოლიტიკის ერთსულოვან, ან უნიფიცირებულ კოორდინაციას ერთი რომელიმე მმართველი გუნდის შიგნით. მიუხედავად ამისა ვინც ემხრობა ელიტის პერსპექტივას მიიჩნევს, რომ შეუთანხმებლობა გარკვეულ ინტერესებთან დაკავშირებით თავს იჩენს ზოგადად ელიტის კონსენსუსის, იდეოლოგიისა და მისაღები პოლიტიკის ფარგლებში.

ჩ. მილსის მოსაზრებების განვითარების მიზნით, ელიტის თეორეტიკოსებმა შეისწავლეს რიგი მაკორდინირებელი მექანიზმებისა, რომლებიც აძლიერებენ ელიტის ერთსულოვნებას, როგორცაა მაგალითად: კერძო სკოლის კავშირები, სოციალური ქსელი, ერთი პოლიტიკის დამკვეთი ორგანიზაციების წევრობა და კადრების რეკრუტირების პროცესი, რომლის დროსაც მომავალ ლიდერებს ასწავლიან არსებული ძალაუფლების სტრუქტურის შენარჩუნებისკენ მიმართულ მიდგომებს (ა. რევიტი და ა. სტოუნი 1973; მ. მარჯერი 1987, ტ. ბოტომორი 1993, ტ. დიუი 1995; გ. დომპოფი 1998). მხარეები თანხმდებიან, რომ თანამედროვე დემოკრატიულ სისტემაში “ელიტა-ს” განმარტებისას გარკვეული ყურადღება უნდა დაეთმოს “მასებს”. კითხვა ისმის იმის თაობაზე თუ რამდენი უნდა იყოს ეს ყურადღება და რამდენად ახდენს ელიტებზე ზეგავლენას საზოგადოებრივი სურვილები. პლურალისტები თვლიან, რომ საზოგადოება მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ელიტის გადაწყვეტილებებზე არჩევნების, საზოგადოებრივი აზრისა და საზოგადოებრივი პროტესტის გზით (მ. არკადი 2001).

### *მოდერნიზმები*

1950-იან წლებში გავრცელებულმა მოსაზრებამ წარმოშვა პროტესტანტული სტრუქტურული ფუნქციონალიზმი (1940;1951) და "იდეოლოგიის დასასრულის" მოსაზრებები. (ჩ. ვოქსმანი 1968). ისინი დღესაც პოპულარულია და გულისხმობს, რომ მთანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოებისა და ლიბერალური დემოკრატიის აღმოცენებასთან ერთად ელიტები დაკომპლექტდა სულ უფრო და უფრო მეტი ნიჭიერი ინდივიდით, რომლებსაც წამყვან დაწესებულებებში უჭირავთ ხელმძღვანელი თანამდებობები. (ს. კელერი 1963; მ. მანჰაიმი 1940; რ. არონი 1950). აკადის (2001) თანახმად ყოველივე ეს მიუთითებს "მცოდნე" მუშაკების "ახალი ფენის" ფორმირებაზე "პოსტინდუსტრიული" მმართველობითი და ინფორმაციული საქმიანობის სფეროებში და ახალი ინსტიტუციონალური ელიტების გავრცელებაზე, რომლებიც ინარჩუნებენ კასტისა და კლასის ძველ იერარქიას (ს. კელერი 1963, დ. ბელი 1974). "მოცემული გადმოსხედიდან თანამედროვე ელიტები ფუნქციურად აუცილებელია იმ საზოგადოებაში, სადაც არის კომპლექსური ორგანიზაციები და მზარდია სპეციალიზირებული საქმიანობა.

რ. დევისისა და დ. მურის (1945) ფენების, სტატუსისა და მატერიალური ანაზღაურების ფუნქციონალისტური თეორია ითვალისწინებს მაღალ კვალიფიკაციას და საზოგადოებრივ პასუხისმგებლობას ასეთი პოზიციების დასაკავებლად. ფუნქციონალური ელიტის ლეგიტიმურობა გულისხმობს ყველა

ნიჭიერი და მოტივირებული პირისათვის თანაბარი შესაძლებლობების არსებობას აღნიშნული თანამდებობების დასაკავებლად (ჯ. სკოტი “ელიტების სოციოლოგია” ნაწ.1). აღნიშნული “მერიტოკრატის” ძალაუფლების მოდელის არსებობა უკავშირდება ელიტის რეკრუტირებას და ასეთ თანამდებობებზე იმ ადამიანების დანიშვნის საკითხს, რომლებიც არ წარმოადგენენ ელიტას. კიდევ ერთხელ შეიძლება აღინიშნოს, რომ ყველა მხარე თანხმდება, რომ თანამედროვე საზოგადოებაში ტრადიციულისგან განსხვავებით, სადაც ელიტის რეკრუტირება უკავშირდება დაბასდებას, არსებობს შედარებით მეტი გახსნილობა.

“დიფერენციაციამ თანამედროვე საზოგადოებაში ხელი შეუწყო ინსტიტუციონალური ელიტის გაძლიერებას, რომელიც აყენებს სხვადასხვა სფეროებში სპეციფიკური ნიჭისა და უნარ-ჩვევების არსებობის მოთხოვნას” (ს. კელერი, 1963).

### *რეპროდუქცია, ცირკულაცია, ქსელი*

ელიტის თეორია წარმოადგენს მრავალი მკვლევარის თეორიულ საფუძველს, რომლებიც იკვლევენ ფორმაციებსა და სახელმწიფო მმართველობის განვითარებას პოსტსოციალისტურ აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში. აღნიშნული თეორია გამოვიყენე წინამდებარე კვლევის თეორიულ ჩარჩოდ.

კვლევის ზოგიერთი ძირითადი წყარო წარმოადგენს აღმოსავლეთ ევროპის პოსტსაბჭოური ქვეყნების ელიტების შედარებით და თვისობრივ კვლევებს, როგორცაა ჯონ ჰიგლის, იან პაკულსკისა და ვლადიმერეც წესლოვსკის ”პოსტკომუნისტური ელიტები და დემოკრატია არმოსავლეთ ევროპაში”; ი. სელენისა და ჯ. ჰიგლის შრომები. აღნიშნული ავტორები ფოკუსირებას ახდენენ თეორიაზე და ეყრდნობიან კონცეფციებს ელიტის თეორიიდან მათი შეხედულებების ასახსნელად სოციალისტური ან პოსტსოციალისტური ქვეყნების

პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში არსებულ ტრანსფორმაციებთან ან მომხდარ პროცესებთან დაკავშირებით. ისინი გვთავაზობენ “მოდელირებას” ან არგებენ თეორიას და მოსაზრებებს ელიტური წარმონაქმნების თაობაზე სოციალისტური კონტექსტის გათვალისწინებით. მე გამოვიყენე აღნიშნული ავტორების კვლევები მაგალითებისთვის და დამხმარე მასალად, რათა დამეხასიათებინა ქართული ელიტები და მომეხდინა მათი შედარება ისტორიული განვითარების ჭრილში ისეთი მახასიათებლების გამოყენებით, როგორცაა მათი წარმომავლობა, კარიერა, თანამდებობა და პოლიტიკის “შეფასება”. ასევე გამოვიყენე დასავლური დემოკრატიის კვლევები, აღმოსავლეთ ევროპის პოსტსაბჭოური ქვეყნების და 90-იანების ჩინეთის კვლევები, რომლებიც თავის მხრივ ეფუძნება “კონკურენტ” თეორიებს, რომლებიც იკვლევენ ეკონომიკურ ფაქტორებსა და ელიტის ტრანსპორმაციებს საბაზრო ეკონომიკაზე და კაპიტალიზმზე გადასვლის პერიოდებში. აღნიშნული კვლევები ელიტების დახასიათების კარგ მაგალითებს წარმოადგენენ, სადაც გათვალისწინებულია ელიტის მნიშვნელობა ქვეყნის შიგნით ტრანსფორმაციის პროცესში.

არსებობს ორი მთავარი მიდგომა ელიტის თეორიაში რომელიც გამოყენებულია პოსტსაბჭოური ელიტის ტრანსფორმაციის კვლევებში.

პირველი - რეპროდუცირების თეორია, რომლის თანახმად საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოშობილმა რევოლუციურმა ცვლილებებმა არ შეცვალა ელიტების შემადგენლობა (აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში)<sup>1</sup> “ეს მოხდა იმიტომ, რომ ძველმა ნომენკლატურამ შეძლო შეენარჩუნებინა თავისი პოზიცია მაღალ საფეხურზე (Szelenyi et al. 1995:616).

მეორე - არის ელიტის მიმოქცევის (ცირკულაციის) თეორია, რომელიც გულისხმობს, რომ ”პოსტკომუნისტურ რეჟიმზე გადასვლამ გამოიწვია სტრუქტურული ცვლილება იერარქიის უმაღლეს ფენებში: მოხდა ახალი კადრების რეკრუტირება წამყვან პოზიციებზე ახალი პრინციპების შესაბამისად”.

ამრიგად, ზემოაღნიშნული მიდგომების თანახმად ელიტის თეორიის თაობაზე დისკუსიის მთავარი საკითხი მდგომარეობს ელიტის მიმოქცევის ან რეპროდუცირებაში. ზოგიერთ ქვეყანაში ძველი სოციალისტური ელიტის უმეტესი ნაწილი სახეზეა, ზოგიერთში კი შეინიშნება იმ ახალგაზრდებით ჩანაცვლების ტენდენცია, რომლებიც ცვლიან პოლიტიკური და ეკონომიკური

<sup>1</sup> იხ. Ivan Szelenyi and Szonja Szelenyi ‘Circulation or Reproduction of elites during the postcommunist transformation of Eastern Europe’ in Theory and Society, Vol.1 24, No.5 1995

ლიდერობის პერსპექტივებსა და ორიენტაციას. მაგალითად, თუ შევადარებთ ელიტების შემადგენლობას უნგრეთში, პოლონეთსა და რუსეთში 1993 წელს და ნომენკლატურას რეჟიმის შეცვლამდე 1989 წელს, მთლიანობაში იმ პირების უმეტესობა, რომლებიც ეკუთვნოდა ნომენკლატურას 1988 წელს კვლავ ირიცხებოდა ელიტის რიგებში ხუთი წლის შემდეგ. ძველი ელიტის მცირერიცხოვანი კლების პარალელურად ხდებოდა კონტრ-ელიტის მოსვლა. კომუნისტურ ნომენკლატურაში შეიმჩნეოდა მცირე დანაკარგები სოციალური ელიტის სტატუსის მოპოვების პროცესში, ანუ რეპროდუცირება, რომელიც ჭარბობდა რუსეთში, ხოლო უნგრეთსა და პოლონეთის უმეტეს ნაწილში უფრო შეინიშნებოდა მიმოქცევა.

აღნიშნული თვალსაზრისით, საქართველოს შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ქვეყნისთვის თავისუფლების პირველი წლები მეტად რთული აღმოჩნდა, რასაც განაპირობებდა შიდა დაპირისპირებები, შეიარაღებული გადატრიალება და 1995 წელს შედგენილი კონსტიტუცია, რომელშიც ეხლახან შევიდა შესწორებები. ეს გარემოებები განასხვავებს საქართველოს “პოსტსაბჭოური სივრცის” ქვეყნებისგან, რომელთაც შედარებით მშვიდობიანად განვლეს დამოუკიდებლობის პირველი წლები. საქართველოში, სხვა პოსტსაბჭოური ქვეყნებისგან განსხვავებით ნომენკლატურა თითქმის მთლიანად ჩამოშორდა მმართველ ელიტას ეროვნული ძალების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, მაგრამ მალევე დაბრუნდა შევარდნაძის რეჟიმთან ერთად. ამ პერიოდიდან ნომენკლატურამ შეძლო მისი ელიტის რეპროდუცირება, რომელიც 2003 წლამდე გაგრძელდა. ამრიგად სახეზე იყო მმართველი ელიტების რეპროდუცირება.

ელიტების შესწავლის კიდევ ერთი საინტერესო ასპექტია ქსელების ანალიზის გამოყენება, რომელიც ყურადღებას ამახვილებს როგორც ელიტებს შორის კავშირების მნიშვნელობაზე რეპროდუცირებისა და მიმოქცევის თვალსაზრისით, ასევე ამ ქსელებს შორის არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების ურთიერთკავშირზე. (იხ. Mach, Wesolowski, Rona-Tas, Borocz, Kostova) წინამდებარე კვლევაში ელიტების ქსელის ანალიზისას ძირითადად ვეყრდნობი ჯონ პაჯეტის XIV-XV საუკუნეების ფლორენციული ელიტების კვლევებს. ჯ. პაჯეტი აღწერს ელიტის ტრანსფორმაციას ფლორენციაში XIII საუკუნის ბოლოდან XV საუკუნის ჩათვლით და საუბრობს მის მიზეზებსა და შედეგებზე. პაჯეტი იყენებს მეთოდოლოგიასა და თეორიას,



რათა გაიგოს ფლორენციის პოლიტიკური ისტორია ამ კონკრეტული პერიოდის განმავლობაში. იმ ისტორიული მოვლენების ასახსნელად, რომლებმაც ხელი შეუწვევს ძალაუფლების გადანაცვლებას მაგნატი და უბრალო ფენის (popolani) ოჯახების “გუნდიდან” უბრალო ფენის (popolani) და ახალი ოჯახების ჯგუფის ხელში (მარგინალურ მაგნატ ოჯახებთან ერთად) ავტორი ფოკუსირებას ახდენს 1343-1378 წლების შუალედზე, როგორც ფლორენციული ელიტის სტრუქტურის სახეცვლილების გარდამტეხ პერიოდზე. 1343 და 1378 წლებში დიდი რაოდენობით მიიღეს ახალი ოჯახები სიგნორიაში, ფლორენციის პარლამენტში. კვლევაში აღწერილია ელიტის მძლავრი ცენტრალიზაციის პროცესი 1343 წლის შემდგომ. ელიტის ქსელის ასეთი ფორმით ჩამოყალიბებამ საფუძველი ჩაუყარა მედიჩის ძალაუფლების დამყარებას. ჩემი მოსაზრებით, დიდი მსგავსებაა მედიჩის ქსელსა და 1990-იან წლებში შევარდნაძის რეჟიმის დროს არსებულ კლანურ ქსელს შორის.

ვარდების რევოლუციამდე და მას შემდეგ ქართული ელიტის კავშირების და რეპროდუცირების მასშტაბის ჩემ მიერ განხორციელებულმა გამოკვლევამ გამოავლინა ორი ძირითადი თეორიული ასხნა 2003 წლის შემდეგ საქართველოში ახლადჩამოყალიბებული პოლიტიკური ელიტების წარმოშობასა (კავშირები) და შესაბამის მახასიათებლებთან დაკავშირებით: პირველი - ისინი შეიძლება იყვნენ ”შთამომავლები“ ანუ “გადაგდებული” ელიტების მემკვიდრეები და სიტუაცია ამ მხრივ უცვლელი რჩება. ეს მოსაზრება გამყარებულია იმ გარემოებით, რომ ექსპრეზიდენტმა შევარდნაძემ და მისმა “კლანის” წევრებმა თავი აარიდეს სასჯელს და განაგდობენ პოლიტიკურ მოღვაწეობას მაღალ პოლიტიკურ წრეებში. ამასთანავე ამას ცხადყოფს ის ფაქტიც, რომ ახლადჩამოყალიბებული ელიტის ბევრ პოლიტიკოსს მჭიდრო კავშირები აქვს შევარდნაძის ელიტასთან. თუმცა ასეთი ასხნა არ იღებს მხედველობაში ახლად გამოჩენილი ელიტური ჯგუფების წარმოჩენას რომელთაც მხარს უჭერს დასავლეთი, ან არ ანიჭებს მათ რაიმე მნიშვნელოვან როლს დღევანდელ ქართულ პოლიტიკაში. მეორე ძირითადი მიმართულების მიხედვით, საქართველოში ახლადჩამოყალიბებული ელიტები არის “ნამდვილი” ახალი ელიტები, რომელთაც არ აქვთ კავშირები ძველ ელიტებთან და გააჩნიათ მხარდაჭერა მოსახლეობისა და დასავლეთისგან. მიჩნეულია, რომ ეს ახალი ელიტა ჩამოყალიბდა ვარდების რევოლუციის შემდეგ და აბსოლუტურად

განსხვავდება წინამორბედებისაგან. მას არ გააჩნია ძველ ელიტასთან კავშირი და საერთო ღირებულებები. ამ მოსაზრებას ამყარებს ის გარემოება, რომ მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მონაწილეობა მიიღო ვარდების რევოლუციაში და მხარი დაუჭირა სააკაშვილს და მის ახლადმოსულ გუნდს, ისევე როგორც დასავლეთმა, განსაკუთრებით ამერიკამ. ამ მოსაზრებას ასევე ფართოდ უჭერს მხარს თავად დღევანდელი ელიტა.

ამრიგად, წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს ძველ და ახალ ელიტებს შორის კავშირების დადგენა, თეორიული ჩარჩოს (ელიტების თეორიების რეპროდუცირება/მიმოქცევის მიდგომები) ფარგლებში, ასევე ზოგიერთი ქსელის ანალიტიკური მოდელის გამოყენებით, სადაც მთავარი ყურადღება დაეთმობა სხვადასხვა ელიტების საქმიანობასა და მათ ლიდერებს.

ზემოაღნიშნული მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ სოციალურ მეცნიერებებში ელიტების კონცეფცია უკავშირდება საზოგადოებრივ ძალაუფლებას, განსაკუთრებით პოლიტიკურ ძალაუფლებას, რომელიც მცირერიცხოვანი ჯგუფის ხელშია. ელიტების თაობაზე თეორიულ დებატებსა და ემპირიულ კვლევებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გ. მოსკას (1939) ცნობილ ფრაზას: ”ყველა საზოგადოებაში ... არსებობს ადამიანთა ორი ფენა: ფენა რომელიც მართავს და ფენა, რომელიც იმართება”. არის რამოდენიმე მნიშვნელოვანი კითხვა ასეთი დომინანტურ ჯგუფებთან - ელიტებთან მიმართებაში: არის თუ არა ძალაუფლება საზოგადოების მთავარ ინსტიტუტებზე მეტისმეტად კონცენტრირებული თუ, როგორც პლურალისტები ფიქრობენ მკვეთრად შეზღუდული? თუ არსებობს ერთსულოვანი ელიტა, მაშინ ვინ წარმოადგენს მას და რა არის მისი ძირითადი ძალაუფლება? რამდენად ვრცელდება მისი ძალაუფლება ელიტის გარეთ დარჩენილ “მასებზე”? იყენებს, თუ არა საზოგადოებრივი ელიტა თავის ძალაუფლებას მთლიანობაში საზოგადოების სასარგებლოდ, თუ ელიტა მაქსიმალურად იცავს თავის ინტერესებს დაქვემდებარებული ჯგუფების საწინააღმდეგოდ? როგორც კლასიკური, ასევე თანამედროვე თეორიების მიმდევრები ცდილობდნენ ეპასუხათ ყველა ამ კითხვაზე ელიტის თეორიის ფარგლებში. აღნიშნული მიმართულება განვითარდა დასავლეთში დემოკრატიულ ქვეყნებთან მიმართებაში. დღესდღეობით მიმდინარეობს ამ მიმართულებით სოციალისტური და პოსტსოციალისტური საზოგადოებების შესწავლა და მასთან დაკავშირებული თეორიული მსჯელობა, ძირითადად რეპროდუცირება/მიმოქცევის დისკუსიის

ფარგლებში. როგორც ყველა თეორიას, ელიტების თეორიასაც გააჩნია ბევრი შეზღუდვა და კრიტიკა. მიუხედავად ამისა მე-20 და 21-ე საუკუნეებში, თეორია განაგრძობს განვითარებას და ზეგავლენას ახდენს თანამედროვე დემოკრატიის კონცეფციებზე.

## II თ ა ვ ი

### საქართველოს ელიტა - პოლიტიკა და მისი შედეგები

პირველი თავისუფალი არჩევნები, რომელსაც ოდესმე ადგილი ჰქონია საბჭოთა რესპუბლიკაში, ჩატარდა 1990 წლის 28 ოქტომბერს, შერეული მაჟორიტარულ-პროპორციული სისტემით. ნაციონალური და ანტიკომუნისტური პარტიების ბლოკმა “მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო” გაიმარჯვა ხმების 53%-ით, ხოლო კომუნისტებმა ხმების 29 პროცენტი დააგროვეს. დანარჩენმა პარტიებმა ვერ გადალახეს 5%-იანი ბარიერი, შესაბამისად ვერ დაიკავეს ვერც ერთი ადგილი მმართველობაში. მრგვალი მაგიდა აღმოჩნდა უმრავლესობაში, ხოლო კომუნისტები ემხრობოდნენ დომინანტი პარტიის ყველა გადაწყვეტილებას. მოგვიანებით, 1990 წლის დეკემბერში საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ გამოაცხადა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიიდან დამოუკიდებლობა. საქართველოს პარლამენტმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა 9 აპრილს, 1989 წლის ტრაგიკული მოვლენების ორი წლის

თავზე. რამოდენიმე კვირის შემდეგ 1991 წლის 26 მაისს, 1918 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 73 წლის თავზე, ზვიად გამსახურდია აირჩიეს საქართველოს პირველ პრეზიდენტად ხმათა 87%-იანი უმრავლესობით, რომელმაც დანარჩენ ხუთ კანდიდატს შორის გაიმარჯვა. იმპერიალისტური რეჟიმის გადავარდნის შედეგად ხელისუფლებაში ზვიად გამსახურდიას მოსვლას მოყვა სახელმწიფო წყობის პოლარიზაცია, რამაც გამოიწვია სამოქალაქო ომი. აფხაზეთმა გამოაცხადა სუვერენიტეტი 1990 წლის სექტემბერში. 1991 წელს სამხრეთ ოსეთმა გამოაცხადა საქართველოსგან დამოუკიდებლობა (რომელმაც დაიწყო საბჭოთა კავშირთან შეთანხმებების ანუღირება და 1990 წლის დასაწყისში მიიღო თავისი კონსტიტუცია). იმავე დღეს საქართველომ გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური სტატუსი. ზვიად გამსახურდიასთან დაახლოებული გარემოცვის თანახმად, ის არ ემსრობოდა ფედერალურ წყობას და სურდა საქართველო გარდაექმნა უნიტარულ სახელმწიფოდ. გაერთიანებული საქართველოს პირველი პრეზიდენტის მმართველობა ხანმოკლე აღმოჩნდა. რაც შეეხება პოლიტიკურ არენას, მასზე გამოჩნდა ახალი პოლიტიკური ელიტა, რომელიც დაკომპლექტდა “ახალბედებით” ექსტრემალური ნაციონალისტური მოძრაობიდან, რომლებიც ყველაფერში საბჭოურ სისტემასა და კომუნისტებს ადანაშაულებდნენ. აქედან გამომდინარე, ძველი ნომენკლატურის წარმომადგენლები მთლიანად ჩამოშორდნენ პოლიტიკურ სპექტრს. 1990-იანი წლების დასაწყისი და სამოქალაქო დაპირისპირების პერიოდი ხასიათდება ფართომასშტაბიანი საზოგადოებრივი და პირადი ქონების მოროდითობით. ეკონომიკურმა კრიზისმა გამოიწვია საბჭოთა საშუალო ფენის - ტექნიკური და აკადემიური ინტელიგენციის გაღარიბება და სიმდიდრის შემდგომი გადანაწილება. ყველაზე დიდი ნიშა მცირე ბიზნესმა, უმეტესად კი წვრილმა საცალო ვაჭრობამ დაიკავა.

1992 წელს ედუარდ შევარდნაძე გახდა საქართველოს მეორე “მმართველი”, ზვიად გამსახურდიას ძალადობრივი გზით გაძევების შემდეგ. გამსახურდიას ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობის შემდეგ დაწყებულ სამოქალაქო ომში, შევარდნაძის ხელისუფლებას დაუპირისპირდნენ გამსახურდიას მომხრეები, ე.წ. ზვიადისტები. ყველა დანარჩენი პოლიტიკური ძალის უმეტესმა ნაწილმა ინტილიგენციამ ჩამოაყალიბა პოლიტიკური პარტიები და ყოფილმა კომუნისტურმა ელიტამ მხარი დაუჭირა ახალ პრეზიდენტს. მიუხედავად ამისა, როდესაც საქართველო გახდა დამოუკიდებელ სახელმწიფო და

თანამეგობრობის (დსთ) წევრი 1993 წელს, შევარდნაძემ დაკარგა ბევრი ისეთი პოლიტიკოსის მხარდაჭერა ვინც დამოუკიდებლობას უჭერდა მხარს და აცნობიერებდა, რომ დსთ იყო რუსეთის მცდელობა აღედგინა გავლენა ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებზე. 1993 წლის ბოლოს და 1994 წლის დასაწყისში შექმნილი დაძაბული ვითარების დასაძლევად, შევარდნაძემ მოახდინა რუსეთის სამხედრო ძალების ინტერვენცია საქართველოში, დასავლეთ საქართველოში ზვიადისტების ამბოხების ჩასახშობად. 1992 წლის ივლისში, აფხაზეთის გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერმა, ვლადისლავ არძიმბამ, გამოაცხადა აფხაზეთის საქართველოსგან დამოუკიდებლობა. აგვისტოში საქართველოს შეიარაღებული ძალები შევიდნენ აფხაზეთში და დაიწყო სამხედრო დაპირსპირება აფხაზ სეპარატისტებთან. აფხაზეთმა მოიპოვა დე ფაქტო დამოუკიდებლობა მას შემდეგ, რაც 1993 წლის ივნისში საქართველოსთან ხელი მოაწერა ხელშეკრულებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. გამსახურდიას გადაცემების შემდეგ სამი წლის განმავლობაში, საქართველოში შექმნილი იყო დაძაბული ვითარება, ვინაიდან შევარდნაძის ხელისუფლება ცდილობდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გავლენის მოპოვებას. მხოლოდ 1995 წელს, ახალი კონსტიტუციის მიღებისა და თბილისის ფარგლებს გარეთ შევარდნაძის ხელისუფლების გავლენის გამყარების შემდეგ საქართველოში შეიქმნა სტაბილური ვითარება. აღნიშნულ პერიოდში დამყარდა ერთპიროვნული ქარიზმატული ლიდერის - ედუარდ შევარდნაძის მმართველობა, რომელიც იყენებდა ძალაუფლების ტრადიციულ ტექნოლოგიას. ის ახორციელებდა წინდახედულ მანევრებს რათა მოეპოვებინა მხარდაჭერა, მათ შორის სხვადასხვა რეგიონალური ინტერესთა ჯგუფებისა, აყალიბებდა და შლიდა კოალიციებს საშიში ოპონენტების იზოლირების მიზნით და ახდენდა მათ დაშლას, როდესაც მწიფდებოდა შესაბამისი სიტუაცია. (ჯ. დევდარიანი 2004).

ამრიგად, მმართველ ძალას 1992-2003 წლებში ძირითადად წარმოადგენდა შევარდნაძე საქართველოს მოქალაქეთა კავშირთან ერთად. 1994 წლიდან არენაზე გამოჩნდა ზოგიერთი ბიზნესი გრძელვადიანი გეგმებით. ე. შევარდნაძე იყო საქართველოს ყველაზე თვალსაჩინო ნომენკლატურის წევრი საბჭოთა მმართველობის პერიოდში და თავისუფლების პირველ წლებში ახალი ეკონომიკური ელიტა (ძირითადად შედგებოდა საბანკო სექტორისაგან) კომპლექტდებოდა ძველი ნომენკლატურით, “კომსომოლის” ყოფილი წევრებით.

ეს პერიოდი იყო ძველი ნომენკლატურის მართვის ხანა, რომლის განმავლობაში ეკონომიკური ელიტები დახურული იყო პოლიტიკური ისტაბლიშმენტისთვის. კონსტიტუციის 53-ე მუხლი ეკონომიკურ საქმიანობას უკრძალავს პარლამენტის წევრებს, ხოლო მე-80 მთავრობას. არ არსებობს ზუსტი მონაცემები მთავრობის წევრების მიერ ფართომაშტაბიანი ეკონომიკური საქმიანობის, ან პარლამენტარების მიერ ბიზნესის “მფარველობის” შესახებ, თუმცა ბევრი ფაქტი გამოაშკარავდა ვარდების რევოლუციის შემდეგ. 1998 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი “კორუფციის შესახებ” აღნიშნულმა კანონმა დაავალდებულა მაღალჩინოსნები წარმოედგინათ ინფორმაცია თავიანთი საკუთრებისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ. მიუხედავად ამისა, ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც მაღალჩინოსანმა სახელმწიფო მოხელეებმა, რომლებიც მუშაობდნენ დაბალ ხელფასებზე, წლების განმავლობაში დააგროვეს ქონება ასობით ათასი, ან მილიონობით ლარის ოდენობით. 1990-იანი წლების პირველ ნახევარში ყოფილი კომუნისტური ნომენკლატურა პირდაპირ, ან ნათესავეებისა და კლიენტების საშუალებით ინარჩუნებდა პრივილეგირებულ ეკონომიკურ მდგომარეობას და გააჩნდა ეკონომიკური გავლენა სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი მატერიალური რესურსების გამოყენების გზით. ეკონომიკური ელიტა წარმოადგენდა ხალხთა ვიწრო წრეს, მაგრამ ზოგიერთი ჯგუფი მაინც ახდენდა გავლენას ეკონომიკაზე და შესაბამისად ქვეყნის პოლიტიკაზე. 1995 წლიდან სახელმწიფო მმართველობა გამოეყო საზოგადოებას. მიუხედავად იმისა, რომ მასში არსებობდა შიდა უთანხმოებები და დაპირისპირებები, ის ჩამოყალიბდა ერთ დიდ კლანად. ქვეყნის ზომისა და რესურსების სიმცირის გამო მისი შექმნა და მართვა ადვილად შესაძლებელი გახდა. შევარდნაძე იშვიათად ნიშნავდა მინისტრებს მათი პარტიული წევრობიდან გამომდინარე. პრეზიდენტის სახელმწიფო კანცელარია იყო უფრო გავლენიანი აღმასრულებელი ორგანო ვიდრე ნებისმიერი პოლიტიკური პარტია. სახელმწიფო კანცელარია დაკომპლექტებული იყო ყოფილი კომუნისტი მოხელეებით და ახალგაზრდა ტექნოკრატებით, რომლებსაც ხშირ შემთხვევაში პარტიული კუთვნილება არ გააჩნდათ. ასეთი წყობის პირობებში შევარდნაძე იყო ერთადერთი პირი, რომელიც უზრუნველყოფდა კავშირს საქართველოს სამოქალაქო კავშირსა და სასიცოცხლო “ადმინისტრაციულ რესურსს” შორის. სახელმწიფო მართვის კლანურ ხასიათზე მეტყველებს არაერთი მაგალითი: 1990-იან წლებში საქართველოს პოლიტიკაში დომინირებდა ერთი პარტია-

საქართველოს სამოქალაქო კავშირი (სსკ), რომელიც წარმოადგენდა შევარდნაძის ძალაუფლების საყრდენს. იმ პერიოდში არსებული ოპოზიცია იყო სუსტი და ვერ უმკლავდებოდა შევარდნაძის პოლიტიკურ დომინირებას. მიუხედავად ამისა, 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ წარმოიშვა გარკვეული განხეთქილებები სამოქალაქო კავშირში და შევარდნაძის ყოფილმა დომინანტმა პარტიამ სწრაფად დაკარგა გავლენა. სსკ-ს დასუსტების შედეგად, ჩამოყალიბდა სამი სხვადასხვა პოლიტიკური ძალა: შევარდნაძის მხარდამჭერთა გუნდი, რადიკალური ოპოზიცია - “რეფორმატორთა ჯგუფი” და “ახალი მემარჯვენეების” პარტია - ნაკლებად რადიკალური ოპოზიცია, რომელიც შევარდნაძეს მოიაზრებდა საერთაშორისო სტაბილურობის გარანტორად, მაგრამ ამასთანავე აკრიტიკებდა მთავრობის საშინაო პოლიტიკას. 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებით შევარდნაძემ გაიხანგრძლივა თავისი პრეზიდენტობა კიდევ ხუთწლიანი ვადით. ასეთი იყო ვითარება 2003 წლის ნოემბრამდე. ვარდების რევლუციას<sup>2</sup> საქართველოში მოჰყვა ახალგაზრდა პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ძალაუფლება, რომელიც საზოგადოებას პირდებოდა, რომ ქვეყანაში დაამყარებდა წესრიგს და უსაფრთხოებას. მის ერთ-ერთ ამოცანას ასევე წარმოადგენდა აჭარაში შექმნილი კრიზისის დაძლევა, რომელიც წარმოიშვა მაშინ, როდესაც ამ რეგიონის მმართველმა ასლან აბაშიძემ, რომელიც წლების განმავლობაში არ ემორჩილებოდა ცენტრალური ხელისუფლების წყობას, საშუალება არ მისცა ახლადარჩეულ პრეზიდენტს შესულიყო ამ რეგიონში. სააკაშვილი ასოცირდებოდა განახლებასთან, რეფორმირებასა და ცვლილებასთან, ნებისმიერ ფასად “სტაბილიზაციის შენარჩუნების” საპირისპიროდ, ანუ დემოკრატიასთან ავტორიტეტული რეჟიმის წინააღმდეგ. საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა უჭერდა მას მხარს და იმედოვნებდა, რომ ძლიერი ეროვნული სახელმწიფო კვლავ “აღორძინდებოდა”. რა თქმა უნდა ასეთი დიდი მოვლენების შემდეგ, ხალხის მოლოდინი ყოველთვის აჭარბებს პოლიტიკური ელიტის შესაძლებლობებს. დადებითი ცვლილებების მიუხედავად, როგორცაა აჭარის რეგიონში შექმნილი სიტუაციის მოგვარება (გაუმჯობესებული საგადასახადო გარემო, კორუფციის აღმოფხვრა მაღალჩინოსნებში), ჯერ კიდევ მრავალი ეკონომიკური პრობლემა დგას დღის წესრიგში. მაგ.: არაკონტროლირებადი ოსეთისა და აფხაზეთის რეგიონები,

<sup>2</sup> დეტალურად ინფორმაცია 2004 წლის არჩევნებსა და ვარდების რევოლუციაზე მოცემულია დანართებში

ინფრასტრუქტურა, ადამიანთა უფლებები, თავისუფალი მედია, სუსტი ადგილობრივი მმართველობა და ერთი ადამიანის ხელში ერთ პოზიციაზე - პრეზიდენტის ხელში მეტისმეტი ძალაუფლების კონცენტრირება.

*ახალი ბიზნესი და პოლიტიკა*<sup>3</sup> - ზოგადად სოციალური უთანასწორობის საკითხები სიღარიბე და დაბალი ეკონომიკური ზრდა პოლიტიკური დებატების მთავარი თემებია. მიუხედავად ამისა ვერც ერთმა პოლიტიკურმა ძალამ ვერ შესთავაზა საზოგადოებას ამ საკითხების გადაჭრის რეფორმების ამომწურავი პაკეტი. ამასთანავე მნიშვნელოვანი ტენდენციაა ბიზნეს ასოციაციების შექმნა, რომელთაგან ზოგიერთი გახდა პოლიტიკური პარტიების ბირთვი. 1990-იან წლებში ბიზნესს იმედი ჰქონდა რომ თავის ინტერესებს დაიცავდა პოლიტიკაში სხვა პარტიების საშუალებით, მაგრამ მოგვიანებით ბევრი ბიზნესმენი დაინტერესდა პოლიტიკაში უშუალო ჩართვით. “მრეწველთა კავშირი” რომელიც შეიქმნა ბიზნეს ინტერესების დასაცავად, ჩამოყალიბდა პარტიად, რომელსაც დაერქვა “მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს”. აღნიშნული პარტია აღმოჩნდა იმ სამ პარტიას შორის, რომლებმაც გადალახეს “საარჩევნო ბარიერი” და მოიპოვეს ადგილები 1999 წლის პარლამენტში. ბიზნესმენტა ჯგუფი, რომელიც თავდაპირველად შეუერთდა იგივე პარლამენტს, როგორც საქართველოს მოქალაქეთა კავშირის ნაწილი, მოგვიანებით გამოეყო ამ პარტიას და შექმნა “ახალი მემარჯვენეების” პარტია. 2003 წლის მარტში მსხვილ გადამხდელთა კავშირი, რომელიც აერთიანებდა საქართველოს გავლენიან ბიზნესმენტა ჯგუფებს და წინა წლებში იყო საკმაოდ ლოიალურად განწყობილი მთავრობის მიმართ, ხელისუფლების ოპოზიციონერთა რიგებს შეუერთდა. ბიზნესიდან წამოსულმა პარტიებმა დიდი როლი ითამაშეს 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებში. ამრიგად ვარდების რევოლუციის შემდეგ დამკვიდრდა ტენდენცია, რომ ბიზნეს ჯგუფები გავლენას ახდენენ პოლიტიკაზე პირდაპირ მათი საკუთარი პარტიების საშუალებით და არა ლობირების გამჭირვალე მექანიზმებით. მიუხედავად ამისა, ანალიტიკოსებს გააჩნიათ სხვადასხვა მოსაზრებები აღნიშნულ ტენდენციასთან დაკავშირებით. ზოგიერთის აზრით, ის გამოხატავს ბიზნესის უნდობლობას დემოკრატიული პოლიტიკისა და ინსტიტუტების მიმართ და ასევე მცდელობას მოახდინოს ვიწრო ბიზნეს

<sup>3</sup> ინფორმაცია ეყრდნობა რიგ ჟურნალისტურ გამოძიებებსა და სტატიებს (იხ. დანართი)



ინტერესების არალეგალური ლობირება, პოლიტიკური მდგომარეობის გამოყენებით. ისინი აღნიშნავენ, რომ პარტიები რომლებიც აღმოცენდა ეკონომიკური დღის წესრიგის პლატფორმაზე, მოქმედებენ როგორც ინტერესთა ჯგუფები და არ გააჩნიათ ფართო ელექტორატი, როგორც ეროვნული მასშტაბის პოლიტიკურ ჯგუფებს. დანარჩენები კი თვლიან, რომ რაც უფრო მეტი ხალხი მოვა პოლიტიკაში ბიზნესიდან, მით უფრო ადვილი გახდება მთელი ქვეყნის საერთო განვითარების დღის წესრიგის ფორმირება.

### III თ ა ვ ი

#### მეთოდოლოგია

წინამდებარე თავში მოცემულია კვლევის მეთოდოლოგია, რომლის ძირითად ბაზას წარმოადგენს ექსპერტული გამოკითხვა, რომლისთვისაც შესაბამისად შეირჩა რესპოდენტები.

ყველა რესპოდენტი შერჩეული იყო კვლევის მიზნებიდან გამომდინარე. შერჩევის მთავარი კრიტერიუმი იყო მათი აქტიური მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მოცემული საკითხების ცოდნა. რელევანტურობის მთავარი ინდიკატორი იყო რესპოდენტების პროფესიები და საქმიანობა. სელექციის პროცესში არ იყო გამოყენებული სხვა სოციო-დემოგრაფიული ინდიკატორი (ასაკი, სქესი, შემოსავალი და ა.შ), შესაბამისად შერჩეულ იქნა ადამიანთა მცირე ჯგუფი სპეციფიკური მახასიათებლებისა და

გამოცდილების მიხედვით. ჯამში შეირჩა 12 რესპოდენტი და ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუები (იხ. დანართი №1-რესპოდენტების სია.)

კვლევის ინსტრუმენტია კითხვარი რომელიც შედგება თემების (საკითხების) ნუსხისაგან. ის გამოიყენებოდა ინტერვიუერის მიერ როგორც ძირითადი სახელმძღვანელო მასალა, რამაც საშუალება მოგვცა მივყოლოდით ინტერვიუს პროცესს და შეგვეცვალა კითხვარი ინტერვიუს კონტექსტისა და სპეციფიკის მიხედვით (იხ. დანართი №2-კითხვარი).

ჩაღრმავებული ინტერვიუები ჩატარდა ერთი ინტერვიუერის მიერ. ყველა ინტერვიუ ჩატარდა რესპოდენტების ოფისებში. თითოეული ინტერვიუს ხანგრძლივობამ შეადგინა დაახლოებით 1 საათი. ინტერვიუები ჩაიწერა ლაზერულ მინი დისკიან დიქტოფონზე. არცერთ რესპოდენტს არ განუცხადებია უარი ინტერვიუზე. კვლევის დროს შეხვედრა ვერ მოხერხდა მხოლოდ სამ რესპოდენტთან. კვლევა ეყრდნობა სიაში მოცემულ სხვა რესპოდენტების ინტერვიუებს, რომელთაც აქვთ მსგავსი მახასიათებლები.

ინტერვიუების ანალიზი ეყრდნობა აღწერით მეთოდს, თუმცა გამოყენებული იყო ინტერპრეტაციის და კონცეპტუალიზაციის მეთოდებიც.

კვლევის დამხმარე მასალად და ნათელი სურათის შექმნის მიზნით, გამოყენებულ იქნა მთავრობისა და პარლამენტის წევრების ბიოგრაფიული მონაცემები და ასევე ჟურნალისტების საგამოძიებო მასალებში მოცემული ინფორმაცია ძველი და ახალი პოლიტიკური ელიტის წამყვანი პოლიტიკური ფიგურების შესახებ (იხ. დანართები 3, 4). თეორიული ჩარჩოს თანახმად ქვემოთ მოცემული ინტერვიუები ფოკუსირებულია ანალიზის სამ ასპექტზე: ელიტების ცვლა/წარმოშობა, ელიტების ქმედებები და ქსელები/კავშირები.

### **მონაცემები და მეთოდები**

კვლევის ტიპი: ხარისხობრივი სოციოლოგიური კვლევა, კერძოდ, ინტერვიუები ექსპერტებთან და სფეროს სპეციალისტებთან

კვლევის მეთოდი: სიღრმისეული ინტერვიუ

ინტერვიუს ობიექტები იყვნენ ექსპერტები და პოლიტიკური სფეროს წამყვანი ფიგურები.

I. პოლიტიკური ანალიტიკოსები და დამოუკიდებელი პოლიტიკური ექსპერტები.

II. სხვადასხვა პოლიტიკური ელიტის წამყვანი ფიგურები

ა) “ახალი ოპოზიციური ელიტა” თავისი ორი ქვეჯგუფით

1. პარლამენტში წარმოდგენილი ოპოზიციური ბლოკიდან ისინი, ვინც იყვნენ პარლამენტში ვარდების რევოლუციამდე.

2. პარლამენტში წარმოდგენილი ოპოზიციური ბლოკიდან ისინი, ვისაც არ აქვთ კავშირი ძველ ელიტასთან

ბ) უმრავლესობა. მთავრობისა და პარლამენტის წევრები. ახალი ელიტა (შედგება როგორც ძველი ელიტის წარმომადგენლებისგან, ასევე ახალი სახეებისგან).

III. არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერები.

კვლევის საგანი იყო დაგვედგინა პოლიტიკური ელიტის, არასამთავრობო ორგანიზაციების და ექსპერტების მოსაზრებები ვარდების რევოლუციის შემდეგ ჩამოყალიბებულ ელიტაზე, ძველ ელიტასთან შედარებით და დაგვედგინა ახალი ელიტის მოსვლასთან ერთად ქვეყნის პოლიტიკურ პოზიციაში მომხდარი ცვლილებები.

კერძოდ, გაიდლაინი მოიცავდა შემდეგ საკითხებს<sup>4</sup>:

შეხედულებები ახალ პოლიტიკურ ელიტაზე: მსგავსებები, განსხვავებები და კავშირები ძველ ელიტასთან.

საქართველოში მომხდარი მოვლენების აღწერა ელიტის შეცვლასა და ტრანსფორმაციასთან ერთად.

ვარდების რევოლუციის გამომწვევი მიზეზები და შედეგები.

<sup>4</sup> კითხვარები და რესპონდენტთა სია სხვადასხვა პერიოდისთვის იხ. დანართში

#### IV თ ა ვ ი

##### *პოლიტიკური ელიტები: ცვლილებები, მოქმედებები და ქსელები*

აღნიშნულ თავში მოცემულია მოძიებული მონაცემების ანალიზი და ძირითადი დასკვნები. მოსაზრებები გამომდინარეობს იმ ინტერვიუებზე დაყრდნობით, რომლებიც ჩატარდა ექსპერტებთან და პოლიტიკოსებთან 2006 წლის აპრილში, საქართველოში ახალი ელიტის ორწლიანი მმართველობის შემდეგ და ისინი ამყარებენ წინამდებარე კვლევის მთავარ მოსაზრებას, რომ სახეზე გვაქვს ელიტების რეპროდუცირება ვიდრე მიმოქცევა, 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ მმართველი პოლიტიკური სპექტრის

ცვლილებებთან ერთად. დასავლეთის კომენტატორების და ასევე ახალი პოლიტიკური ელიტების მტკიცებულება ცვლილებების შესახებ, ქვეყნის პოლიტიკური სპექტრის ტრანსფორმაციისა და ძველი ელიტის მთლიანად ახალი ელიტით შეცვლის სახით ეწინააღმდეგება ექსპერტების მოსაზრებებს და შეხედულებებს. გარდა ამისა ვარდების რევოლუციის უდიდესი წარმატების თაობაზე მითი, ელიტის მიმოქცევის თვალსაზრისით, ეწინააღმდეგება იმ ანალიზის შედეგებს, რომელიც ეფუძნება ჟურნალისტების საგამოძიებო მასალებს და პირად მონაცემებს პარლამენტისა და მთავრობის 700 წარმომადგენელზე 90-იანი წლებიდან დღემდე.

### **კვლევის შედეგები - 2007 წლისთვის**

ინტერვიუების მიზნებისთვის, განვასხვავებთ 4 ჯგუფს: ექსპერტები, არასამთავრობოების ხელმძღვანელები და პოლიტიკოსები ორი მოწინააღმდეგე ბანაკიდან: მმართველი უმრავლესობა და ოპოზიციური პოლიტიკური ძალები. როგორც მოსალოდნელი იყო მათ წარმოადგინეს ზოგიერთი განსხვავებული შეხედულებები მოხდარი ცვლილებებისა და მიმდინარე სიტუაციის, აგრეთვე ახალი პოლიტიკური ელიტის პირობებში, საქართველოს სახელმწიფოს განვითარების სამომავლო შესაძლო მიმართულებების თაობაზე.

მიუხედავად ამისა ექსპერტებმა, არასამთავრობოების ხელმძღვანელებმა და პოლიტიკოსებმა მთლიანობაში მრავალი კუთხით მსგავსი მოსაზრებები გამოთქვეს კვლევის საკითხებთან დაკავშირებით, რამაც საბოლოო დასკვნების გაკეთების საფუძველი შექმნა. ისინი მკვეთრად განსხვავდება ახალი მმართველი ელიტების განცხადებებისგან და დასავლეთის იმ დამკვირვებელთა და კომენტატორთა “ზედაპირული” შეხედულებებისგან, რომლებიც ჯერ კიდევ ვარდების რევოლუციის შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფებიან. ქვემოთ მოცემულია ინტერვიუების დეტალური ანალიზი.

## ექსპერტები

გამოკითხული ექსპერტების მოსაზრებების თანახმად ელიტის ცვლილების თვალსაზრისით ვარდების რევილუციამდე და მას შემდეგ განვითარებული მოვლენების შემდეგ, დღესდღეობით ახალი ელიტა ცდილობს დაიკავოს ყველა პოზიცია მმართველ წრეებში. არ მომხდარა არავითარი ელიტის ცვლა, მოხდა მხოლოდ მმართველი კადრების სტრუქტურის შეცვლა. გავრცელდა ანეგლოტი, რომ “ახალი მინისტრი მოსვლისთანავე ცვლის ყველას, დამლაგებლიდან მინისტრის მოადგილის ჩათვლით.”

სოციოლოგი, დამოუკიდებელი პოლიტიკური ექსპერტი:

*“მთლიანი სტრუქტურის კვლავდაკვლავ ცვლილების შედეგად საბოლოოდ მივიღეთ მმართველი სტრუქტურა, რომელიც დაკომპლექტებულია არაკომპეტენტური კადრებით. მხოლოდ მაშინ როდესაც იცვლება ელიტა, ხოლო სტრუქტურა უცვლელი რჩება, ხდება გამოცდილებისა და კომპეტენციის თავმოყრა და გასაგები ხდება როგორ უნდა იმართოს თითოეული სფერო. სტრუქტურა აგრძელებს მუშაობას, ხოლო ელიტა აყალიბებს და მიმართულებას აძლევს პოლიტიკურ კურსს.”*

რა ცვლილებები მოყვა ახალი კადრების მოსვლას მათი რეკრუტირების მიღმა? ზოგიერთი ექსპერტის თანახმად ძველი კადრები იყვნენ კორუმპირებული: “ძველი სისტემისა და ელიტის მთავარი მახასიათებელი არის კორუფცია და არადემოკრატიული მმართველობა. გადაწყვეტილების მიღება ხდებოდა მხოლოდ ერთი პირის (პრეზიდენტის) მიერ და სხვები მხოლოდ ადასრულებდნენ ამ გადაწყვეტილებას.” არ იმართებოდა რაიმე სახის კონსულტაციები. ძველ სისტემაში მნიშვნელობა ქონდა იმას თუ ვინ ვისი “კაცი” იყო და არა ადამიანის უნარ-ჩვევებსა და კომპეტენციას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ მთავარ ღირებულებას წარმოადგენდა არა დამსახურება, არამედ კავშირები. ახლი ელიტისა და სისტემის პირობებში კორუფცია გარკვეულწილად შემცირდა (მაგ: საპატრულო პოლიცია, ნაკლებად ბიორაკრატიული მომსახურება), მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ის გაიზარდა კიდევ, ან განიცადა სახეცვლილება. უარყოფითი ცვლილებების მაგალითია კორუფციის ფორმის ცვლილება და მმართველი უმრავლესობის მზარდი ავტორიტარული ძალაუფლება. ექსპერტები,

ისევე როგორც მთლიანი ოპოზიციური ელიტა და არასამთავრობების წარმომადგენლები, აღნიშნულის მაგალითად ასახელებენ საქართველოს სასამართლო სისტემაში განხორციელებულ უკანასკნელ ცვლილებებს.

პოლიტოლოგი, დამოუკიდებელი პოლიტიკური ექსპერტი:

“სასამართლო სისტემაში განხორციელებული ზემოხსენებული რეფორმების შედეგად დაპატიმრება ხშირად ხდება არა იმიტომ, რომ დამნაშავე ამას იმსახურებს, არამედ იმიტომ რომ გადაიხადოს მოცემული შემთხვევისთვის დაწესებული ოფიციალური გადასახადი. სასაცილოდ მივიჩნევდით აქამდე არსებულ სასამართლო სისტემაზე საუბარს, მაგრამ ახლა ვაცნობიერებთ, რომ მაშინ მიიღებოდა ზოგიერთი მთავრობის ინტერესების წინააღმდეგ მიმართული გადაწყვეტილება, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ სასამართლო რაღაც ნაწილში მიუკერძოებელი იყო. დრესდენობით საერთოდ არ მიიღება ასეთი გადაწყვეტილებები. სახეზეა სტრუქტურული ცვლილება, სადაც აღმასრულებელმა ხელისუფლებამ ‘მთანთქა’ მმართველობის მესამე შტო სასამართლო სისტემა.”

კორუფციასთან ერთად, ქართულ პოლიტიკურ ელიტასტან დაკავშირებული ხშირად დასახელებული ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა ნეპოტიზმი. აღნიშნული საკითხი ასევე წარმოადგენდა წინამდებარე კვლევის ინტერესს. როგორც ერთ-ერთმა ექსპერტმა განაცხადა: “საქართველო არის ძალიან პატარა ქვეყანა და პრაქტიკულად არ არსებობს შემთხვევა, რომ სადილად გასულს არ შეგხვდეს ორი-სამი ნათესავი მაინც, მაგრამ რა თქმა უნდა ეს არ არის გადამწყვეტი ფაქტორი.” ადრე არსებობდა რიტორიკა, რომ ძველი ელიტა არის კლანური ხასიათის წარმონაქმნი, მაგრამ ახლა სიტყვა “კლანი” შეიცვალა სიტყვა “გუნდით”, ხოლო შინაარსობრივად იგივე სიტუაციასთან გვაქვს საქმე. ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ სიტუაცია გაუარესდა, რადგან ახლა გაცილებით მეტი ნათესავია მმართველ სტრუქტურებში ვიდრე ადრე. დრესდენობით გაცილებით მეტი, ძმები, მამები და შვილები და ერთი ოჯახის წევრები არიან წარმოდგენილი სხვადასხვა მმართველ სტრუქტურაში, ვიდრე

ოდესმე არსებობდა. ექსპერტების თანახმად მოხდა არა კლანების აღმოფხვრა, არამედ შეიქმნა სიტუაცია სადაც “ჩემი კლანი ჯობია მათ კლანს”.

ზემოაღნიშნული ვითარების გათვალისწინებით, ექსპერტები არ თვლიან, რომ ვარდების რევოლუციის შემდეგ მოხდა მმართველი ელიტის, ან მმართველობის სტილის ძირეული სახეცვლილება. მათ განაცხადეს, რომ რევოლუციის სამივე ლიდერი: მიხეილ სააკაშვილი, ზურაბ ჟვანია და ნინო ბურჯანაძე წარმოადგენდნენ ძველი მმართველი ელიტის ლიდერებს. შესაბამისად მთავრობის მაღალ ეშელონებში კვლავ აღმოჩნდნენ იგივე ადამიანები, რომლებიც ამჟამად ახალ ელიტად იწოდებიან და დემოკრატიული პრინციპების მიმდევრებად გვევლინებიან. როგორც ერთ-ერთმა ექსპერტმა აღნიშნა: ”დარჩნენ იგივე ადამიანები, შემდეგი ფორმულით ჩვენ გვეგონა საქართველო სხა გზით ვითარდებოდა და რომ მივხდით სინამდვილეში რა ხდებოდა, იმედგაცრუებულებმა ოპოზიციაში გადავინაცვლეთ.”

უნდა აღინიშნოს, რომ თუ ამ ხალხმა არ იცოდა რა მიმართულებით ვითარდებოდა ქვეყანა ათი წლის განმავლობაში, მაშინ შეგვიძლია ისინი ჩავთვალოთ არაკომპეტენტურებად პოლიტიკური პროცესების შეფასების საკითხში, ან/და რომ მათ დაინახეს კრიზისში მყოფი მმართველი ელიტა და გადაინაცვლეს ოპოზიციაში “დროზე დატოვეს გემი, რომელიც იძირებოდა”.

ძველი ელიტის უმეტესი ნაწილი ახლა წარმოდგენილია ე.წ “ჟვანიას გუნდში”, “ბურჯანაძის გუნდში” და ნაკლებად “სააკაშვილის გუნდში”. ექსპერტებმა ისაუბრეს ძალაუფლების განაწილების მსგავსი მოდელის არსებობაზე ძველსა და ახალ ელიტას შორის და დაასკვნეს რომ ამჟამინდელი პოლიტიკური ელიტის თითქმის ნახევარი ძველი ელიტიდან მოდის. ახალი ელიტა ძირითადად დაკომპლექტებულია მმართველობის იგივე სტილის მქონე ახალგაზრდა გამოუცდელი კადრებისაგან, რომელთაც საზოგადოება ძველ ელიტასთან აიგივებს, რადგან ისინი იყენებენ პოლიტიკის ფორმირების ანალოგიურ სტილს, ჩამოაყალიბეს ნათესავების ქსელი, ახორციელებენ ლობირებას და ბიზნესის წილების გადანაწილებას. ახალ მთავრობაში მომუშავე რამოდენიმე ნამდვილი პროფესიანალი კი ვერ ახერხებს “პოლიტიკური ამინდის შეცვლას” ან/და მათ ავიწყდებათ დემოკრატიული ღირებულებები ხელისუფლებაში მოსვლისთანავე. რაც შეეხება ოპოზიციურ ძალებს, ცხადია რომ ისინი ძალიან სუსტია. როგორც პოლიტიკურმა ექსპერტმა გაიანოდიამ განაცხადა: ”ოპოზიცია სუსტია არა მარტო იმიტომ, რომ აქვს მხოლოდ



რამოდენიმე მანდატი პარლამენტში, არამედ იმიტომ რომ ის განიცდის იდეებისა და პოპულარული ლიდერების ნაკლებობას”.

პოლიტიკური ექსპერტების მოსაზრებების შეჯამებისას ცხადი ხდება, რომ პოლიტიკური ელიტა დაკომპლექტებულია ადამიანებით, რომლებსაც აქვთ კავშირები ყოფილი სმკ-ს წევრებთან, ასევე “ახალი სახეებით”, რომლებიც ახორციელებენ გაუგებარ პოლიტიკას. ჩაბმულები არიან საეჭვო ქსელებში, ეხმარებიან ნათესავეებსა და მეგობრებს უკეთესი თანამდებობების დაკავებაში, რის გამოც მათ აღიქვამენ, ძველი კორუმპირებული ელიტს ანალოგებად. პარალელურად არსებობს ჭეშმარიტად ახალი ელიტა, რომელიც წარმოიშვა ძირითადად არასამთავრობო სექტორისგან, რომელიც ასევე მხარს უჭერს უმრავლესობაში მყოფ ელიტას. რამდენიმე პოზიტიურ ცვლილებასთან ერთად აღინიშნება ზოგიერთ სფეროში სიტუაციის გაუარესება. ექსპერტების მთავარი აღშფოთების საგანს წარმოადგენს პრეზიდენტისა და მმართველი ელიტის მზარდი ავტორიტარული ძალაუფლება. ექსპერტები ხედავენ სიტუაციიდან ორი სახის “გამოსავალს”:

1) ბიზნესის ძალაუფლების გაზრდა, წვრილი და საშუალო ბიზნესების განვითარების გზით, ანუ ეკონომიკა უნდა კარნახობდეს პოლიტიკას და არა პირიქით. შესაბამისად უნდა მოხდეს თავისუფალი წარმოების ხელშეწყობა, როგორც ადგილობრივი ასევე უცხოურის.

2) დასავლეთის პოლიტიკის შეცვლა საქართველოს ხელისუფლების მიმართ. დასავლეთს მეტი წინდახედულობა მართებს პოლიტიკის შემუშავების პროცესში. ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით უნდა დაწესდეს მეტი კონტროლი და მონიტორინგი მიმდინარე პროცესებზე, მმართველი ელიტის აბსოლუტური მხარდაჭერის ნაცვლად.

“დასავლეთმა კეთილსინდისიერი თანამშრომლობისა და საქართველოს ახალი ლეგიტიმური რეჟიმის დახმარების პარალელურად უნდა გაითვალისწინოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში შემაშფოთებელი ძალაუფლების კონცენტრაცია. რაოდენ ქარიზმატულიც არ უნდა იყოს სააკაშვილი, ერთპიროვნულად ის ვერ შეძლებს ქვეყნის ლიბერალიზაციას და ყურადღება უნდა მიაქციოს დამოუკიდებელი ინსტიტუტების ჩამოყალიბებას, რომლებიც ლიდერის მიუხედავად მოახერხებენ დემოკრატიის განმტკიცებას”. (ამონარიდი მედიადან) პოლიტიკური ექსპერტი.

## ახალი ოპოზიციური პოლიტიკური ელიტა

ამ ეტაპზე ძალიან საინტერესოა საქართველოს პოლიტიკურ ელიტაში ამჟამინდელი ოპოზიციური ძალების პოზიცია. როგორც ისინი მიიჩნევენ, პირველი რასაც ყურადღება უნდა მივაქციოთ არის ის, რომ ახალი ელიტის უმრავლესობას წარმოადგენს ძველი ელიტა. ეს შეიძლება ითქვას ზ. ჟვანიას გუნდზე, რომელიც პრაქტიკულად უცვლელი ფორმით მოვიდა ახალ ხელისუფლებაში. ნ. ბურჯანაძის გუნდზეც, რომელმაც ასევე თითქმის უცვლელი ფორმით გადმონაცვლა ძველი ელიტიდან. რაც შეეხება ნაციონალურ მოძრაობას (სააკაშვილის პარტია), მისი 80% დაკომპლექტებულია (ოპოზიციის აზრით) სმკ-ის წევრებით. ახალ მმართველ ელიტას დაემატა მხოლოდ ორი ჯგუფი: ერთი მოვიდა თავისუფლების ინსტიტუტიდან, ხოლო მეორე არის “ახალგაზრდა ზონდერების” ჯგუფი (რესპოდენტების მიერ დასახელდა რამოდენიმეს სახელი პოლიტიკური ელიტის უმრავლესობიდან), ანუ ე.წ ვ. მერაბიშვილის ჯგუფი. ერთადერთი ჯგუფი, რომელიც არ არის წარმოდგენილი ახალ ელიტაში, არის ძველი “ნომენკლატურის” წევრები, რომლებიც შევარდნაძის კეთილგანწყობით სარგებლობდნენ და ბოლო მომენტამდე იმყოფებოდნენ მმართველი ელიტის რიგებში. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ასაკოვანი ნომენკლატურა ამოღებულია ახალი ელიტიდან.

პოლიტიკური ოპოზიციის ლიდერები ეთანხმებიან ექსპერტებს, რომ პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში არ შეინიშნება რაიმე სახის კონცეპტუალური ცვლილებები. შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი ხელისუფლება ისევე მართავს ქვეყანას, როგორც შევარდნაძე. “სახეზეა ერთი დიდი საარჩევნო უბანი, სადაც სულ მოგებული უნდა დარჩე, ხოლო არჩევნების შუალედებში უნდა აკეთო ფული”. ოპოზიციური ელიტა ამტკიცებს, რომ მ. სააკაშვილს (ე. შევარდნაძის მსგავსად) არ გააჩნია სახელმწიფოს განვითარების ხედვა. მათი (მმართველი ელიტის) ერთადერთი მიზანია ხელისუფლებაში რაც შეიძლება მეტი ხნით დარჩენა, ხოლო იმას თუ რა საშუალებებით მოახერხებენ ამას, მნიშვნელობა არა აქვს.” ყველაფერი ისეა, როგორც ადრე ერთი განსხვავებით,

რომ მ. სააკაშვილთან შედარებით ე. შევარდნაძე ნაკლებად გაბედული პოლიტიკოსი იყო. მ. სააკაშვილი უფრო რადიკალურ გადაწყვეტილებებს იღებს.

“მთავარი განსხვავება პოლიტიკის განხორციელებაში არის ამჟამინდელი ხელისუფლების უფრო გაბედული ნაბიჯები. მაგალითად არალეგალური პრივატიზაციის საკითხი, ან პარლამენტის წევრის გათავისუფლება. შევარდნაძე და ძველი ხელისუფლება ვერასოდეს გაბედავდა ასეთი გადაწყვეტილებების მიღებას.”

ოპოზიციის ლიდერები აცხადებენ, რომ სამწუხაროდ რევოლუციას არ მოუტანია დადებითი შედეგები საქართველოსათვის, მიუხედავად არსებული დიდი შესაძებლობებისა. მათი აზრით საქართველოს შემდგომში აღარ ექნება ასეთი შანსი. ზ. გამსახურდიას და ა. სააკაშვილის ელიტას ხელში ეჭირათ ასეთი კარტ-ბლანში, მაგრამ მათ ის ვერ გამოყენეს. ეს შანსები დაკარგულია, ხოლო მომდევნო ხელისუფლებებს არ ექნებათ ხალხის ასეთი მხარდაჭერა, ვინაიდან ხალხი ინდიფერენტული გახდა. სააკაშვილი კარგი კანდიდატი იყო ახალგაზრდა, დასავლეთში მიღებული განათლებით, ენერგიული და გააჩნდა ყველა მახასიათებელი, რომ გამხდარიყო საქართველოს აღმშენებელი, ან “საქართველოს დე გოლი”. როგორც ერთ-ერთმა ოპოზიციონერმა პოლიტიკოსმა განაცხადა “სამწუხაროდ ის გახდა მერაბიშვილისა და მსგავსი პატარა დაჯგუფებების ნათლიმა”. ამრიგად ვარდების რევოლუციის შემდეგ ძველმა ელიტამ შეძლო საკუთარი თავის რეპროდუცირება, შესაბამისად დღევანდელი პოლიტიკური ელიტა დაკომპლექტებულია ძველი ელიტით, ზოგიერთ ახალგაზრდა ერთგულ ვასალთან ერთად. ამრიგად, ჩვენ მივიღეთ ძველი და ახალი ელიტების ნარევი და კიდევ უფრო უარესი მდგომარეობა პოლიტიკის განხორციელების თვალსაზრისით.

## ძველი პოლიტიკური ოპოზიციური ელიტები

განსხვავებული შეხედულება აქვთ იმ ოპოზიციურ ძალებს, რომლებიც წარმოადგენენ ახალი პოლიტიკური ელიტის ნაწილს და ასევე ძველი პოლიტიკური ელიტის მმართველობაშიც იღებდნენ მონაწილეობას. ისინი ცდილობენ მოახდინონ თავიანთი მონაწილეობის დეველვაცია ძველი ხელისუფლების მმართველობის პერიოდში და ხაზი გაუსვან მხოლოდ ამჟამინდელი ელიტის უმრავლესობის უარყოფით მხარეებს: “პოლიტიკური ელიტა ძალიან შეიცვალა, მე ვგულოსხმობ მმართველ ძალას, რომელიც აკონტროლებს აბსოლუტურად ყველაფერს და ცდილობს თავისი კადრებით დააკომპლექტოს სასამართლო სისტემა” პარტია “ახალი მემარჯვენეების” ერთ-ერთი ლიდერი.

რესპოდენტები აცხადებენ, რომ ეს ელიტა ცდილობს შეცვალოს პოლიტიკური ელიტა ყველა სფეროში. ისინი ასევე ამტკიცებენ, რომ არის კიდევ ერთი ასპექტი: 1995 წლიდან საქართველო იმართებოდა ერთი პოლიტიკური ძალის “საქართველოს მოქალაქეთა კავშირის” მიერ და დღევანდელი მთავრობის დიდი ნაწილი ძველი ელიტის წარმომადგენელია. მაგალითად, მ. სააკაშვილი იყო ე. შევარდნაძის უმრავლესობის ლიდერი, ხოლო შემდეგ იუსტიციის მინისტრი. ახალი ელიტის სხვა წამყვანი ფიგურებიც ასევე იყვნენ ძველი ელიტის ლიდერები, როგორებიცაა ზ. ჟვანია, ნ. ბურჯანაძე, ზ. ნოღაიდელი (ახლანდელი პრემიერ-მინისტრი, რომელიც იყო ფინანსთა მინისტრი შევარდნაძის მმართველობის პერიოდში) და მრავალი სხვა. (“ახალი მემარჯვენეების” წარმომადგენელი, 2005წ.) ამრიგად ერთის მხრივ დარჩნენ ადამიანები, რომლებიც ფაქტობრივად ბოლო მომენტამდე წარმოადგენდნენ შევარდნაძის გუნდის ძირითად ბირთვს, ხოლო შემდეგ დაუპირისპირდნენ და კვლავ დაბრუნდნენ მთავრობაში რევოლუციის გზით, ხოლო მეორე მხრივ არიან ახალგაზრდა ადამიანები, რომლებსაც ადრე საერთოდ არ უმუშავიათ და უცებ აღმოჩნდნენ მმართველი ელიტის ხელმძღვანელ თანამდებობებზე (მაგალითებად დასახელდა რამოდენიმე წვერი მმართველი ელიტიდან).

ოპოზიციონერი რესპოდენტების აზრით, ახალი ელიტა უფრო საშიშია, რადგანაც შევარდნაძის პერიოდში ყველა ელოდებოდა მისი მმართველობის დასასრულს და ახალი მრავალპარტიული სისტემის ჩამოყალიბებას. დღესდღეობით კი კვლავ სახეზეა ერთ-პარტიული სისტემა და ყველაფერს ერთი

პარტია აკონტროლებს. ხალხი უკმაყოფილოა კანონმდებლობით, რადგან ძალაუფლება მთლიანად მის ხელშია. ხალხი არ მოელოდა, რომ მ. სააკაშვილის სახით მიიღებდა “ახალ შევარდნაძეს” და მისი მმართველობის სტილის გამგრძელებელს. კონსტიტუციისა და ასაკიდან გამომდინარე შევარდნაძე ვეღარ შეძლებდა არჩევნებში მონაწილეობის მიღებას. “ანუ ის რაც ბუნებრივად უნდა დამთავრებულიყო, ჩვენ დავამთავრეთ რევოლუციით და რევოლუციის ეიფორიის ზეგავლენით მხარი დავუჭირეთ მ. სააკაშვილს.”

### **არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერები**

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სამოქალაქო საზოგადოებამ დაიწყო ჩამოყალიბება შევარდნაძის ათწლიანი მმართველობის დროს. რა თქმა უნდა, ის არსებობდა არასამთავრობო ორგანიზაციების დონეზე და ევროპისა და აშშ-ს ფონდების წყალობით. აღნიშნული არასამთავრობო ორგანიზაციები ორიენტირებული იყვნენ დასავლეთზე. ეს ორიენტაცია შეიმჩნეოდა, როგორც პოლიტიკურ პარტიებში ასევე ზოგადად საზოგადოებაში. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ საზოგადოების დასავლეთის მიმართ დამოკიდებულება გაცილებით უკეთესი იყო ვიდრე ამჟამადაა, რევოლუციის შემდეგ. დასავლეთს ხალხი უყურებდა, როგორც მეგობარს, იმედს, დემოკრატიის განმახორციელებელ ინსტიტუტს, რომელიც ეხმარებოდა ყველას, ვინც იბრძოდა ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული ღირებულებებისათვის. სხვა საკითხია, როგორ ხდებოდა დემოკრატიული ღირებულებებისათვის ბრძოლა, თუმცა 2003 წელს არსებობდა დამოუკიდებელი მედია, რომელიც არ კონტროლდებოდა მთავრობის მიერ. მმართველი ელიტა ასევე ვერ აკონტროლებდა იმ ადამიანებს და ბიზნესმენებს, რომლებიც ინვესტიციას დებდნენ მედია საშუალებებში. მედია და არასამთავრობო ორგანიზაციები უშიშრად გამოდიოდნენ მთავრობისა და მისი შეცდომების წინააღმდეგ, რასაც მოყვა ვარდების რევოლუცია. ამრიგად, მმართველ ელიტაში “რეფორმატორთა ჯგუფის” შექმნამდე, როდესაც დაიშალა ძველი ელიტის

ერთიანობა, არასამთავრობო ორგანიზაციების და მედიის წარმომადგენლები უფრო ღიად უპირისპირდებოდნენ მაშინდელ რეჟიმს, აკრიტიკებდნენ დაშვებულ შეცდომებს და ძველი ელიტის არადემოკრატიულ პრინციპებს. რევოლუციის შემდეგ სამოქალაქო საზოგადოების აქტიური წევრები მოხვდნენ ახალ ელიტაში და არასამთავრობო სექტორი დასუსტდა.

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები ასევე აღნიშნავენ, რომ პარლამენტის წევრების ნახევარი არ ჩანაცვლებულა (მაჟორიტარული სისტემით არჩეული ადამიანები არ შეიცვალნენ<sup>5</sup>), ხოლო რევოლუციის ძირითადი მიზეზი - არალეგიტიმურად არჩეული პარლამენტი და გაყალბებული არჩევნები დავიწყებას მიეცა.

ამ “ახალმა” პარლამენტმა განახორციელა მთელი რიგი კონსტიტუციური ცვლილებები, რამაც გაზარდა აღმასრულებელი ხელისუფლების ძალაუფლება და პრეზიდენტის როლი. ყოველივე ეს კი დაბრალდა ძველი ელიტის წარმომადგენლებს, რომლებიც თანამდებობებზე დარჩნენ. საბოლოოდ, მივიღეთ პარლამენტი, რომელიც დაკომპლექტებული იყო ნახევარად ძველი ელიტის წარმომადგენლებით, ხოლო ნახევრად უმრავლესობის წევრებით (ნაციონალური მოძრაობა), რომელთა უმეტესობა ხალხსთვის უცნობია. აღნიშნულმა ვითარებამ 90-იანი წლების დასაწყისში დაგვაბრუნა, როდესაც მოქალაქეთა კავშირი მოვიდა ხელისუფლებაში. მმართველი ელიტის დაკომპლექტება იმ პერიოდშიც ფორს-მაჟორულ ვითარებაში მოხდა, თუმცა იმ დროს ელიტაში უფრო მეტი ცნობადი სახე იყო. ძველი ელიტის მმართველობის პერიოდში იგულისხმებოდა, რომ ადამიანები, რომლებიც ხმას აძლევდნენ ე. შევარდნაძეს, ხმას აძლევდნენ მოქალაქეთა კავშირსაც და შესაბამისად უცნობ ხალხს. ანალოგიური ვითარებას ვაწყდებით ნაციონალებთანაც. ადამიანებმა, რომლებმაც ხმა მისცეს მ. სააკაშვილს, ასევე ხმა მისცეს უცნობ ადამიანებს ნაციონალური პარტიდან, ხოლო მმართველ ელიტაში მყოფი ეს ადამიანები კვლავ უცნობად რჩებიან საზოგადოებისთვის. ამ პარტიას ყავს რამოდენიმე სპიკერი, რომელიც კომენტარს აკეთებს ყველა საკითხზე, ხოლო პარტიის დანარჩენი წევრები საჯაროდ არ ჩნდებიან და უცნობები არიან საზოგადოებისთვის. ზოგადად არასამთავრობო ორგანიზაციების შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ პარლამენტის უფლებები შესუსტდა და პრეზიდენტს აქვს უფლება ნებისმიერ დროს დაითხოვოს იგი. ოპოზიცია არის სუსტი. რეალურად არ ჩანს ისეთი

<sup>5</sup> იხ. დანართი

ძალა, რომელიც რეალურად დაუპირისპირდება მმართველ უმრავლესობას და ჩამოაყალიბებს ახალ პოლიტიკურ ელიტას.

“ცვლილებები არის ყველა სფეროში, მაგრამ ამ ცვლილებებს აქვთ ერთი განსაკუთრებულობა, რომელიც გამოიყენება მთავრობის მიერ თითქმის ორი წელია: მუდმივი კონსტიტუციურ ცვლილებები, რომლებსაც მარტივად ამტკიცებს პარლამენტი იმ მოტივით, რომ რეფორმების გატარება აუცილებელია ევროსტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით”- არასამთავრობო ორგანიზაციის ლიდერი.

ეს ცვლილებები ხორციელდება კორუფციის აღმოფხვრის ღოზუნგის ქვეშ, თუმცა როგორც ბევრი ექსპერტი ამტკიცებს კორუფციამ შეიცვალა სახე, უფრო მაღალ ეშელონებში გადაინაცვლა და თითქმის ყველა სფეროში ხორციელდება “წილების განაწილება”. ძირითადი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ვარდების რევოლუციამდე ეს ინფორმაცია ადვილად ხელმისაწვდომი იყო საზოგადოებისთვის. არასამთავრობოებისთვის ნაკლებ სირთულეს წარმოადგენდა საჯარო ინფორმაციის მოპოვება. მსგავსი ვითარებაა შექმნილი მონიტორინგის რეფორმებთან დაკავშირებით.

“ახალი” სახეები, რომლებიც მოვიდნენ ქვეყნის სათავეში ვარდების რევოლუციის შემდეგ არიან ძალიან მჭიდრო კავშირში ძველ ელიტასთან და მოქალაქეთა კავშირის დაშლის შემდეგ მათ ოპოზიციაში გადაინაცვლეს. ახალი ელიტის ღირებულებები შეიცვალა მთავრობაში მათი მოსვლის შემდეგ. ასევე მმართველ ელიტაში მოხვდნენ ის ადამიანები, რომლებიც ასრულებდნენ ყოველდღიურ სამუშაოს პარტიებში (მაგალითად, ევალუბოდათ პოსტერების გაკვრა). ისინი შეიყვანეს პარტიულ სიაში რევოლუციის პროცესებში შეტანილი წვლილისთვის.

ამრიგად, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ეთანხმებიან ოპოზიციის წარმომადგენლებს იმაში, რომ მმართველი ელიტა არ შეცვლილა, ის დაკომპლექტდა ე. შევარდნაძის მთავრობიდან და მისი დასაყრდენი პარტია მოქალაქეთა კავშირიდან. არ არის საჭიროება ვისაუბროთ ახალ და ძველ ელიტას შორის კავშირზე, ვინაიდან ძველმა ელიტამ დიდი ცვლილების გარეშე მოახერხა თავისი თავის რეპროდუცირება. ახალი მმართველი ელიტის მართვის სტილი არ შეცვლილა. ამასთანავე მოსახლეობისა და დასავლეთის მხარდაჭერის გამო მათი გადაწყვეტილებები უფრო გაბედული და რადიკალურია. რამოდენიმე პოზიტიური ცვლილებების გარდა (რომელიც

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა აღნიშნეს), უმეტეს სფეროებში სიტუაცია გაუარესდა ე. შევარდნაძის მმართველობის პერიოდთან შედარებით. ძველი კავშირების პარალელურად მმართველი სტრუქტურების შიგნით შეიქმნა ახალი ქსელები, რომელთაც თავისი ინტერესის სფეროები აქვთ სხვადასხვა ბიზნესებში. ოპოზიციური ძალების აზრით, არსებობს ერთი “გამოსავალი” - ყველა ოპოზიციური პარტიის (პარლამენტის შიგნით და პარლამენტის გარეთ) გაერთიანება და ხელისუფლების უმრავლესობაში მოსვლამდე შეთანხმების მიღწევა ძალაუფლების განაწილების სისტემისა და კონსტიტუციური ცვლილებების თაობაზე. არასამთავრობო ორგანიზაციების აზრით კი, საზოგადოებამ უნდა მოითხოვოს მთავრობისგან უფრო მეტი გამჭვირვალობა და ანაგარიშვალდებულება; უნდა გააქტიურდეს სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც გახდა ინერტული ვარდების რევოლუციის შემდეგ; გაძლიერდეს მედია და არასამთავრობო ორგანიზაციები, რაც ასევე დიდ წილად დამოკიდებულია დასავლეთის მხარდაჭერაზე.

***პოლიტიკური ელიტის უმრავლესობა (გაერთიანებული ნაციონალური მოძრაობა–დემოკრატები)***

ასეთი უარყოფითი შეფასების შემდეგ საინტერესოა ასევე მმართველი პოლიტიკური ელიტის უმრავლესობის მოსაზრებები. აღშანიშნავია, რომ ახალი მმართველი ელიტის წამომადგენლები არ გამოდიან პრეზიდენტ სააკაშვილის წინააღმდეგ. მათი მოსაზრებების უმეტესობა ემხრობა, ან მ. სააკაშვილის განცხადებების უშუალოდ გაჟღერებას. ოპოზიციასთან დაკავშირებით მათი კომენტარი შემოიფარგლება ისეთი განცხადებებით, რომ ყველა ოპოზიციური ძალა არის შევარდნაძის რეჟიმის გადმონაშთი, ან რომ ოპოზიციონერები უბრალოდ პოპულისტები არიან და ქვეყანას არ ყავს ნამდვილი ოპოზიცია. მმართველი პოლიტიკური ელიტის შეხედულება ოპოზიციონერი პოლიტიკოსების შესახებ, ნათლად გააჟღერა პრეზიდენტმა სააკაშვილმა ერთ-ერთი პრესკონფერენციის დროს:



“ოპოზიცია გვეკამათება თითქმის ყველა საკითხზე... მაგრამ როდესაც ამბობენ, რომ ვიღაც არის ცუდი, ვიღაც არის მკვლელი, ვიღაც არის გაუნათლებელი.. მათ (ოპოზიციურ პარტია) შეუძლიათ ეს ყველაფერი ერთმანეთს უთხრან და ერთმანეთი დაადანაშაულონ. ჩვენ მზად ვართ მივიღოთ ყველაზე მკაცრი კრიტიკაც კი პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით... ყველაფერი დანარჩენი კი არის სისუსტისა და არაკომპეტენტურობის მაჩვენებელი” პრეზიდენტი სააკაშვილი.

ჩემი აზრით, მმართველი პოლიტიკური ელიტის მიერ მ. სააკაშვილის უპირობო მხდაჭერა და მისი განცხადებების გამეორება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მმართველი ელიტის საზოგადოებაში პოპულარობა და რეიტინგი განისაზღვრება თავად სააკაშვილის პოპულარობითა და რეიტინგით. რაც შეეხება სხვადასხვა რეფორმებისა და პოლიტიკის კრიტიკას, მისი უარყოფისთვის მმართველი ელიტა ძირითადად იყენებს ანტიკორუფციულ რიტორიკას. მაგალითად, იურიდიული სისტემის რეფორმასთან დაკავშირებით ერთ-ერთმა რესპოდენტმა განაცხადა:

“ჩვენ წამოვიწყეთ კამპანია, რომელიც მიზნად ისახავს იურიდიული სისტემის გაწმენდას იმ მოსამართლეებისგან, რომლებიც უზულვებელყოფდნენ კანონს წლების მანძილზე; იმ მოსამართლეებისგან, რომლებიც იყვნენ არა მოსამართლეები, არამედ პროკურორისა და ადვოკატის მომრიგებლები.”- ნაციონალური მოძრაობის წევრი.

ვარდების რევოლუციის შემდეგ პოლიტიკური ელიტის წარმოშობასა და ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით ისინი აცხადებენ, რომ ისინი წარმოადგენენ ახალ ძალას, ახალ ელიტას, რომელსაც სახელმწიფო მიჰყავს ევროსტრუქტურებისკენ დემოკრატიის გზით. ისინი დარწმუნებულები არიან თავიანთ მართებულობაში, ვინაიდან მოსახლეობა და დასავლეთი მათ უცხადებს მხდაჭერას როგორც რევოლუციის პერიოდში, ასევე მას შემდეგ და “თავს უფლებას აძლევენ” ნაკლებად მოუსმინონ ოპოზიციას, რომელიც ხალხს “არ მოსწონს”. მათ თვითდაჯერებულობას განპირობებს ის ფაქტი, რომ მათ რიგებში ნაკლები “სახეები” ჰყავთ ძველი ელიტიდან (სხვა რომელიმე ოპოზიციური პოლიტიკური პარტიისგან განსხვავებით), ხოლო ისინი, ვისაც კავშირები ქონდა ძველ ელიტასთან, ბოლო წლების განმავლობაში იყვნენ მაშინდელი “ჭაობის რეჟიმის” აქტიური მოწინააღმდეგეები და რევოლუციონერები, როგორც კი გააცნობიერეს, რომ შევარდნაძის მთავრობა კორუმპირებული იყო, ხოლო მისი

რეჟიმის გამოსწორება შეუძლებელი. მათ პარტიაში გაწევრიანებულები არიან ასევე ახალგაზრდა ადამიანები, რომელთაც დასავლეთში მიიღეს განათლება და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც საზოგადოებაში დიდი პოპულარობით სარგებლობენ. ისინი საუბრობენ რა პოზიტიურ ცვლილებებზე, როგორცა საგადასახადო სისტემაში, საპატრულო პოლიციაში, ასევე გაზრდილ ხელფასსა და პენსიებზე, ჯარის გაუმჯობესებაზე და გზების შეკეთებაზე და ა.შ., მიუხედავად კრიტიკისა და აშკარა ნეგატიური პროცესებისა მმართველი ელიტის განწყობა დადებითია. როგორც ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა წევრმა განაცხადა : “საქართველოში პროცესები ვითარდება სწორი მიმართულებით.”

### *ელიტის ცირკულაციის დინამიკა 1992-2006*

ე. შევარდნაძის დე ფაქტო მმართველობის პირველ წლებში 1992-1995, ქვეყანაში ვითარება იყო არასტაბილური. პირველი პრეზიდენტის გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ, მძვინვარებდა სამოქალაქო ომი და ორი ეთნიკური კონფლიქტი. მხოლოდ 1995 წელს, კონსტიტუციის მიღებისა და ე. შევარდნაძის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ შეიქმნა სტაბილური ვითარება ქვეყანაში. ამ პერიოდთან შესაძლებელია საუბარი გარკვეულ სუბორდინაციაზე და პოლიტიკური პარტიებისა და ელიტების ჩამოყალიბებაზე.



ქვემოთ წარმოდგენილია პოლიტიკური ელიტის მიმოქცევის პროცესის დინამიკა, ქვეყანაში ჩატარებული სამი არჩევნების მიხედვით, რომელსაც მიზანშეწონილია ვუწოდოთ უფრო პოლიტიკური ელიტის რეპროდუცირება და არა ცირკულაცია<sup>6</sup>. ამ მონაცემებიდან ცხადია, რომ შევარდნაძის პერიოდში მმართველმა პოლიტიკურმა ელიტამ მოახერხა 60-65%-ით რეპროდუცირება

<sup>6</sup> ინფორმაცია ბაზირებულია 1992-2008 წლამდე მთავრობისა და პარლამენტის წევრების 700-მდე ბიოგრაფიასა და პარტიულ კუთვნილებაზე ინფორმაციის ანალიზზე

პარლამენტიდან პარლამენტში და განახორციელა დაახლოებით ახალი წევრების 20-25% რეკრუტირება.

ვარდების რევოლუციის შემდეგ, როგორც არ უნდა იყოს მათი განცხადებები და პოლიტიკური კურსი, ძველი ელიტის 40%-მა მოახერხა რეპროდუცირება ახალ პარლამენტში, 38 %-ს კი მისი მხარდამჭერი კადრები შეადგენენ. პოლიტიკურ ელიტაში პოლიტიკური პარტიების წილობრივი განაწილების მიხედვით, სახეზეა ანალოგიური ერთ-პარტიული ძალაუფლება

ცხრილი №2- პარტიების განაწილება უმრავლესობა/ოპოზიციის კუთვნილებით 2003 წლამდე და 2003 წლის შემდეგ



ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში სმკ-ს საერთოდ არ ჰყავდა ოპოზიცია. **1, 2** და **3** წრეებით გამოსახულია პოლიტიკური დაჯგუფებები პარლამენტსა და მთავრობაში, რომლებიც ფაქტიურად სხვადასხვა პარტიების წევრები იყვნენ მაგალითად, “ტრადიციონალისტები”, “ეროვნულ-დემოკრატიული პარტია” და “აღორძინება”, მაგრამ მხარს უჭერდნენ შევარდნაძეს ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას. **4** წრე წარმოადგენს “ოფიციალურ ოპოზიციურ პარტიებს”, როგორცაა “ახალი მემარჯვენეები” და “მრეწველები” და რომლებიც ფაქტიურად ახლო კავშირში იყვნენ მმართველ ელიტასთან და მათ ნაწილად მოიაზრებოდნენ.

ვარდების რევოლუციის შემდეგ უმნიშვნელო ცვლილებები განხორციელდა მ. სააკაშვილის პარტიაში ნაციონალურ მოძრაობა - დემოკრატები. აშკარად ჩანს, რომ ნ. ბურჯანაძის და ზ. ჟვანიას გუნდებს<sup>7</sup>, რომლებიც გამოსახულია წრეებით **6** და **7** ეკავათ პოლიტიკური ელიტის მნიშვნელოვანი წილი. მაგრამ ორივე გუნდი ამჟამად მხარს უჭერს უმრავლესობას და მის ნაწილად მოიაზრება. ძველი ოპოზიციური პარტიები “ახალი მემარჯვენეები” და “ინდუსტრიალისტები” დაუპირისპირდნენ უმრავლესობას. **8** წრით წარმოადგენილია ოპოზიციური დაჯგუფებები პარლამენტსა და მთავრობაში, რომელიც დაყოფილია ორ **8ა** და **8ბ** ნაწილებად. **8ა** წარმოადგენს ოპოზიციურ პარტიებს, რომლებიც არსებობდნენ ძველი ელიტის დროს, ხოლო **8ბ** ახალ ოპოზიციურ ძალებს, რომლებიც დაკომპლექტებულია არასამთავრობო ორგანიზაციების წევრებისგან, ცნობადი სახეებისგან და ვარდების რევოლუციის აქტივისტებისგან.

ზემოხსენებულ მიგნებებთან ერთად, ამჟამინდელი მთავრობის 18 სახელმწიფო მინისტრის ბიოგრაფიებიდან ჩანს, რომ მათგან ცხრა, მათ შორის პრემიერ-მინისტრი ძველი ელიტის წარმომადგენელია და იყო პარლამენტის წევრი, ან მინისტრი შევარდნაძის მმართველობის პერიოდში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიუხედავად იმისა, თუ რას აცხადებს და რის დამტკიცებას ცდილობს მმართველი ელიტა და დასავლეთის ექსპერტები, რევოლუციის შემდეგ განხორციელდა მხოლოდდამხოლოდ ძველი პოლიტიკური ელიტის რეპროდუქცირება.

<sup>7</sup> ჟვანიას გუნდის მონაცემები მოცემულია მის გარდაცვალებამდე მდგომარეობით, როდესაც ეს გუნდი უფრო დამოუკიდებელი იყო ნაციონალური მოძრაობისგან

## *ელიტა და მისი ქსელი*

ძველი და ახალი კავშირები ბიზნესსა და პოლიტიკაში<sup>8</sup>

ცნებაში “ქსელი” იგულისხმება კომუნისტური პარტიის და კრიმინალური ქსელები. პარტიული ქსელების უმეტესობა შეიქმნა საბჭოთა პერიოდში და ზოგიერთმა მათგანმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პოსტ-საბჭოთა საქართველოში. ქსელები, რომლებიც ჩამოყალიბდა “რაიკომის” და “გორკომის” გარშემო ძალიან აქტიურები იყვნენ ე. შევარდნაძის პერიოდში. ასე მაგალითად, ქუთაისის “გორკომის” პირველი მდივანი იყო პრეზიდენტის წარმომადგენელი რეგიონში და მის ყოფილ თანამშრომლებს რეგიონში ეკავათ მნიშვნელოვანი თანამდებობები, როგორცაა გამგებელი და მერი. სამეგრელოსას მართავდნენ სხვადასხვა ნომენკლატურული კლანები. პრეზიდენტის წარმომადგენელი საქართველოში, რომელიც ასევე დაკავშირებული იყო სამეგრელოს კომუნისტურ პარტიასთან, ამბობენ, რომ გაერთიანებული იყო სხვა ქსელებთან.

ქსელები<sup>9</sup> - იგულისხმება, როგორც კომუნისტური პარტიის ქსელები ასევე კრიმინალური ქსელები. საბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბდა არაერთი ქსელი, რომელთა დიდმა ნაწილმა აქტიური როლი ითამაშა პოსტ-საბჭოთა საქართველოში. “რაიკომსა” და “გორკომში” ჩამოყალიბებული პატრონაჟული ქსელები გამოირჩეოდა თავისი მაღალი აქტივობით ე. შევარდნაძის ეპოქაში. საქართველოს მეორე ქალაქის, ქუთაისის “გორკომის” ყოფილი პირველი მდივანი იყო პრეზიდენტის უფლებამოსილი წარმომადგენელი იმერეთის რეგიონში და ზოგიერთ მის ახლობელს ეკავა გამგებლის, ან ქალაქის მერის თანამდებობა. საქართველოს დასავლეთ რეგიონში სამეგრელოში ასევე დომინირებდნენ “ნომენკლატურული კლანები”. სამეგრელოში პრეზიდენტის უფლებამოსილი წარმომადგენელი, რომელიც სამეგრელოს კომუნისტური

<sup>8</sup> იხ.დანართი

<sup>9</sup> იხ. დანართი

პარტიის ნომენკლატურის ყოფილი წარმომადგენელი იყო, შეუერთდა სხვა ყოფილი ნომენკლატურის ლიდერთა ქსელს.

ქსელებს, რომლებიც უკავშირდება კომუნისტთა ახალგაზრდულ ლიგას (კომსომოლს) ასევე მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირათ საქართველოს რეგიონულ სტრუქტურებში. საქართველოში გამგებლების უმეტესობა კომსომოლის რიგებში ირიცხებოდა. ეს ქსელი ჩამოყალიბდა იმიტომ, რომ მის წარმომადგენლებს ჰქონდათ ფართო კავშირები და იცნობდნენ ბევრ ხალხს სხვადასხვა რაიონებსა და ცენტრებში. ამ ქსელს მფარველობდა ე. შევარდნაძის ახლო მეგობარი, რომელსაც კომუნისტთა ახალგაზრდულ პარტიაში მაღალი თანამდებობა ეჭირა და რომელიც იყო ადგილობრივი მმართველობის და რეგიონული პოლიტიკის საკოორდინაციო სამსახურის ხემძღვანელი 1996 წლიდან. 2002 წლის აპრილში ის გადადგა, მას შემდეგ, რაც დაადანაშაულეს კორუფციაში. მის ერთ-ერთ მოვალეობას წარმოადგენდა შევარდნაძისთვის “რეკომენდაციის” გაწევა გამგებლის პოზიციაზე ამა თუ იმ პირის დანიშვნის თაობაზე. მანამდე, აღნიშნულ მოვალეობას ასრულებდა ე. შევარდნაძის სხვა მოკავშირე, კომსომოლის პირველი მდივანი, რომელიც იყო ე. შევარდნაძის მმართველობის პერიოდში შტაბის უფროსი 1992-1995 წლებში, ხოლო 1995 წელს დაინიშნა საქართველოს ელჩად რუსეთში. აღნიშნული პიროვნებები დიდ გავლენას ახდენდნენ კომსომოლის ყოფილი წევრების გამგებლებად დანიშვნის პროცესზე.

ვარდების რევოლუციიდან ორი წლის შემდეგ ახალ პოლიტიკურ ელიტაშიც გაჩნდა ახალი ქსელები. მაგალითად, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, გამოკითხულ პოლიტიკოსთა თუ ექსპერტთა უმრავლესობის მიერ მოიაზრება კლანური ქსელების ერთერთ აქტორად. ეს ქსელები დაკავშირებული იყო ე. შევარდნაძის ქსელებთან, ვარდების რევოლუციამდე და მათ გააგრძელეს თავისი არსებობა რევოლუციის შემდეგაც როგორც ეკონომიკურ ისე პოლიტიკურ ელიტაში. მედიაში გავრცელებული რამოდენიმე ხმაურიანი ჟურნალისტური გამოძიების თანახმად<sup>10</sup>, და ასეთივე მოსაზრება გამოთქვა გამოკითხულთაგან რამოდენიმე ესპერტმა და ოპოზიციური პოლიტიკური ელიტის ქარმომადგენელმა, მ. სააკაშვილის ქსელი მოიცავს მის ოთხ მოკავშირეს, აღმასრულებელი ხელისუფლებდან: ყოფილი იუსტიციის მინისტრი (აღნიშნული პერიოდისთვის - 2006წ. - იმყოფებოდა უშიშროების


<sup>10</sup> იხ. ჟურნალისტური გამოძიება - დანართი

საბჭოს მდივნის თანამდებობაზე, საქართველოს დიპლომატიური კორპუსის ხელმძღვანელი, შინაგან საქმეთა მინისტრი და თავდაცვის მინისტრი.


კრიმინალური ქსელები ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ საქართველოს საზოგადოების დინამიკაში საბჭოთა კავშირის დაშლამდე და დაშლის შემდეგ. ეს დაჯგუფებები აკონტროლებდნენ საქართველოს ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში 90-იან წლებში. ამ ქსელების განვითარებაში მნიშვნელოვანი იყო, როგორც გ. ნოდია უწოდებს “ჩრდილოვანი ეკონომიკის ელიტა”, რომელიც შუამავლის როლში გვევლინებოდა პოლიტიკურ ელიტასა და კრიმინალურ სამყაროს შორის. გ. ნოდიას მიხედვით ჩრდილოვანი ეკონომიკის ელიტას წარმოადგენდნენ ის პირები, რომლებიც ჩართული იყვნენ წარმოების პროცესში, იპარავდნენ ნედლეულს და მზა პროდუქტებს და ახდენდნენ მათ რეალიზაციას შავ ბაზარზე. ასეთი ელიტა ნამდვილად არსებობდა საბჭოთა კავშირში და მათ შორის საქართველოში (და ალბათ სხვა ტრანსკავკასიურ რესპუბლიკებშიც და ცენტრალურ აზიაშიც). ერთი მხრივ კავშირები პოლიტიკურ ელიტასა და ჩრდილოვანი ეკონომიკის ელიტას შორის, ხოლო მეორე მხრივ, ე.წ. ჩრდილოვანი ეკონომიკის ელიტასა და კრიმინალურ სამყაროს შორის იყო საკმაოდ მასშტაბური. დღესდღეისობით ჩრდილოვანი ეკონომიკის ელიტაზე აღარ საუბრობენ, თუმცა სხვადასხვა ბიზნესებმა დატოვეს კვალი და კავშირები, რომლებსაც სახელისუფლებო სტრუქტურებთან მიეყავართ.

**ცხრილი №3 გრაფიკულად გვიჩვენებს ე. შვეარდნადისა და მ. სააკაშვილის ქსელებს**

*შვეარდნადის ქსელური კავშირები (ძველი ელიტები 1995 – 2003 წლები)*



*საკაშვილის ქსელური კავშირები (ახალი ელიტები - ვარდების რევოლუციის შემდეგ 2003წ.)*



ცხრილში მოცემულია ცვლილებები ქსელების სტრუქტურაში. ისევე როგორც ჯ. პაჯეტის მიერ შედგენილ მე-15 საუკუნის მედიების ქსელში (ჯ. პაჯეტი 1993), ე. შვეარდნადის ოჯახის კლანური ქსელი ემყარება ერთ ადამიანს



და მის ქმედებებს. . შევარდნაძე თვითონ იყო სხვადასხვა ჯგუფების მთავარი “შემაკავშირებელი” და მისი ქსელი ეფუძნებოდა ახლო ნათესაებს.

მ. სააკაშვილის ქსელის სტრუქტურა შეცვლილია. მასში ნაკლებადაა წარმოდგენილი ნათესაური და ოჯახური კავშირები. ნ. ბურჯანაძესა და ზ. ჟვანიას გუნდებს შედარებით დამოუკიდებელი კავშირი აქვთ ქსელთან. მ. სააკაშვილის ქსელი შედგება ახლო მეგობრებისა და პოლიტიკური მოკავშირეებისგან, მისი მხარდამჭერების ბიზნეს ინტერესების გათვალისწინებით. ასევე მნიშვნელოვანია ორმხრივი ინტერესები მ. სააკაშვილის, ნ. ბურჯანაძისა და ზ. ჟვანიას გუნდების ქვეჯგუფებს შორის. აღნიშნული ცვლილება გამოწვეული უნდა იყოს არასტაბილური პოსტ-რევოლუციური სიტუაციით, რომლის დროსაც ძალაუფლება და ბიზნეს “წილები” არაა საბოლოოდ გადანაწილებული. მ. სააკაშვილის ავტორიტეტისა და ძალაუფლების ზრდის გათვალისწინებით, ასევე სხვა მოკავშირეების შემოერთებით, რომლებიც ცდილობენ მოიპოვონ პრეზიდენტის მხარდაჭერა, ეს ქსელი ნელ-ნელა შევარდნაძის ძველი ქსელის სახეს მიიღებს. დღესდღეობით, კი შეინიშნება ოჯახის წევრებისა და მეგობრების ხელმძღვანელ თანამდებობებზე დანიშვნის შემთხვევები.

ამრიგად, მოხდა არა მხოლოდ ხალხის რეპროდუცირება ძველი ელიტიდან ახალში, არამედ მმართველობის სტილის და ტექნოლოგიების გადმოტანა. ქსელების ჩამოყალიბება, მიუხედავად მათი განსხვავებული სახისა, მოგვაგონებს ძველი ელიტის ქსელების ფორმირების პროცესს. სულ უფრო და უფრო მეტი ფაქტის გამოაშკარავება ხდება მმართველი ელიტის წარმომადგენლების სხვადასხვა არაღებულ ქსელებში მათ “გუნდებთან” ერთად ჩართულობის შესახებ.

ზემოაღნიშნული ვითარება ასახავს ქართული პოლიტიკური ელიტის ფორმირების სურათს 2007 წლის ნოემბრის საპროტესტო აქციებამდე, ხოლო შემდეგ თავში საბოლოო შეფასებებსა და დასკვნებთან ერთად მოცემულია სიტუაციის შემდგომი განვითარება, პოლიტიკურ ელიტაში ახალი ცვლილებების, პოლიტიკური კურსის და პოლიტიკური ელიტის მიერ წარმართული პროცესების და სიტუაციის ახალი შეფასებებითა და ანალიზით 2011 წლისთვის.

## V თ ა ვ ი

### თანამედროვე ქართული პოლიტიკური ელიტის ფორმაცია

( 2007 წლის ნომბრის, 2008 წლის არჩევნების, 2008 წლის საომარი მდგომარეობის, და 2010 წლის ადგილობრივი არჩევნების შედეგად )

წინამდებარე თავში განხილულია ქართული პოლიტიკური ელიტები 2007 წლის შემდეგ დღემდე, როდესაც შესაძლებელია საუბარი “ახალი” ელიტების მიერ განხორციელებული რეფორმების შედეგებზე, მათ რიგებში ცვლასა და ზოგად ვითარებაზე; ასევე კვლევის ამ ნაწილში მოცემულია დასკვნითი ნაწილი და შემაჯამებელი კომენტარები.

როგორც დავინახეთ ვარდების რევოლუციის შედეგად საქართველოს პოლიტიკური ელიტების ცვლა შეიძლება ითქვას ორაზროვნად ფასდებოდა როგორც დასავლეთის მიერ, ასევე საქართველოს შიგნით, თუ ყველაზე რადიკალურ მხარდამჭერების მოსაზრებებს გამოვიყენებთ, შეფასებები იყო უკიდურესი აღტაცებიდან და სრული სიახლის შეგრძნებიდან ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ მრავალი ფაქტების ანალიზით ძირითადად სახეზე იყო ელიტის რეპროდუქცია და მასთან ერთად პოლიტიკის კეთების ძირითადი სტილის გაგრძელებაც.

2010 წლის ბოლოსა და 2011 წლის დასაწყისისთვის შესაძლებელია უკვე ვიმსჯელოთ უფრო მეტ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით, დავაკვირდეთ შვიდ წლიან ელიტების შიდა ცვლილებებს და პოლიტიკის მიმართულებას, ამ პერიოდის ანალიზისთვის და გარკვეული დროითი შუალედების მიხედვით ქართულ ელიტებში და მთლიანად ქვეყანაში ვითარების შესახებ საინტერესოა შეფასებების და დასკვნების გაკეთება.

ძირითადი მიმართულება პრო-მმართველი ელიტის წარმომადგენელთა და ექსპერტთა მოსაზრებებში კვლავ რჩება კონტრასტის გაკეთება ე. შევარდნაძისეულ და მის შემდგომ ელიტაზე და შესაბამის ცვლილებებზე:

### **მმართველი პოლიტიკური ელიტის უმრავლესობა**

სახელისუფლებო უმრავლესობაში მყოფი პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლების ძირითადი მოსაზრებები და შეფასებები საქართველოში არსებულ პოლიტიკურ ვითარებასა და ცვლილებებზე პოლიტიკურ ელიტასა და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, როგორც ეს ინტერვიუების დროს აღინიშნა, შემდეგი ძირითადი მოსაზრებების გარშემო შეიძლება გაერთიანდეს: ელიტა რევოლუციამდე მნიშვნელოვანწილად იყო დაკავშირებული ძველ კომუნისტურ ნომენკლატურასთან, მათ შორის იყო კავშირები კომკავშირთან, კომუნისტურ პარტიასთან. ეს კავშირები გრძელდებოდა ახალ პოლიტიკურ ელიტაშიც, როგორც აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებში, ისე ბიზნეს ელიტაში და ეს ყველაფერი გადაჯაჭვული იყო ერთმანეთთან. სწორედ ეს სახელდება უმთავრეს სისტემურ მიზეზად, რამაც სახელმწიფო ე. შევარდნაძის მმართველობის ბოლო წლებში დაამსგავსა ე.წ. მაფიის მიერ დომინირებულ სახელმწიფოს. ახალი მმართველი პოლიტიკური ელიტის ფრთიდან ერთ-ერთი რესპოდენტის აზრით, ასეთი ვითარება გამოსატყლი იყო შემდეგით:

მმართველი პოლიტიკური უმრავლესობის წარმომადგენელი, პოლიტიკოსი:

*“ქვეყანას ბიუჯეტი არ ჰქონდა. თუ რაღაც კეთდებოდა და რაღაც შემოსავალი ჰქონდა ქვეყანას, პირდაპირ ჯიბეებში მიდიოდა, რაც გახდა კიდევ რევოლუციის მიზეზი. ასეთი ტიპის ოფიციალური სახელმწიფო სტრუქტურები დროთა განმავლობაში საერთოდ უფუნქციონი ხდებიან და ყველაფერი რაღაც პარალელურ სამყაროში წყდება და არა პარლამენტში, როგორც საკანონმდებლო ორგანოში, არამედ გადაწყვეტილებებს კონკრეტული*

პიროვნებები იღებენ, რომელთაც ესა თუ ის სტატუსი აქვთ. ეს უკანასკნელნი საკითხებს სხვა ურთიერთობებით წყვეტენ, ძირითადი მიზანი კი მათი პიროვნული, ან კლანური ინტერესების დაკმაყოფილებაა. ამ ვითარებას არ შეეძლო უკმაყოფილება არ გამოეწვია და გამოიწვია კიდევ.

ყველაფერს, რაც რევოლუციის შემდეგ ხდება, სჭირდება სპეციალური კვლევა. მე არ გამოვრიცხავ, რომ ის სისტემური, გნებავთ კულტურული საფუძვლები მთლიანად იყოს მოშლილი და არ ჰქონდეს რეპროდუცირების უნარი და შესაძლებლობა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ რევოლუცია იმიტომ მოხდა, რომ მოვიდა ახალი ელიტა, რომელსაც სურდა ძველი პრაქტიკები და საფუძვლები მოეშალა და მოერყია, რასაც მნიშვნელოვანწილად მიადწია კიდევ.”

თუმცა, რესპოდენტი იქვე შენიშნავს, რომ ნებისმიერ რევოლუციას თან ახლავს რევოლუციური გუნდურობა, რაც კონკრეტული ადამიანების ძალიან მჭიდრო კავშირს გულისხმობს. ამ გუნდს ძალიან სარისკო საქმეში ერთად გაველილი გზა აერთიანებთ. გუნდს ახასიათებს შეკრულობა, მაგრამ ის არ გულისხმობს ჩაკეტილობას. მაგალითისთვის რესპოდენტს საკუთარი, მმართველ პოლიტიკურ ელიტაში მოსვლის შემთხვევა მოჰყავს:

“ მე არ ვყოფილვარ რევოლუციის შემოქმედი. თავიდან რაღაც კრიტიკული დამოკიდებულებებიც მქონდა, მაგრამ როდესაც რაღაც სისტემური ძვრები დავინახე, რაც ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის გადაცდომები, რაც არა მხოლოდ რევოლუციური, არამედ არც ერთი მთავრობისთვის არაა უცხო, მაინც ეს ძვრები გახდა მისაღები და ასე აღმოვჩნდი შიგნით. ახლა მეც შეიძლება ჩამთვალეთ ამ პოლიტიკური ელიტის ნაწილად. ამ მხრივ, პოლიტიკურ ელიტაში კარები დახშული არ არის და რაღაც უნარებს აქვს გასაქანი. უნარები და შესაძლებლობის დეფიციტი ყველა დონეზე, მათ შორის საჯარო მოხელეთა, გადაწყვეტილების მიმღებების დონეებზეც იგრძნობა, ამიტომაც, კონკრეტული უნარების, შესაძლებლობების ადამიანებს ეძებენ და ხდება ელიტის განახლება.” (დ. დარჩიაშვილი)

მართალია, ოპოზიცია, ან ოპონენტები “ელიტის დახურულობაზე” საუბრობენ, მაგრამ მმართველი პოლიტიკური ელიტის მოსაზრებით, ახალი ელიტები უფრო ღიაა:

“ეს ელიტა ბევრად უფრო ღიაა, ვიდრე მისი წინამორბედი იყო, რადგანაც აქ უნარებს მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ადრე ჰქონდა. ძველ პოლიტიკურ ელიტაში მთავარი იყო კავშირები და აქტიურად მუშაობდა პრინციპი - ხელი ხელს ბანს. სისტემაში, სადაც მხოლოდ ფულია ინტერესი და ნათესავეები მნიშვნელოვანი, შეღწევაც ძალიან რთულია. ახალ პოლიტიკურ სისტემაში კი, გაცილებით მნიშვნელოვანია არა ნათესაური კავშირები და ვინ ვისი შვილი, ან მეგობარია, არამედ ის, თუ ვინ რა საქმე შეიძლება შეასრულოს წარმატებით”.

2007 წლის 7 ნოემბერის მოვლენების შეფასებისას აქცენტს გამოსვლებზე აკეთებენ და მათ გამომწვევ ბევრ ფაქტორს ასახელებენ. თუმცა, მასობრივი გამოსვლების გამომწვევ ფაქტორებზე მსჯელობისას ორი ძირითადი საკითხის ხაზგასმა შეიძლება: პირველი, შეიძლება ვისაუბროთ მოსახლეობის არც თუ მცირერიცხოვანი სეგმენტების უკმაყოფილება ახალი ხელისუფლებით:

“... და თუ ჩავუღრმავდებით, საიდან მოდის ეს უკმაყოფილება, შეიძლება სხვადასხვა მიზეზის დასახელება. მნიშვნელოვანი როლი უკმაყოფილების გამოწვევაში ითამაშა უმუშევრობის პრობლემამ, ე.წ ღირსების შელახვის პრობლემამ; იყო ისეთი პრობლემებიც, რომლებიც ორგანიზებულ დამნაშავეებთან და საერთოდ დამნაშავეებთან ბრძოლის დაწყებას უკავშირდებოდა. ამას მოჰყვა “ციხის მოსახლეობის” რაოდენობის სულ მცირე სამჯერ გაზრდა; ნებისმიერ პატიმარს თავისი ოჯახი და მეგობრები ჰყავს. ამის პარალელურად იყო ხელფასების და პენსიების საკითხიც. ეს ყველაფერი გროვდებოდა, ილექებოდა და სოციალური უკმაყოფილების ზრდაშიც ადლოგიური არაფერია”.

მეორე უმნიშვნელოვანეს ფაქტორად სახელდება რუსეთის ზეგავლენა:

“პარალელურად იყო რუსეთის ფაქტორიც. ზედანიას გამოთქმა ის რომ პარანოია გვჭირს, არ ნიშნავს რომ არ გვითვალთვალებენ საინტერესოა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველაფრის ახსნა რუსეთის ფაქტორით არ შეიძლება. რუსეთის ხელი მოქმედებდა და იმას, თუ რამდენად იყო რუსეთი კონკრეტული მოვლენების ინიციატორი, თუ უბრალოდ იყენებდა ამ მოვლენებს საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ, ამას სპეციალური კვლევა სჭირდება.

თუმცა, აქვე აუცილებლად უნდა ითქვას, რომ რუსული ფაქტორი ნამდვილად არსებობდა და კრიზისამდევ ამან მიგვიყვანა”.

რესპონდენტის აზრით, არჩევნებმა კრიზისი განმუხტა. “რაც არ უნდა ილაპარაკონ ოპონენტებმა, ფაქტია, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა ხელისუფლების ლეგიტიმურობას ეჭვქვეშ არ აყენებს. შესაბამისად, კრიზისიც დაძლეულია და გაკვეთილებიც გამოტანილია. მართალია, არავის უყვარს იმის აღიარება, რომ მიღებული გაკვეთილებიდან კონკრეტული დასკვნები გააკეთეს, მაგრამ ფაქტია, რომ ოპოზიცია დღეს გაცილებით ფრთხილია, ხელისუფლება კი ბევრად მეტ აქცენტს აკეთებს დიალოგის აუცილებლობასა და ოპონენტებთან ცივილიზებულ ურთიერთობებზე, ვიდრე ამას 2004-2005 წლებში ხდებოდა. 2006-ში ხელისუფლებას უკვე ჰქონდა მცდელობა, საერთო ენა გამოენახა ოპონენტთან, მაგრამ ოპოზიციას უკვე აღარ უნდოდა დიალოგი. დღეს ხელისუფლება კიდევ უფრო მონდომებულია, რომ შექმნილი სისტემა უფრო მყარი ინსტიტუციონალური დემოკრატიის გარანტი იყოს. გასაკებია, რომ ამის გაკეთება მარტივი არ არის და არც მხოლოდ ხელისუფლებას არ შეუძლია მისი შექმნა. ხელისუფლებას ამ პროცესში აუცილებლად სჭირდება პარტნიორებისა და ოპონენტების მონაწილეობა”.

მმართველი პოლიტიკური ელიტის წარმომადგენელი - პოლიტიკოსის აზრით, ვარდების რევოლუციის შემდეგ პოლიტიკური ელიტის გახსნილობა უდავოა. თუმცა, აქვე საინტერესოა იმის ხაზგასმაც, რომ ახალი ადამიანები, რომლებიც მოვიდნენ, ისევ სააკაშვილის გუნდის წევრები იყვნენ. პოლიტიკოსი თვლის, რომ ზ. ჟვანიასა და ნ. ბურჯანაძის რევოლუციის შემდგომ დამოუკიდებელ გუნდებზე საუბარი, არამართებულია. ზ. ჟვანიას შემთხვევაში, მან ვერ მოასწრო უბრალოდ გუნდის შექმნა, ნ. ბურჯანაძის შემთხვევაში კი, ყველა ის ადამიანი, ვინც მასთან ასოცირდებოდა, არის ინტეგრირებული ერთიან სააკაშვილი-ბურჯანაძის გუნდში. მისი გუნდიდან წასვლაც იყო აღქმული პიროვნულად ნინო ბურჯანაძის წასვლად და არა მმართველ ელიტაში მომხდარ სერიოზულ ცვლილებად. ახალი ადამიანების გუნდში მოსვლა კი ლოგიკურია, რადგანაც მოთხოვნა პროფესიონალიზმზე არსებობს და ლადო გურგენიძის, სანდრო კვიციანიშვილის მოსვლა, სწორედ ასეთი კადრებით გუნდის შევსებაზე მიანიშნებდა.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ეტაპზე, მმართველ გუნდში მეტი კონსოლიდაცია, მოსახლეობაში კი ამ გუნდისადმი მეტი ლოიალობა შეინიშნება.

“შეიძლება, ვინმეს პარადოქსად მოეჩვენოს, მაგრამ ადამიანების უმრავლესობას შეიძლება წარმოდგენაც არ ჰქონდეს პოლიტიკის ნიუანსებზე, ან მის თეორიულ საფუძვლებზე, მაგრამ ინტუიციით გრძნობს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერი ადამიანის სიცოცხლის დაკარგვა, მითუმეტეს, ასეული დაღუპული და ათეულობით დატოვებული ქალაქი და სოფელი, პოლიტიკური პერსპექტივის თვალსაზრისით, საქართველოს ახალი შანსები უზრუნველყოფს. ისინი იმასაც ხვდებიან, რომ ამ შანსების გაჩენაც და გამოყენების პერსპექტივაც უფრო არსებულ გუნდთანაა დაკავშირებული, ვიდრე სხვა პოლიტიკურ ძალასთან. რუსეთის ჩანაცვლება ევროსტრუქტურებით - ეს არის მთავარი პერსპექტივა, რომელიც ამ ურთიერთობებში იკვეთება და მგონია, რომ მოსახლეობას ეს ესმის.”

დესპონდენტის აზრით, რაც არ უნდა მტკივნეული იყოს დღეს იმ ქართული ხეობების დაცლა, პოლიტიკური პერსპექტივისა და სისტემური თვალსაზრისითაც, ევროკავშირის გააქტიურება და რუსეთის ჩანაცვლება, გაცილებით მნიშვნელოვანია. ქვეყანაში მიმდინარე პროცესების კონტროლში რუსეთისათვის სრულიად ახალი, ოკუპაციური იარაღის მიწება უფრო მნიშვნელოვანია სამომავლო პერსპექტივების თვალსაზრისით. ამდენად, ვფიქრობ, რომ მეტ კონსოლიდირებასთან გვაქვს საქმე. ბუნიებრივია, საბრძოლო პროცესებში ჩართული ქვეყნისთვის პროცესების მართვა მნიშვნელოვანია და ამ პროცესში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა პოლიტიკურ ელიტას, მის ყველა წევრს ეკისრება. ომის გაძლოდა, ამ ომიდან სამშვიდობოს გასვლა არის უზარმაზარი სტრესი, რაც დამოკიდებულებების შეცვლას არ გამორიცხავს.

საერთოდ, პოლიტიკა არის დრამატული სფერო და იქ უმტკივნეულოდ არასოდეს არაფერი ხდება. შემდგარი სახელმწიფოები, რომლებმაც ოდესღაც წარსულში ტრაგედიები გადაიტანეს, დღეს თითქოს სტაბილურად ცხოვრობენ, ადამიანებს ხიფათის განცდაც აღარ აქვთ, მაგრამ მათ სრულიად უმნიშვნელო ფაქტორები აღიზიანებთ. ჩვენ ვერ მივედით იქამდე, რომ მთავარი პრობლემა ეკოლოგია, საკვების სისუფთავე იყოს. ვერ მივედით, რადგანაც ჯერ კიდევ ფიზიკური გადარჩენისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის პრობლემებია.

ნებისმიერი წარმატებული ქვეყანა შეიძლება აღმოჩნდეს სერიოზული პრობლემის წინაშე. მაგალითად, ისლანდიის გაკოტრებას ვერც ერთი ისლანდიელი ვერ წარმოიდგენდა, მაგრამ მათ ეს უკვე ეროვნულ პრობლემად ექცათ, რუსეთმა ლამის იყიდა ქვეყანა; კუნძულის რუსეთის მიერ შესყიდვის პროცესი დიდი ძალისხმევის შედეგად შეაჩერეს. ამდენად, დასკვნების გამოტანა აუცილებელია. ვხედავთ, რომ რთულია ქვეყნის შენება იმიტომ, რომ ეს ქვეყანა როგორც თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფო არასოდეს არ არსებობდა. ჩვენ გვაქვს ძალიან ღრმა ისტორიულ-ეროვნულ-კულტურული ფესვები, მაგრამ თანამედროვე სახელმწიფოებრიობის თვალსაზრისით, მხოლოდ 3 წელი და მენშევიკების დროინდელი ათი თვე გვაქვს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ურთულესია სახელმწიფოს აშენება. მეტი სიფრთხილე, მეტი გათვლა, მეტი მოსმენა, მეტი დიალოგია საჭირო. ხელისუფლებას გამოაქვს დასკვნები გაკვეთილებიდან და იმედია, რომ დასკვნებს ოპოზიციის ნაწილი მაინც გამოტანს.

*“მართალია, ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ყველა, ვინც პარლამენტში შევიდა, ის ნაყიდაა, მაგრამ ეს სრულიად არაქრისტიანული ბრალდებაა. ყველამ თავის თავს შეხედოს... უბრალოდ არსებობს პოლიტიკური გუნდი, ჩვენ შემთხვევაში ორი გუნდი. ორივეს საკუთარი რეიტინგი და საკუთარი პოლიტიკური კურსი აქვს.”*

პარლამენტში მყოფმა ოპოზიციურმა გუნდმა კურსი დიალოგზე, ურთიერთობაზე გააკეთა, რასაც მოჰყვა ანტიკრიზისული საბჭოს შექმნა. საბჭო ჯერჯერობით ახალი პირმშოა და მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა შეიძლება იმასთან დაკავშირებით, თუ რას როგორ მოიმოქმედებს. მთავარი კი მაინც ეკონომიკის სისტემური პარამეტრების შეცვლა და განვითარებაა. მთავარია იმის გაცნობიერება, რომ ხიფათები ძალიან სერიოზულია და ყველა ნაბიჯზე სერიოზული დაფიქრებაა საჭირო. ნინო ბურჯანაძე უცნაურად აფასებს მოვლენებს და ამბობს, რომ პარლამენტი ფიქციაა. მე კი ვფიქრობ, რომ თუ პარლამენტში არ იგინებიან და ილანძღებიან, ეს მის ფიქტიურობაზე კი არა, იმაზე მიანიშნებს, რომ დღეს მეტად აცნობიერებენ საფრთხეებს და საქმის მნიშვნელობას, იმას, რომ ქვეყნის შენებაზე ეროვნული ბედი და ყოველი ჩვენი ოჯახის წევრის ბედია დამოკიდებული.

მმართველი პოლიტიკური უმრავლესობის წარმომადგენელი, პოლიტიკოსი:



“მე მგონია, რომ გამსახურდიას მკაფიო პოლიტიკის ჩამოყალიბება, მითუმეტეს საგარეო პოლიტიკისა არ დასცალდა. იყო რაღაც ზოგადი წარმოდგენები, ისიც განცხადებების დონეზე. მკაფიო პოლიტიკა არც შევარდნამეს ჰქონდა და არც შეიძლება ჰქონოდა, რადგანაც საბოლოო ჯამში აღმოჩნდა, რომ მასთან ძალიან ცინიკურ-პრაგმატული ინტერესების პრევალირება მოხდა. შევარდნამე ზოგჯერ პროამერიკული იყო, ზოგჯერ პრორუსული, ნატოს კარებზეც დააკაკუნა, მაგრამ იქვე თქვა, რომ კარები არ გაიღებოდა.”

რაც შეეხება არსებულ ხელისუფლებას, მას აქვს პოლიტიკური საგარეო კურსი, რასაც ომი მოჰყვა. ომი იმიტომ მოხდა, რომ რუსეთს არ სურს “ასეთი” საქართველო - ცალსახად პროდასავლური.

ჩემი პოზიცია, რომ საქართველოსთვის სხვა პერსპექტივა არის დამღუპველი, არის იმის მიზეზი, რომ ხდება ჩემი სახელისუფლებო წრეებთან ასოცირება. მე გულწრფელად ვთვლი, რომ სხვა პერსპექტივის შემთხვევაში ქვეყანა რუსეთის კონტროლქვეშ მოექცევა. გვექნება ერთგვარი ეთნოგრაფიული ოაზისი ბევრი ხაჭაპურით, ბევრი ღვინით და მაფით. ვთვლი, რომ ეს არის ყველაზე საშიში მომავალი თაობებისათვის და მიმაჩნია, რომ დასავლური კურსით სვლა აუცილებელია. სწორედ ეს იწვევს რუსეთის საოცარ გაღიზიანებას, სხვა დანარჩენი კი არის სტრატეგიული მიზეზები.

*“კონკრეტულ ვითარებაში, რაღაცა შეიძლება უკეთ იყოს; ამაზე დაუსრულებლად შეიძლება დავა. სამწუხაროდ, პოლიტიკა და თუ გნებავთ, ისტორიაც, ანალიზისა თუ მოღვაწეობის ისეთი სფეროა, რომ ცდას ვერ ჩაატარებ, ვერ დაბრუნდები წარსულში და თავიდან ვერ გადათვლი.”*

მიჭირს ამ ხელისუფლების სერიოზულ სისტემურ შეცდომებზე საუბარი; ასეთებს ვერ ვხედავ. არის უბრალოდ ის უზარმზარი სირთულე, რაც თან ახლავს ამ არჩევანს, რომელშიც შეცდომების გარეშე გასვლა ისე, რომ არავინ დაიდუპოს, შეუძლებელია. როცა ადამიანები იღუპებიან, ეს არ არის მხოლოდ რუსეთის ბრალი; ეს შეცდომების გამოც ხდება. მაგალითად, ზოგადად პოლიციის გაძლიერების სწორ კურსს, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სწორ კურსს ბევრი დეფექტი აქვს; აბსოლუტურად უდანაშაულო ადამიანები დამნაშავე პოლიციელების ხელით იღუპებიან. ეს ხდება და ასეთი შეცდომები პოლიტიკის თანმდევიცა, სამწუხაროდ. მაგრამ პოლიტიკის კეთებისას საქმე გაქვს

ათასობით და ათეულ ათასობით ადამიანის მოქმედებასთან და მოღვაწეობასთან და იმის სრულად გაკონტროლება, რომ არსად შეცდომები არ იქნას დაშვებული, უბრალოდ შეუძლებელია.

ეფიქრობ, საქართველოს ხელისუფლება აბსოლიტურად ზუსტად აფასებს ძალთა განლაგებას, ძალთა ბალანსს დღევანდელ მსოფლიოში. თუმცა, არსებობს ისეთი რამეც, რასაც მე აქამდე ჩავთვლიდი არათუ შეცდომად, არამედ გამოუყენებელ რესურსად. კერძოდ, ვსაუბრობ ევროკავშირთან ურთიერთობებზე. დღეს ევროკავშირის როლი საქართველოს ბედის განსაზღვრაში ბევრად დიდია, ვიდრე ეს ცოტა ხნის წინ იყო. უახლოეს წარსულში ჩვენი ქვეყნის ბედის განსაზღვრაში დიდ როლს ამერიკა თამაშობდა და კვლავაც ითამაშებს. მაგრამ, დროის კონკრეტულ მონაკვეთებში, ევროპის როლი უფრო ხაზგასმულია, ჩვენ კი აშშ-თან ურთიერთობის გამოცდილება მეტი გვაქვს, ვიდრე ევროპასთან. ეს არის ერთგვარი დისბალანსი, რომელსაც ბევრი გამომწვევი მიზეზი აქვს; მათ შორის ისიც, რომ ძალიან რთულია ქართული გადმოსახედის და ბრიუსელის გადმოსახედის დაბალანსება კონკრეტულ საკითხებში. მაგალითად, ციხის რეფორმა როგორ უნდა ჩატარდეს, პრობაციის სერვისი როგორ უნდა აიგოს, ამ საკითხებზე ორი განსხვავებული ხედვა არსებობს. ბრიუსელიდან ევროკომისიის ქვესტრუქტურების წარმომადგენლისა და ქართველი პოლიტიკოსის მიერ პრობლემების მოგვარების, საკითხებზე მუშაობის ხედვა განსხვავებულია და ამ პოზიციების შეჯერება საკმაოდ რთულია. შესაბამისად, ამ ყველაფერზე გაცილებით მეტია სამუშაო, ვიდრე აქამდე.

ძალიან ბევრი ცვლადი მონაწილეობს ჩვენი ბედის განსაზღვრაში. მთავარი ცვლადის დასახელება გამიჭირდება, თუმცა ერთ-ერთი უმთავრესია მოსახლეობის მოთმინების უნარი და რაციონალური ანალიზის უნარი, რადგანაც ჩვენ ისევ ვართ აგრესიის ქვეშ. მართალია, აგრესიული მუხტი შენელდა, მაგრამ კვლავ აქტიუალურია. შეიძლება თქვან, რომ აგრესიულ ფონზე საუბარი გაზვიადებულია, ვიღაცამ შეიძლება დაიჯეროს, რომ რუსეთს არა ღიახვის ხეობა, არამედ პირდაპირ თბილისი სჭირდებოდა. ცხადია, არ არის აუცილებელი, რომ ის აუცილებლად ტანკით შემოჭრილიყო 12 აგვისტოს თბილისში, მაგრამ რაღაც ფორმით დესტაბილიზაციით, მოსახლეობის გუნება-განწყობების ცვლილებით, მოსკოვს მაინც სურდა თბილისზე კონტროლის დამყარება.

რუსეთი ასრულებს თავის ორ ძირითად ამოცანას. კერძოდ, მოსკოვს სურს იმპერიის აღდგენა და მთავარი მაგისტრალური ენერგორესურსების გაკონტროლება. ამ ეტაპზე ეს ვერ მოხერხდა, მაგრამ რუსეთი გააგრძელებს მცდელობებს. მას ისედაც არ აქვს ბევრი დრო, იმიტომ რომ იმპერიის აღდგენა ძალიან არარაციონალური მიზანია, რაც რუსეთშივე გამოიწვევს კრიზისს. დარწმუნებული ვარ, რომ კრიზისი აუცილებლად დადგება, უბრალოდ, ამას დრო სჭირდება. იქამდე კი, აუცილებელია, რომ ჩვენ არ გვიმტყუნოს ნერვებმა. ეს არის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე ფაქტორი, ყველაფერი დანარჩენი კი, ჩემი აზრით, მეორეხარისხოვანია. ხელისუფლებაშიც არის იმის პოტენციალი, რომ მეტად გაითვალოს ყოველი სამომავლო ნაბიჯი და ოპოზიციაშიც ვხედავ პოტენციალს, რომ ისინი ხელავენ დიალოგის პერსპექტივას. მართალია, მათ აქვთ მოთხოვნები, მაგრამ ამ მოთხოვნების გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევის გზით სიარული აუცილებელია. მაგრამ აქვე უნდა გვახსოვდეს, რომ ქართველებს, და მათ შორის პოლიტიკურ წრეებსაც, გვახასიათებს ემოციურობა. არსებითია, რომ ემოციებმა არ გადაწონოს რაციო.

ვფიქრობ, რომ ცვლილებები მართლა მნიშვნელოვანია. იმ პერიოდის განმავლობაში, როცა საქართველო გახდა დამოუკიდებელი, ფაქტიურად 10-12 წლის მანძილზე, პოლიტიკურად მდგრადი პარტიების ჩამოყალიბება ვერ ხერხდებოდა, არ იქმნებოდა არანაირი საფუძველი იმისა, რომ პოლიტიკური გუნდი ჩამოყალიბებულიყო არა მხოლოდ სახელისუფლებო ან ოპოზიციური გუნდის სახით, არამედ უბრალოდ პოლიტიკური პარტიის სახით. პოლიტიკური სპექტრის მთავარი პრობლემაც ებ იყო. ვფიქრობ, რომ 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ ქვეყანაში განხორციელებულმა გარკვეულმა ცვლილებებმა რეალური შესაძლებლობა მისცა ყველა პოლიტიკურ ძალას თითქმის ნულიდან დაეწყოთ საკუთარი პოზიციების ფორმირება და ადგილის დამკვიდრება საზოგადოებაში. ის რაც ხდება ამ წლების განმავლობაში, მართლაც მნიშვნელოვანია, მაგრამ, სამწუხაროდ, ალბათ გარკვეული დრო მაინც სჭირდება ცვლილებებს.

პარტიები ცდილობენ უფრო მკვეთრად გამოკვეთონ საკუთარი პოზიციები, გარკვეულ საკითხებთან მიმართებაში არ იყვნენ დამოკიდებულნი საზოგადოების განცდებზე. ვფიქრობ, საზოგადოებაში პოლიტიკური პარტიის ადგილისა და ფუნქციის შესახებ არამკაფიო, ჩამოყალიბებული პოზიცია არის დღევანდელი პოლიტიკური სპექტრის პრობლემა. პოლიტიკური ხედვა მხოლოდ

იმაზე საუბარს არ ნიშნავს, რაც საზოგადოებას მოწონს; ეს არის პოლიტიკური პარტიის და პოლიტიკური ელიტის მარტივი პოპულიზმი. შეუძლებელია ყველაფერი ერგებოდეს საზოგადოებაში არსებულ განწყობებს. პოლიტიკური ხედვის მიზანი კი, საზოგადოებრივი აზრის უკეთესობისკენ შეცვლა უნდა იყოს.

მაგალითად, შეიძლება ბევრისთვის სასიამოვნო მოსასმენი არ იყოს, მაგრამ დღეს ყველა პოლიტიკურმა პარტიამ იცის, რომ თუ საზოგადოებრივ კვლევას ჩავატარებთ, ყველაზე ავტორიტეტული ინსტიტუტი ქვეყანაში მართლმადიდებლური ეკლესია და კათოლიკოს-პატრიარქია. შედეგად მივიღეთ ის, რომ ყველა საარჩევნო კლიპში ცდილობენ თავიანთი ასოცირება მოხდინონ ან პატრიარქთან, ან ეკლესიასთან, ან სახარებასთან მაინც. პოლიტიკოსის აზრით, ეს არასწორი მიდგომაა პირველ რიგში იმიტომ, რომ ეკლესიის გამოყენება პოლიტიკური მიზნებისთვის არასწორია, მეორეს მხრივ კი იმიტომ, რომ ადამიანებს არ აინტერესებთ ეკლესიისადმი დამოკიდებულება; ეს უბრალოდ ფარისევლობაა.

პოლიტიკოსი მიიჩნევს, რომ დღეს ქართულ პოლიტიკურ სივრცეში განვითარებას აქვს ადგილი, “პროცესი სახეზეა”. თუმცა, მისი აზრით, მთავარია ქართულმა პოლიტიკურმა პარტიებმა თავად უნდა სცადონ გავლენა იქონიონ საზოგადოების აზრზე და არ იყვნენ ორიენტირებულნი უბრალოდ საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებაზე, არ მოხდეს მხოლოდ იმის აქცენტირება, რისი მოსმენაც საზოგადოებისთვის რეალურად მისაღებია; პოლიტიკური სპექტრის ჩამოყალიბება მხოლოდ ისეთი პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბების შემდეგ იქნება შესაძლებელი, რომლებიც არ შეიცვლიან თავიანთ პრინციპულ პოზიციას, მიუხედავად საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულებისა

როგორც რესპონდენტი აღნიშნავს, საქართველოში პოლიტიკური სპექტრი მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებულია, უბრალოდ მათ მეტი პრინციპულობა და მდგრადობა სჭირდებათ. მისი აზრით, უკანასკნელი რამდენიმე წელი მნიშვნელოვანი ფუნდამენტის ჩაყრისთვის აუცილებელი იყო. ამ პერიოდში გამოიკვეთა ბევრი მიმართულება - ზოგიერთი პარტია მემარცხენე-სოციალისტური იდეებისკენ გადაიხარა, ზოგიერთი ძალისთვის უფრო მნიშვნელოვანი ბიზნესის და სამეწარმეო სფეროს განვითარება გახდა, რაც მემარჯვენე იდეოლოგიის არსებობაზეც მეტყველებს. ამ ტიპის განსხვავებები 90-იან წლებში არ არსებობდა, ვერც ვერავინ ახსნიდა, თუ რას ნიშნავდა

მემარცხენე, ან მემარჯვენე იდეოლოგია. პოლიტიკოსის აზრით, 90-იანებში პოლიტიკური პარტიის შექმნისას განმსაზღვრველი და მნიშვნელოვანი პირადი ურთერთობები იყო და არა პოლიტიკური ხედვა. სწორედ იდეოლოგიური თანხვედრის არსებობის პირობებში პოლიტიკური პარტიების შექმნის თანამედროვე ტენდენციებს მიიჩნევს პოლიტიკოსი პოლიტიკურ სპექტრში მთავარ წინგადადგმულ ნაბიჯად.

7 ნოემბრის მოვლენების შეფასებისას პოლიტიკოსი აღნიშნავს, რომ სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანია, ერთის მხრივ, ქონდეს ადამიანს გარანტირებული უფლება გამოხატოს საკუთარი აზრი, მაგრამ, მეორეს მხრივ, ეს უფლება უნდა იყოს რეალიზებული კანონის ფარგლებში. 90-იან წლების დასაწყისში ძალიან პოპულარული დევიზი - “ყველა მინუს ერთი”, რომელიც ზვიად გამსახურდიას ეხებოდა, გამოხატავდა პარტიების გაერთიანებას სიძულვილის ნიშნით. სწორედ ერთი ადამიანის სიძულვილის გამო ერთიანდებოდნენ პარტიები, რასაც საბოლოოდ სიძულვილის ამ კონკრეტული ობიექტის არარსებობის შემთხვევაში პოლიტიკური გაერთიანების დაშლაც მოყვა. პოლიტიკოსი პარალელს ავლებს 90-ანებთან და ნოემბრის მოვლენების დროს პარტიების გაერთიანებას შორის. მისი აზრით, სწორედ ასეთივე სიძულვილმა გააერთიანა პოლიტიკური პარტიები ნოემბრის მოვლენებამდე. სხვა ახსნა ერთი და იგივე ქოლგის ქვეშ უკიდურესად მემარცხენე ლეიბორისტული პარტიისა და მემარჯვენე რეპუბლიკელების გაერთიანებას რთულია მოუძებნო.

მისი შეფასებით, სიძულვილის ნიშნით გაერთიანება ლოგიკურად წარსულს უნდა ჩაბარებოდა, თუმცა პოლიტიკური პარტიები არც დღეს ამბობენ ამაზე უარს. პოლიტიკოსი იმედოვნებს, რომ ძალიან მალე ყველასთვის ნათელი გახდება, რომ მსგავსი პრინციპით გაერთიანება მხოლოდ იმის მომასწავებელია, რომ უახლოეს მომავალში გუნდი გაითიშება და შედეგი ამ გზით არ მიიღწევა. პოლიტიკოსის შეფასებით, ნოემბრის მოვლენების და 2008 წლის იანვრის არჩევნები ცხადყოფს, რომ სიძულვილის ნიშნით გაერთიანებული პოლიტიკური გუნდი, ნებისმიერი საარჩევნო სუბიექტი აუცილებლად დამარცხდება.

სიძულვილის ნიშნით გაერთიანებულ ძალებზე საუბრისას, პოლიტიკოსი აღნიშნავს, რომ რუსეთის მსგავსი “თავზე ხელაღებული” ძალის თავდასხმის შემთხვევაში ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა ქვეყნის შიგნით არსებულ პოლიტიკურ პარტიებს აკისრიათ, თუმცა, აქვე მნიშვნელოვანია, რომ პასუხისმგებლობა გაიზიაროს ნებისმიერმა პარტიამ იმის მიუხედავად, რა

პოზიციას იკავებს იმ კონკრეტულ მომენტში, ან რამდენად არის წარმოდგენილი პარლამენტში. ამ მოვლენების დროს პოლიტიკური პარტიების მიერ გაკეთებული პირველი განცხადებების თანახმად, პარტიები აცხადებდნენ მორატორიუმს. გაუგებარია რას ნიშნავს მორატორიუმი, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ საერთოდ არ ილაპარაკო იმ პროცესებზე რაც ხდება. პოლიტიკოსისთვის გასაგებია პოზიცია, რომ აღარ უპირისპირდება რომელიმე პარტია ხელისუფლებას პოლიტიკურად, რისი დაპირება იყო და შესრულდა კიდევაც. მაგრამ, მეორეს მხრივ ნეიტრალური პოზიციის დაკავება მაშინ, როდესაც ქვეყანას ესხმის სახელმწიფო, რომელიც ცნობლია როგორც ერთ-ერთი ყველაზე დიდი აგრესორი, ეს უკვე უპასუხისმგებლობაა. ის ფაქტი, რომ ქვეყნის შიგნით არ გამოჩნდა არც ერთი პოლიტიკური ძალა, რომელიც ღიად დაადანაშაულებდა საქართველოს ხელისუფლებას და რუსეთის პოზიციებს დაიჭერდა, ეს უფრო იმის დამსახურებაა, რომ საზოგადოება იყო რადიკალურად განწყობილი, საზოგადოებაში არ არსებობდა რუსეთის მხარდაჭერის რესურსი. სწორედ ამან გამოიწვია ის, რომ პოლიტიკურ პარტიებსაც არ გაუკეთებიათ რუსული პოზიციის გამხმომავნებელი ღია განცხადებები.

პოლიტიკოსები არ უნდა იღებდნენ მოკლევადიან გადაწყვეტილებებს. პირიქით, მათ უნდა ახასიათებდეთ სწორედ ხედვა სამომავლო პერსპექტივის თვალსაზრისით. შარშან ერთ-ერთი პოლიტიკური პარტია ითხოვდა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს, რომელიც ჩატარდა. იგივე პარტია ამტკიცებდა, რომ ნაცმოძრაობამ 5 პროცენტის ბარიერი იმის გამო დაწია, რომ დამარცხების შეეშინდა. რეალურად კი, ვადადელი არჩევნების მოთხოვნით გამოსულმა პოლიტიკურმა პარტიამ არჩევნებში 3 პროცენტზე ოდნავ მეტი ხმა მიიღო, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში მნიშვნელოვანი მოვლენის შემდეგ პოლიტიკური პარტიის მიერ რიგგარეშე არჩევნების მოთხოვნის დაყენება უპასუხისმგებლობაა. ასეთ სიტუაციებზე ჩასაფრებული პოლიტიკური პარტია დამარცხდება ნებისმიერ არჩევნებში, რადგანაც ის მუდმივად ელოდება მისთვის უფრო ხელსაყრელ პირობებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს შემთხვევით მისი ხელისუფლებაში მოსვლა. ამგვარი მიდგომები პოლიტიკური პარტიების განვითარებას ხელს ვერ შეუწყობს.

მტკიცება, რომ არჩევნების ჩატარების სიხშირე პოლიტიკურ ცხოვრებაზე დადებითად აისახება, ექსპერტს არასწორად მიაჩნია. მართალია, ყველა პოლიტიკური პარტია მოდის ლოზუნგებით, მაგრამ ხელისუფლებაში

პარტიის დარჩენა მისმა საქმეებმა უნდა განაპირობოს და არა ლოზუნგების სიმძაფრემ. ხელისუფლებაში მხოლოდ ლოზუნგებით მოსვლა რეალურად პარტიის განვითარებას კი არ შეუწყობს ხელს, არამედ საბოლოო ჯამში მივიღებთ იმას, რომ ხალხი მხოლოდ ლოზუნგებს შეეჩვევა და არ იქნება ორიენტირებული საქმეზე. ერთია, პარტიამ თქვას საკუთარი გეგმების შესახებ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, მაგრამ მეორეა, თავად ამ გეგმის განხორციელება. პარტია არჩევნების მეორე დღესვე თუ დაიწყებს იმაზე საუბარს, თუ რატომ ვერ შეასრულა სახელისუფლებო გუნდმა დაპირებები და ამის ფონზე მოვიდეს ხელისუფლებაში, ის ისევე განწირულია სამომავლო რევანშისტების, როგორც წინა პარტია.

დღეს პოლიტიკურ პარტიებს უნდა ჰქონდეთ წარსულის გააზრების საშუალება და არ უნდა ეცადონ ამ მოვლენების გამოყენებას კონკრეტულად საკუთარი პარტიის ინტერესების გასატარებლად. დღეს ყველა პოლიტიკური პარტიის მიზანი უნდა იყოს სტაბილური სიტუაციის შენარჩუნებით, ოპონირების კორექტული რეჟიმის შენარჩუნებით პოლიტიკური დიალოგის იმ სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარების ამ ეტაპზე. რესპონდენტის შეფასებით, რთულია თქვა, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა სწორი დასკვნები გამოიტანეს ამ მოვლენების შემდეგ. პირიქით, დასკვნები მცდარია და ხელისუფლებისთვის ყველაფრის გადაბრალდებაზეა ორიენტირებული.

გამოკითხული პოლიტიკოსის განცხადებით, რთულია იმის მტკიცება, რომ ყველა პოლიტიკური პარტია მიზნად ისახავს სხვა ქვეყნების შესაბამისი მიმართულების მქონე პოლიტიკურ პარტიებთან, ან საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას, მაგრამ ქვეყანაში არის ოთხი-ხუთი პარტია, რომელიც ცდილობს საკუთარი პოზიცია დააფიქსიროს ყველგან, მათშორის, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ცდილობს იყოს სხვადასხვა ევროპული გაერთიანების წევრი. მაგალითად, “ნაციონალური მოძრაობის” მიერ IPP-ის წევრობა, “ახალი მემარჯვენეების” მიერ ევროპული გაერთიანების წევრობა იმას მოწმობს, რომ ქვეყნის შიდა პოლიტიკა აღარ არის ჩაკეტილი. ქართული პოლიტიკური პარტიების საქმიანობის შესახებ საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის, სხვა ქვეყნების პარტიებისა და მთავრობებისთვის ინფორმაციის მიწოდება ხელს უწყობს როგორც პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებას ქვეყნის შიგნით, ასევე, უშუალოდ პარტიების გაძლიერებას იდეოლოგიური, ინტელექტუალური თვალსაზრისით.

პოლიტიკოსის შეფასებით, ამ მიდგომის მქონე მხოლოდ ოთხი-ხუთი პარტიაა საქართველოში. მისი აზრით, ნაციონალური მოძრაობის გარდა, შეიძლება საუბარი “რესპუბლიკურ პარტიაზე”, “ახალ მემარჯვენეებზე”, სალომე ზურაბიშვილის პარტიაზე და მეტ-ნაკლებად კონსერვატორებზე. “ქრისტიან-დემოკრატების” შეფასებისას, პოლიტიკოსი აცხადებს, რომ ამ პარტიამ ჯერჯერობით მხოლოდ დაიწყო რეალური გათვლებით მუშაობა. საბოლოო ჯამში კი, სხვა ქვეყნის პოლიტიკურ გაერთიანებებთან, მთავრობებთან თანამშრომლობა, პოლიტიკოსის მიერ ფასდება როგორც პოზიტიური მოვლენა; ამგვარი ურთიერთგაცვლა ხელისშემწეობი ფაქტორი უნდა იყოს ქვეყანაში პოლიტიკური სპექტრის ჩამოყალიბებისა და კრისტალიზაციისთვის.

ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების მის ფარგლებს მიღმა გადაწყვეტის შესაძლებლობებთან დაკავშირებით, პოლიტიკოსი თვლის, რომ ეს ილუზიაა ჯერ კიდევ არსებობს არა მხოლოდ პოლიტიკურ პარტიებში, არამედ ექსპერტთა გარკვეულ წრეშიც; მეტიც, არსებობს ილუზია, რომ სადღაც ოფისში წყდება არა მხოლოდ საქართველოს და მისი მსგავსი პატარა ქვეყნის, არამედ თვით ამერიკის შეერთებული შტატების არჩევნების ბედიც. ამ ყველაფერს პოლიტიკოსი არასერიოზულად მიიჩნევს და ფიქრობს, რომ აუცილებელია, პირველ რიგში, თავად პოლიტიკოსებმა ირწმუნონ, რომ ყველაფერი, რაც ქვეყანაში უნდა გადაწყდეს, მათ უნდა გადაწყვიტონ და ძალუძთ კიდევ ამის გაკეთება. ცხადია, აქვე პოლიტიკოსი იმაზეც მიუთითებს, რომ საქართველოში მიღებული გადაწყვეტილებები მხოლოდ ქართულ მხარეზე ვერ იქნება დამოკიდებული, მითუმეტეს ისეთი მოწინააღმდეგის გათვალისწინებით, როგორც რუსეთია. მაგრამ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ საქართველო თავად არ აკეთებს არჩევანს. მისი განცხადებით, ყველა არჩევანს თავად ქვეყანა აკეთებს და ის ფაქტი, რომ აშშ და ევროკავშირი საქართველოს მოკავშირეები არიან, მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ ესეც ქართული მხარის გადაწყვეტილებაა; ეს არ არის ვიღაცის მიერ თავსმოხვეული გადაწყვეტილებები და ქვეყნის ბედიც იმ გადაწყვეტილებების საფუძველზე წყდება, რომელსაც ამ ქვეყანაში იღებენ.

პოლიტიკოსის შეფასებით, საქართველოში ჩამოსაყალიბებელია არა მხოლოდ პოლიტიკური სპექტრი, არამედ ძალიან ბერვი ინსტიტუტი. მართალია, ძალიან ბევრი რამ ერთმანეთზეა დამოკიდებული, მაგრამ მომავალში ბუნებრივად მოხდება პოლიტიკური პარტიებისა და პოლიტიკური მიმდინარეობების გამსხვილება. ეს პროცესი არ არის დამოკიდებული



კონკრეტული არჩევნებისთვის შექმნილ პარტიებზე. საქართველოში ყოფილა პრეცედენტები, როდესაც ქვეყანაში მოხდა პოლიტიკური პარტიის რატიფიცირება, რომელსაც სულ ხუთი წევრი ჰყავს; ასეთი პოლიტიკური პარტიების რაოდენობა ქვეყანაში ათასამდე აღწევს. ამიტომაც, საქართველოში ჯანსაღ პოლიტიკურ სპექტრზე საუბარი ამ ეტაპზე ნაადრევია. თუმცა, პოლიტიკოსის აზრით, ამ პარტიების გამსხვილების პროცესი უკვე დაწყებულია და ეს პროცესი გაგრძელდება. საქართველოსთვის იყო და მომავალშიც მისაღები იქნება ისეთი პოლიტიკური პარტიები, რომელსაც ძლიერი პოლიტიკური ლიდერი ჰყავს და შესაბამისად, ექსპერტი გარკვეულ ცვლილებებს ამ მიმართულებითაც პროგნოზირებს. ცხადია, ლიდერის დიდი როლი პარტიაში არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ პარტიის შექმნა მოხდეს ლიდერის გარშემო. პირიქით, მისი აზრით, თავად პარტიაში უნდა გაჩნდეს ახალი ლიდერი, რომელიც მომავალში იგივე იდეოლოგიის, იგივე ფილოსოფიის მქონე პოლიტიკურ პარტიას გაუძღვებიან. პოლიტიკოსი არ ვარაუდობს ასეთი რეალობის გაჩენას უახლოესი ხუთი-ათი წლის პერსპექტივაში; მისი აზრით, საქართველოში იქნება რამდენიმე ძლიერი პარტია, რომლის წიაღშიც პერიოდულად გამოჩნდება ძლიერი ლიდერი, რომელიც პოპულარული იქნება საზოგადოებაში და წარმატებას მოუტანს საკუთარ პარტიას საზოგადოების მხარდაჭერით.

## ოპოზიციური პოლიტიკური ელიტა

ოპოზიციური პოლიტიკური ელიტის წარმომადგენელი, პოლიტიკოსი:

რეკოლუციამ გარკვეულწილად პოლიტიკური ელიტის მთელი თაობა “ჩარეცხა” და გაჩნდა მხოლოდ სახელისუფლო ფლანგი. იშვიათი გამონაკლისების გარდა არასახელისოფლებო ფლანგზე არავინ დარჩა და ჩვენი პარტიაც ამ გამონაკლისს მიეკუთვნება. მაშინ მოხდა პრაქტიკულად მთელი პოლიტიკური სპექტრის ტრანსფორმაცია სახელისუფლო გუნდში და

სააკაშვილის გარემოცვაში. სააკაშვილმა პოლიტიკური სპექტრისადმი დამოკიდებულება გამოხატა ფრაზით “ჩემი მატარებელი”, რომელშიც ყველას ეპატიუებოდა, რასაც შემდგომ მოყვა არა მარტო პოლიტიკოსების წმენდა, არამედ მთლიანად სამოქალაქო სექტორის. სამოქალაქო საზოგადოება ჩამოყალიბდა როგორც სახელისუფლო ერთობა. არასამთავრობო სექტორმა, მედიამ, ბიზნეს-ელიტამ, ყველამ გადაწყვიტა, რომ უნდა ემსახუროს რევოლუციის იდეას, სააკაშვილის იდეას, რომლის არსიც არავინ არ იცოდა, გარდა იმისა, რომ უნდა შეექმნათ დიადი მომავალი. ამ საერთო ეიფორიაში დაიკარგა ჩვენი და ყველა განსხვავებული იდეის მქონე გუნდის ხმა. მოვლენები მართალია სწრაფად განვითარდა, მაგრამ მაინც თვალსაჩინო იყო სრულიად მიუღებელი პოლიტიკა, რომელიც საფრთხეს უქმნიდა დემოკრატიას, ადამიანების უფლებებს; მთელი პოლიტიკა დაფუძნებული იყო შიშზე, მუქარაზე და დაშინებაზე, რამაც თავისი ეფექტი საწყის ეტაპზე გამოიღო და საზოგადოება საოცრად მორჩილი, დამყოლი გახდა. ამ მორჩილებამ კიდევ უფრო შეაფერხა პოლიტიკურ სპექტრში ადამიანების გამოჩენა.

ოპოზიციური პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლის განცხადებით, პოლიტიკურ პროცესებში გარკვეული ცვლილებელი მოხდა, რისთვისაც ყველაზე გარდამტეხი სანდრო გირგვლიანის მკვლელობა და ის ფაქტი აღმოჩნდა, რომ საზოგადოებამ ნელ-ნელა, მაგრამ მაინც დაიწყო ხმამაღლა პროტესტის გამოთქმა. ამავე პერიოდს უკავშირდება უნივერსიტეტში მიმდინარე ძალიან მძიმე პროცესები, როდესაც პოლიციით და უხეში ძალით დაუპირისპირდნენ პროფესურას, უნივერსიტეტის პედაგოგებს. თითქოს სწორედ მაშინ მოხდა ელიტის ფორმირება. ამ პერიოდში უმრავლესობიდან დაიწვეს წამოსვლა საკუთარი მე-ს, საკუთარი მსოფლმხედველობის მქონე პოლიტიკოსებმა და პარტიებმა. მაგალითად, სახელისუფლებო გუნდს გამოეყენენ “რესპუბლიკელები”, “კონსერვატორები”. არც თუ სრწფად, მაგრამ თითქოს განსხვავებულ პლატფორმაზე მდგომი პოლიტიკური ელიტის გამოცოცხლების პროცესი დაიწყო. პარალელურად, საზოგადოებაში კრიტიკული მასის დაგროვება პერმანენტულად ხდებოდა და რაღაც ეტაპზე აფეთქება პროგნოზირებადი იყო. ამ ვითარებაში ხელისუფლებისთვის საჭირო იყო გამშვები მექანიზმის არსებობა, რომლის როლიც ირაკლი ოქრუაშვილმა ითამაშა სახელისუფლებო გუნდიდან წამოსვლით. ოქრუაშვილი ამ რევოლუციის ერთ-ერთ ავტორად, სააკაშვილის უახლოეს თანაგუნდელად ითვლებოდა, ამიტომაც

მის მიერ გაკეთებული განცხადებები ძალიან ხმაურიანი და სკანდალური აღმოჩნდა საზოგადოებისათვის. სწორედ ეს იყო ის ბოლო წვეთი, რომელმაც უზარმაზარი პროტესტის ფორმით გამოვლინდა და 28 სექტემბერს პირველი მიტინგიც გაიმართა. ამ უკანასკნელს შემდეგ მიტინგების კასკადი და 2 ნოემბერს 100 000-ზე მეტი ადამიანის შეკრება მოყვა. “ვარდების რევოლუციის” შემდეგ ამდენი ადამიანი არასდროს შეკრებილა, მეტიც, პირველად რევოლუციის დროსაც კი არ ყოფილა ამდენი ადამიანი შეკრებილი, რამდენიც 2 ნოემბერს დინამოს სტადიონზე.

ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლის შეფასებით, საზოგადოება ვერ მიყვება ხოლმე პოლიტიკური ელიტის ქმედებებს. 7 ნოემბრის შემდეგ საზოგადოებამ არჩევანი გააკეთა ერთობაზე, ოპოზიციის მექანიკურ გაერთიანებაზე და არა ხარისხზე, პროგრამაზე, წარსულზე, ერთგულებაზე, ან პრინციპულობაზე და ა.შ. საზოგადოებამ უარი თქვა რევოლუციის შედეგზე როგორც პოზიტიურ შედეგზე და ნეგატიურად შეაფასა სააკაშვილი და მის მიერ განვლილი გზა რევოლუციიდან დღემდე. ცხადია, რაღაც კარგი იყო, რაღაც მართლაც გამოსწორდა, დაიძლია წვრილმანი კორუფცია, აღმოიფხვრა მექრთამეობა, განათდა ქუჩები, დაიგო გზები, მაგრამ მთლიანობაში სახელმწიფო “civia”, ემსახურება პიროვნებას, მოქალაქეს, მის კეთილდღეობას და მოქალაქეები მთავრობას ქირაობენ სწორედ იმისთვის, რომ უკეთ იცხოვრონ, უფრო კომფორტულად იგრძნონ თავი, ღირსება და კეთილდღეობა იყოს უზრუნველყოფილი ხელისუფლების მიერ. მაგრამ, პოლიტიკოსის შეფასებით, საქართველოს მოქალაქეს აქაც გაუცრუვდა იმედი და დაინახა, რომ პოზიტივი ფასადურია და თანაც ვერ სარგებლობს ამით, რადგან ან სამსახურიდანაა გამოგდებული, ან დაშინებულია, ან უკანონოდ რეპრესირებული და დაჭერილია, ან ქონება და ბიზნესი აქვს ჩამორთმეული. საზოგადოების წევრთა დიდი ნაწილი სწორედ ასეთ ვითარებაში აღმოჩნდა და მათ ეს გააპროტესტეს. ცხადია, ეს ვითარება არ იყო მიუღებელი ყველასთვის, რადგაც ვიწრო წრემ ელიტამ, ელიტასთან დაახლოებულმა საზოგადოებამ და ფანატიკოსთა პატარა ჯგუფმა კომფორტული გარემო მოიწყო სააკაშვილის გარემოცვაში. სამწუხაროდ უკმაყოფილო სეგმენტში არ აღმოჩნდა საკმარისი რაოდენობა იმ ადამიანებისა,

რომლებმაც პოლიტიკოსებისა და პროგრამების გარჩევა დაიწყეს, რომლებმაც დაიწყეს იმაზე ფიქრი, თუ რა იქნება სააკაშვილის შემდეგ, რა იქნება მომავალში, ვის შეუძლია მისი დამხობა. ფსონი გაკეთდა ერთობაზე, ერთობის კანდიდატზე. “ეროვნული საბჭო” მაშინ აღმქმულ იქნა როგორც სააკაშვილის დამანგრეველი ძალა და მხარდაჭერაც მიიღო. საბჭოს მხარი ყველა ფენიდან დაუჭირეს, როგორც ინტელექტუალური, ასევე ნაკლებად ინტელექტუალური ფენიდან.

ამ პროცესების შემდეგ 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნები პოლიტიკოსის მიერ შეფასებულია, როგორც ისეთივე კატაკლიზმების გამომწვევი ქართულ პოლიტიკაში, როგორიც იყო 7 ნოემბერი. მისი აზრით, 5 იანვარს საზოგადოებაში ძალიან დიდი იყო სამართლიანი ცვლილების მოლოდინი, მაგრამ ეს მოლოდინი არ გამართლდა, რადგანაც ადგილი ქონდა სასტიკ გაყალბებას, დასავლეთის მიერ ნეგატიური როლის თამაშს. საზოგადოებას იმედგაცრუება დაეწყო როგორც ოპოზიციური გუნდის მიმართ, ასევე დასავლეთის ობიექტურობის და დემოკრატიული სამყაროს სამართლიანობის აღქმის მიმართაც. ეს ნიჰილიზმი აისახა 21 მაისს საზოგადოების აქტიურობაზე. პოლიტიკოსის შეფასებით, 21-ში საზოგადოება არჩევნებში გაიყიდა, რაც ასეთი მასშტაბებით არ მომხდარა 5 იანვარს. 7 ნოემბრის შოკის მერე ხელისუფლება ვერ გამოვიდა მდგომარეობიდან და მაისისთვის უკეთ მოემზადა, თუმცა, ამავე დროს საზოგადოებაც აღმოჩნდა უფრო მზად და ადვილად მოტყუვდა. მაისში ამუშავდა სხვადასხვა მეთოდი მოსყიდვა, დაშინება, დაპირებები და შედეგიც სახეზეა. პოლიტიკოსი არც იმას გამორიცხავს, რომ საქმე უბრალოდ კომფორმიზმთან გვქონდა და რადგან საზოგადოების დიდმა ნაწილმა გააცნობიერა, რომ მ. სააკაშვილი და მისი პოლიტიკური გუნდი არ იცვლება, დასავლეთიც მათ უჭერს მხარს და სხვა პოლიტიკური გუნდის არჩევის შემთხვევაშიც, უხეში ძალა პოლიცია, ჯარი და ა.შ. მ. სააკაშვილის მხარესაა, მათ უბრალოდ კონფორმისტული გადაწყვეტილება მიიღეს. ვაკეში ოპოზიციურმა გუნდმა ბევრი ხმა აიღო და არა იმიტომ, რომ მათი კანდიდატი ვაკეში სხვაგან ოპოზიციურ კანდიდატებზე უკეთესი იყო, არამედ იმიტომ, რომ ვაკის ამომრჩეველი უფრო პირინციპული და უფრო თავისუფალი აღმოჩნდა თავის ქმედებაში. სწორედ ეს თავისუფლება და პრინციპულობა აკლდა ამომრჩეველს 7 ნოემბრის შემდეგ.

ოპოზიციური პოლიტიკური ელიტის წარმომადგენელი, პოლიტიკოსი:

“ვარდების რევოლუციიდან” დღემდე პოლიტიკური ელიტის შეფასებისას, პოლიტიკოსი აცხადებს, რომ საქართველო დემოკრატიული ქვეყანა არ არის და შესაბამისად, პოლიტიკური ელიტა აქ ერთპარტიულია, რითაც განსხვავდება ის დასავლური ელიტისაგან. მისი შეფასებით, “მოქალაქეთა კავშირის” დროს იყო ჩამოყალიბებული ელიტა, რომელიც შედგებოდა პარტიული, ბიზნეს და სამართალდამცავი ორგანოს ელიტებისაგან, რისი გარკვეული სახეცვლილებაც მოხდა “ვარდების რევოლუციის” შემდეგ. სამართალდამცავი ორგანოების ელიტა შეიცვალა, პარტიული ელიტის ნაწილმა მითთვისა მთელი ძალაუფლება, ცვლილებები პრაქტიკულად იყო უმნიშვნელო. რეალურად იმ პოლიტიკურმა ლიდერებმა რომლებიც მოვიდნენ ხელისუფლების სათავეში განახორციელეს მხოლოდ პერსონალური ცვლილება. რეალურად მოხდა ტექნიკური ცვლილება, როდესაც ე. შევარდნაძის დროინდელი სამართალდამცავი ორგანოების ელიტა, რომელიც დიდ ფუნქციებს ასრულებდა, სრულად შეიცვალა პარტიული ელიტიდან დანიშნული პიროვნებებით. რაც შეეხება სტრუქტურას, ის უფრო შეიცვალა, რადგან შევარდნაძის დროს არსებობდა უფრო ღია პოლიტიკური ელიტა. რამდენიმე სხვადასხვა კასტაც იყო ამ ელიტაში და, რაც მთავარია, უფრო მეტი პიროვნება იყო პროცესებში ჩართული.

ამ ხელისუფლების პირობებში, პოლიტიკოსის შეფასებით, ვითარება შეიცვალა. უფრო ვიწრო და მეტი სუბორდინაციის პირობებში მოხდა პოლიტიკური ელიტების ჩამოყალიბება აზიის ქვეყნების, მაგალითად ეგვიპტის მსგავსად. იქ ერთი მმართველი ოჯახია, რომელიც მყარ პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენს.

“აზიური ოჯახის მსგავსად, საქართველოში არის მ. სააკაშვილი და რამდენიმე პირი მისი გარემოცვიდან - ადეიშვილი, მერაბიშვილი და ა.შ. სულ საერთო ჯამში 50-100 ოჯახი, რომლებიც აკონტროლებენ პოლიტიკურ და ფინანსურ ინსტიტუტებს.“

ამავე რესპონდენტის მოსაზრებით, საქართველოში ელიტის ცირკულაციას ადგილი არ აქვს, არ ხდება როტაცია, აქ მხოლოდ პერსონალური ცვლილებებია შესაძლებელი, როდესაც კონკრეტული სუბიექტი “რადაც მიზეზების” გამო ჩამოშორდება პოლიტიკურ ელიტას. მაგალითად,

ცირკულირება იმ ფორმით, რა ფორმითაც ეს ხდება ამერიკის სენატში, აქ არ ხდება, იმის მიუხედავად, რომ ელიტა იქ ძალიან მყარია.

“თუ დაგაკვირდებით, დღეს საქართველოში არსებობს მმართველი ელიტა, სიახლეები აქ არ არის. ელიტა ჩაკეტილია დღევანდელ საქართველოში, რადგან ამ ელიტაში მოსახვედრად პირობები, შესაძლებლობები არ არსებობს. სახელისუფლებო ელიტაში მოსახვედრად ან მაღალი პოლიტიკური თანამდებობის მიღებაა საჭირო, ან სერიოზული ფინანსები. საქართველოში კი მაღალი თანამდებობის დაკავებაც და ფინანსური წარმატებაც ქვეყნის პირველი პირის უშუალო ჩარევითაა შესაძლებელი.” რაც შეეხება სახელისუფლებო ელიტისაგან დამოუკიდებელ ინსტიტუტებს - ოპოზიციას, სამოქალაქო საზოგადოებას ან მედია, ისინი ისეთ პირობებში არიან, რომ ელიტის კონტექსტში მათი განხილვა, პოლიტიკოსს არაკორექტულად მიიჩნია.

2007 წლის 7 ნოემბერისა და საპრეზიდენტო არჩევნების შეფასებისას, პოლიტიკოსი აცხადებს, რომ პროცესებს პოლიტიკურ ელიტებში სისტემური ცვლილება არ გამოუწვევია. ნ. ბურჯანაძის პოლიტიკური ელიტიდან გასვლას პოლიტიკოსი პერსონალურ ცვლილებად აღიქვამს და არ მიიჩნევს მას სისტემურ ცვლილებად. მისი აზრით, ამგვარ პერსონალურ ცვლილებას სახელისუფლებო ელიტაში ზ. ჟვანიას მკვლელობის შემდეგ მუდმივად ხორციელდებოდა. 2005 წლიდან ჩამოყალიბებული ელიტა უცვლელად რჩება და ადგილი მხოლოდ პერსონალურ ცვლილებებს აქვს.

ოპოზიციური ფრთის წარმომადგენლის შეფასებით, სახელისუფლებო ელიტა საკმაოდ მყარია, მითუმეტეს, რომ რომ მან 7 ნოემბრის შემდეგ უკეთ გააცნობიერა ის მოტივაცია, რომელიც მათ ერთმანეთთან აკავშირებს. ეს ელიტა საქართველოში დღეს იმის მაქსიმუმს ფლობს, რისი ფლობაც შესაძლებელია, როგორც პოლიტიკური, ისე ფინანსური თვალსაზრისით. იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებმა მათ დაანახა, რომ რამდენიც არ უნდა იყოს მათ შორის წინააღმდეგობები (მაგალითად გ. უგულავას, ვ. მერაბიშვილის და სხვათა ჯგუფები), ეს მეორეხარისხოვანია იმასთან შედარებით, რაც მათ ემუქრება. კერძოდ, საფრთხეს მათთვის როტაცია წარმოადგენს, რადგანაც ნამდვილი როტაცია გამოიწვევს იმას, რომ სახელისუფლებო ელიტა სრულად დაკარგავს ძალაუფლებას. ამიტომ, პროგნოზირებს პოლიტიკოსი, არაფერი არ შეიცვალა სახელისუფლებო გუნდში 7 ნოემბრის შემდეგ გარდა იმისა, რომ უფრო მკვეთრად გამოიკვეთა ამ ელიტის კონტურები და მოტივაცია.

რესპონდენტის აზრით, პოლიტიკურ მდგომარეობაზე გავლენა 7 ნოემბერმაც მოახდინა და აგვისტოს მოვლენებმაც, მაგრამ ამ მოვლენებს გავლენა არ მოუხდენია თავად პოლიტიკურ ელიტაზე. არსებული პოლიტიკური ელიტა ისეთივედ დარჩა, როგორც იყო; ის ისეთია, როგორც აზიის ქვეყნებში. ამ გზით ახლა აზერბაიჯანი და ბელორუსი მიდიან. იქ ხელისუფლებას ათწლეულების მანძილზე ინარჩუნებენ, რაც არჩევითი დემოკრატიის პრინციპებს უბუღებელყოფს.

პოლიტიკოსის შეფასებით, 7 ნოემბრისა და აგვისტოს მოვლენების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა კრიტიკული დამოკიდებულება დასავლეთის ქვეყნებში საქართველოს მიმართ. დღეს გაურკვეველია დარჩება თუ არა სააკაშვილი მესამე ვადით; ეს საკითხი კი თავისთავად პოლიტიკური ელიტის სისტემაზეც დიდ გავლენას მოახდენს. თუ სააკაშვილი დარჩება მესამე ვადით, პოლიტიკოსის აზრით, სახელისუფლებო ელიტა დაკარგავს იმ ძირითად იდეოლოგიურ, პოლიტიკურ თუ ფინანსურ მხარდაჭერას, რაც ჰქონდა მას დასავლეთიდან, როგორც ლიბერალურ-რეფორმატორების ჯგუფს. ასეთ შემთხვევაში, შეიძლება ამერიკის ადმინისტრაციამ და ევროპის ქვეყნებმა ნამდვილად დაუჭირონ მხარი რომელიმე ოპოზიციურ, მათ შორის შეიძლება ხელისუფლებიდან გამოყოფილ ჯგუფსაც.

პოლიტიკოსის განცხადებით, სახელისუფლებო ელიტაში მიდის პროცესების შეფასება და იმის გარკვევა, რა უფრო რეალურია ხელისუფლების შენარჩუნებისათვის - დარჩეს მ. სააკაშვილი და მათი არსებული სისტემა, თუნდაც დასავლეთის მხარდაჭერის დაკარგვის საფასურად შეინარჩუნონ, თუ პირიქით, შეიცვალოს მხოლოდ მ. სააკაშვილის პიროვნება და ყველაფერი დანარჩენი კი, პოლიტიკური ელიტა, პოლიტიკური სისტემა და შესაბამისად დასავლური მხარდაჭერა შეინარჩუნონ. მ. სააკაშვილმა არ გასცა პასუხი შეკითხვას დაიკავეს თუ არა პრემიერ-მინისტრის პოსტს; ამ კითხვაზე პასუხის არარსებობის პირობებში კი, რა სისტემით იქნება შენარჩუნებული ელიტა, რთული სათქმელია.

პოლიტიკოსის აზრით, ადგილობრივ არჩევნებს ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ გამოჩნდა, როგორი იქნება მომავალი პოლიტიკური ელიტა იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში დემოკრატიული რევოლუცია მოხდება. აშკარაა, რომ პოლიტიკური ოპოზიციური ჯგუფებიდან მოხდება დიდი გადარჩევა. პოლიტიკური ელიტა ყველა ქვეყანაში არის პოლიტიკური სტაბილურობის

მთავარი გარანტი. ელიტა ვერ ჩამოყალიბდება 10-15-20 სხვადასხვა ჯგუფის მიერ; უნდა არსებობდეს პოლიტიკური ჯგუფების შეზღუდული რაოდენობა, რომელთაც ექნებათ ვალდებულებები ერთმანეთის მიმართ და ერთგვარი შინაგანი სტაბილურობაც.

პოლიტიკოსის პროგნოზით, ადგილობრივ არჩევნებში პირველ სამ ადგილზე გასული ძალა პოსტ-სააკაშვილისეული ელიტის კონტურებიდან იქნება, რომლებიც იმ შემთქვევაში შეიქმნება, თუ ქვეყნის ძირითადი რესურსების ფლობას დღეს არსებული პოლიტიკური ელიტა შეწყვეტს. ადგილობრივმა არჩევნებმა გამოაჩინა რომელი პოლიტიკური ძალაა მზად პროცესებში ჩართვისთვის და რომელი პოლიტიკური ძალა გააგრძელებს მარგინალიზაციას მომავალშიც.

საქართველო პატარა ქვეყანაა და ელიტის სიმყარე მთლიანად დამოკიდებულია დასავლეთის ქვეყნებზე; ქართული პოლიტიკური ელიტები შეიძლება არსებობდეს მხოლოდ რაღაც გლობალური პოლიტიკური დინებების კონტექსტში, როგორც პოლიტიკური, ისე ფინანსური თვალსაზრისით. პოლიტიკური თვალსაზრისით, პოლიტიკოსის შეფასებით, ქართული ელიტა ჯერჯერობით ვერც ერთ დინებაში ვერ ჩაეწერა. მისი აზრით, არსებობდა გარკვეული ტაქტიკური ინტერესები ჯ. ბუშის ადმინისტრაციის პირობებში საქართველოს დღევანდელი ელიტის მიმართ, თუმცა იმის თქმა, რომ საქართველო ჩაეწრა დასავლეთის რომელიმე ელიტაში, რთულია. უფრო იმის თქმა შეიძლება, რომ ქართული პოლიტიკური ელიტა ჯ. ბუშის ადმინისტრაციის სუბკონტრაქტორი გახდა, რომელიც ასრულებდა რაღაც კონკრეტულ დავალებას, რათა მოეხდინა ვითარების დესტაბილიზაცია რუსეთის სამხრეთ საზღვრებზე. საქართველოს ელიტამ ვერ მიიღო ის აღიარება, რომელიც ელიტას აუცილებლად უნდა ჰქონდეს, ევროპის პატარა ქვეყნების ელიტების მსგავსად.

პოლიტიკოსის შეფასებით, საქართველოს პოლიტიკური ელიტა არ არის აღიარებული როგორც დასავლური პოლიტიკური ელიტის ნაწილი და აგვისტოს ომის შემდეგ ეს პროცესი უფრო შეჩერდა. საქართველოში პროცესი ჯერჯერობით დასრულებული არ არის; ადგილი აქვს მძარცველურ პრინციპზე ფინანსური რესურსების გადანაწილებას. საქართველოში სტაბილური ელიტები ჩამოყალიბებული არ არის, შესაბამისად ბუნებრივია ის, რომ საერთაშორისო სტრუქტურებში ელიტები ლეგიტიმაციას ვერ პოულობენ. მთავარი, პოლიტიკოსის აზრით ის არის, რომ საქართველოში დღეს არსებული



ოპოზიციური ელიტა თავისი სისუსტით, ხოლო მმართველი ელიტა თავისი “კანიბალიზმით”, ვერ იღებს იმ ლეგიტიმაციას, რომელიც აუცილებელია და ძირითადად გამოიხატება საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანებით.

ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლის აზრით, უახლოეს რამდენიმე წელიწადში მოვლენების შესაძლო განვითარების რამდენიმე ალტერნატივა არსებობს. ერთი ალტერნატივის თანახმად, თუ მ. სააკაშვილი მესამე ვადას ამა თუ იმ ფორმით, საპრეზიდენტო იქნება ეს თუ საპარლამენტო, დარჩება, ამ შემთხვევაში მოხდება დაპირისპირება არა მარტო ოპოზიციასთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, არამედ თავად ხელისუფლების შიგნითაც. განდება ჯგუფი, რომელიც ფსონს დადებს იმაზე, რომ შეინარჩუნოს დასავლეთის და ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერა და ჩაანაცვლოს მ. სააკაშვილი. ეს არის ერთი ვარიანტი, რომელსაც პირობითად უწოდებენ უგულავა-ბოკერიას ჯგუფის ვარიანტს.

მეორე ალტერნატივის მიხედვით, მ. სააკაშვილი პირადად არ დაიკავებს არც ერთ პოსტს და ისევე როგორც პუტინი, დანიშნავს მემკვიდრეს, რითაც უზრუნველყოფს პოლიტიკური სისტემის სტაბილურობას. ეს, პოლიტიკური თვალსაზრისით, ყველაზე რეალური ვარიანტი იქნებოდა. ასეთ შემთხვევაში კმაყოფილი დარჩებოდა როგორც საერთაშორისო საზოგადოება, ასევე ელიტა. თუმცა, ამ სცენარის პირობებში ღიად რჩება საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენადაა თავად მ. სააკაშვილი ამისთვის მზად.

მესამე ალტერნატივა, რომელიც შეიძლება საუკეთესოდ იყოს ქვეყნისათვის, იმ შემთხვევაში გათამაშდება, თუ ოპოზიცია მოახერხებს თავისი გარკვეული ალტერნატივის შექმნას. ასეთ შემთხვევაში საპარლამენტო, ან საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, პოლიტიკური ელიტა, რომელიც კომუნისტური პერიოდიდან მართავს ქვეყანას, ალბათ შეწყვეტს არსებობას. ეს, თავის მხრივ, დაკავშირებულია ბევრ სირთულესთან, მთავარი კი წამყვანი ოპოზიციური ძალის მიერ ერთიანი პოლიტიკური ალტერნატივის ფორმირებაა. ოპოზიციური პოლიტიკური გუნდის პროგნოზით, ეს არის 2013 წლისათვის მოსალოდნელი მოვლენათა განვითარების სამი შესაძლო სცენარი.

ოპოზიციური პოლიტიკური ელიტის წარმომადგენელი, პოლიტიკოსი:

ოპოზიციური ფლანგის წარმომადგენლის აზრით, ვარდების რევოლუცია არის გაგრძელებული კლიშე, რომელსაც თავად ხელისუფლება გვაწვდის. ამ კლიშეს თანახმად, ვარდების რევოლუციიდან იწყება ახალი ეტაპი, ახალი ერა საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაში, თუმცა, პოლიტიკოსის აზრით, რეალურად საქართველოში ახალ ეტაპზე საუბარი არასწორია, რადგანაც არავითარ სიახლეს პოლიტიკურ ისტორიაში ადგილი არ აქვს. სიახლის არარსებობის მიზეზი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში თავად პოლიტიკური ელიტაა, რადგან ის ტრანსფორმირებს, მაგრამ ახალს არაფერს აჩენს. კერძოდ, საქართველოს პოლიტიკური ელიტა და მმართველი გუნდი ეს არის სახეშეცვლილი და სახეებშეცვლილი გუნდი, მაგრამ, ძირითადად, 1995 წელს საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის დასაყრდენი მოქალაქეთა კავშირის სრული შემადგენლობა.

ოპოზიციონერი პოლიტიკოსის შეფასებით, საქმე ახალ პოლიტიკურ გუნდთან არც გეჭონია ვარდების რევოლუციის შემდეგ; უბრალოდ, მოხდა ძველი პოლიტიკური ელიტის ტრანსფორმაცია. რა თქმა უნდა, ეს არის ჩაკეტილი პოლიტიკური კლასი, ელიტა იმის მიუხედავად, რომ სოროსი უწევდა მედიატორობას, მაინც ჩაკეტილი ორგანიზაციაა. ეს უკანასკნელი პრაქტიკულად ერთი ადამიანის საქმიანობაზეა “ჩამოკიდებული”. ქართული ელიტები დამოკიდებულია არა საკუთარ იმუნტეტზე და მობილობაზე, არამედ უცხო სახელმწიფოთა კეთილ ნებაზე. დოგორც რესპონდენტი პოლიტიკოსი აცხადებს, მართალია, თანამედროვე პოლიტიკური ელიტა არის ძველი პოლიტიკური ელიტის ტრანსფორმაცია, თუმცა თავისი იდეოლოგიით, მართვის სტილით, უნარებით ისევ ძველი ტრადიციების ფარგლებში დარჩა. მის რეპროდუქციას პოლიტიკოსი სწორედ ნაციონალური მოძრაობის რამდენიმე ჯგუფად დაშლის მცდელობად მიიჩნევს.

ოპოზიციონერი პოლიტიკოსის აზრით, დროის მცირე მონაკვეთში საქართველოში ორი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა - 7 ნოემბერი და არჩევნები. 7 ნოემბერს საზოგადოების წარმომადგენლები სხვადასხვაგვარად აფასებენ, უფრო ემოციური დამოკიდებულებები იკვეთება ამ შეფასებისას, მაგრამ თავად მოვლენა, პოლიტიკოსის აზრით, არ არის სწორად შეფასებული. 7 ნოემბერი მძიმეა იმით, რომ ამ მმართველობამ, რომელიც თავად მოვიდა

დემოკრატიული პრინციპების სახელით, პრაქტიკულად თავად დასაჯა დემოკრატიული პროცესები საქართველოში, როდესაც თავისუფალ დემონსტრანტებს ძალისმიერი მეთოდით, არაკონსტიტუციური ხერხით გაუსწორდა.

საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების შედეგი უმძიმესი იყო, თუმცა ამაში ხელისუფლება დამნაშავე არ არის, ვინაიდან ხელისუფლება ნებისმიერ შემთხვევაში შეეცდებოდა ძალაუფლების შენარჩუნებას. ოპოზიციონერი პოლიტიკოსის შეფასებით, ბრალი მოვლენების ტრაგიკულ განვითარებაში უპრინციპო და უპასუხისმგებლო ოპოზიციას მიუძღვის, რომელმაც კონფლიქტი ჩათვალა პიროვნულ კონფლიქტად მიხეილ სააკაშვილთან და არა საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილის კონფლიქტი ხელისუფლებასთან. ამდენად, ამ გაუაზრებელმა ქმედებებმა გამოიწვია ის, რომ ხელისუფლება ისევ მმართველ რეჟიმს დარჩა. მიუხედავად დიდი მცდელობისა წარმოადგინონ საპარლამენტო ოპოზიცია, დღეს საქართველოში მაინც ერთპარტიული პარლამენტია, რაც დემოკრატიისათვის საკმარისი ვერ იქნება, ვინაიდან ასეთი წარმომადგენლობა საქართველოს პარლამენტში არ ასახავს ქართულ რეალობას. საპარლამენტო წარმომადგენლობამ ზუსტად უნდა ასახოს ქვეყანაში არსებული რეალობა.

პოლიტიკოსის შეფასებით, აგვისტოს მოვლენებს არავითარი თვისებრივი ცვლილება ქართულ პოლიტიკურ ელიტაში არ გამოუწვევია. პოლიტიკურ მდგომარეობაზე ომმა შედეგის თვალსაზრისით უმძიმესი კვალი დატოვა. პოლიტიკური შედეგი იყო ის, რომ ერთიან იურისდიქციაში მყოფი საქართველოს ორი სეპარატისტული რეგიონი, პრაქტიკულად იურიდიულად გაფორმდა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო და ერთიან ქართულ პოლიტიკურ სივრცეში გაჩნდა სამი სახელმწიფო. ამის მიუხედავად, ქართულ პოლიტიკურ ელიტაში პარადოქსული ვითარებაა, თუმცა, რაიმე ტიპის ცვლილებაზე საუბარი რთულია.

ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი პოლიტიკოსი, 2010 წლის არჩევნების შედეგად იმ ჯგუფის გამოყოფას მიიჩნევს, რომელიც გამოვიდა როგორც ოპოზიციური პარტია არჩევნებზე (ძირითადად, დიპლომატები და ნაციონალური მოძრაობის აქტიური წევრები), მეორე ნაწილს კი, რომელიც

გამოიყო, ასევე აქტიურად უჭერდა მხარს ნაციონალური მოძრაობა, როგორც ფინანსურად, ასევე პოლიტიკურად (ქრისტიან-დემოკრატები). რეალურად ოპოზიციურ ძალებს - ლეიბორისტულ პარტიას, ეროვნულ ფორუმს და ბევრ სხვა ოპოზიციურ პარტიას ამ არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღიათ. ეს არჩევნები იყო პოლიტიკური ფარსი, რომელმაც შედეგად ის მოიტანა, რომ ქვეყანა ისევ ისეთ იდილიაში ცხოვრობს, როგორც ეს ერთპარტიული ხელისუფლების დროს არის ხოლმე.

რაც შეეხება მმართველ პოლიტიკურ ელიტას, პოლიტიკოსის შეფასებით, ის პასუხობს საერთაშორისო გამოწვევებს. მეტიც, მას აინტერესებს ამ გამოწვევებზე რეფლექსიები. ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების შეფასებისას, ოპოზიციონერი პოლიტიკოსი აცხადებს, რომ ეს უკანასკნელნი მძიმედ გამოიყურებიან. ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები უბრალოდ პერსონალურ, ჯგუფურ დასაყრდენებს ეძებენ უცხო ქვეყნების სხვადასხვა პოლიტიკურ ცენტრებში. ისინი არ რეაგირებენ თანამედროვე მსოფლიო გამოწვევებზე. ქართული პოლიტიკური ელიტები ისევ გასული საუკუნის 90-იან წლებში ცხოვრობენ; თვლიან, რომ რომელიმე პოლიტიკური ცენტრები მიიღებენ მათ ნაცვლად გადაწყვეტილებებს.

პოლიტიკოსის შეფასებით, ქართული პოლიტიკური ელიტა მხოლოდ მაშინ იქნება ადეკვატური და პასუხისმგებლობის მქონე, როცა შეძლებს საკუთარი ადგილის განსაზღვრას, გამოწვევებზე რეაგირებას და სირთულეებთან რეალურ გამკლავებას. ქვეყანას სჭირდება ახალი პოლიტიკური ელიტა და კლასი, რომელიც შეძლებს მიიღოს გამოწვევები როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. პოლიტიკური ელიტები უნდა ჩამოყალიბდნენ მსახურების პრინციპით და არა ძველი საბჭოთა მენტალური პრინციპით.

ოპოზიციური პოლიტიკური გუნდის წარმომადგენლის შეფასებით, აუცილებელია ყველაფერს საკუთარი სახელი დაერქვას და არ შეექმნას განსაკუთრებული პირობები კონკრეტულ ჯგუფებს. უცილებელია ძლიერი ოპოზიციური ძალების ჩამოყალიბება და ხელისუფლების ნებისმიერ ფასად შენარჩუნების ტრადიციაზე უარის თქმა, რადგან ეს მხოლოდ დეგრადაციას გამოიწვევს. ახალი იდეების წარმოშობა, გენერაცია ქართული პოლიტიკის განვითარების გარანტია. ახალი თაობების მიერ შეთავაზებული ახალი იდეები, დროის ადეკვატური ახალი სიტყვის გაჟღერება, მსოფლიო გამოწვევებზე

შესაბამისი რეაგირება და რეალიზმი არის ცვლილებისთვის აუცილებელი პირობა, რაც უცხოა ქართული პოლიტიკური სპექტრისთვის. უარი უნდა ეთქვას ქართულ პოლიტიკაში დამკვიდრებულ ტრადიციას ხელოვნურად დააჯგუფონ პოლიტიკური კლასები ოპოზიციად და მმართველებად. ცვლილებები თავისუფალი არჩევნების გზით, საქართველოს პარლამენტში რეალური წარმომადგენლობის შექმნით უნდა მოხდეს. არჩევნების გზით რეალობის შეცვლაზე უარის თქმა კი ქვეყანას ჭაობიდან გამოსვლის შანსს არ დაუტოვებს.

## ექსპერტები

გამოკითხულ ექსპერტთა თვალსაზრისით, ზოგადად პროცესი შეიძლება დავახასიათოთ, როგორც პოლიტიკური კრიზისი რომლიდანაც გამოსავალი არ იყო მოძებნილი და რომელიც დღემდე გრძელდება, ჯერ იყო 7 ნოემბერი, შემდეგ არჩევნები, შემდგომ ომი და ეს ყველაფერი ერთი კრიზისის ნაწილებად განიხილება. ქართული პოლიტიკური ელიტა, ვერც ერთი მხრიდან სამწუხაროდ ვერ პოულობს პასუხებს და გამოსავლებს ამ პოლიტიკური კრიზისისთვის, ანუ პასუხები კრიზისსზე ქართული პოლიტიკური ელიტისა იყო არა ადეკვატური, როგორც ერთი ასევე მეორე მხრიდან. ხელისუფლების მხრიდან პრინციპში პასუხი იყო ლეგიტიმაციის მოპოვება მილიტარიზაციითა და იმის ესკალაციით რასაც ქვია გარე მტერი და გარე მტერთან ბრძოლა, ასეთი ორიენტაცია ძალიან მკაფიოდ გამოჩნდა რაც დამახასიათებელია ჩვენნაირი ქვეყნებისთვის, მაგალითად რ. მანსვილის მიხედვით ომის გამომწვევ მიზეზებად სწორედ ასეთ ფაქტორებს ასახელებენ. რაც შეეხება ოპოზიციას და ოპოზიციურ ელიტებს, მათი სიტუაციასთან მიმართებაში არაადეკვატურობა გამოჩნდა განსაკუთრებით ომის შემდგომ პერიოდში, როდესაც ახალად შექმნილ რეალობებში ვერ შეცვალეს დისკურსი და ისევ გააგრძელეს ლაპარაკი დემოკრატიაზე, არჩევნებზე და მედიის თავისუფლებაზე მაშინ, როდესაც სულ სხვა

პრობლემებზე უნდა ესაუბრაოთ და სულ სხვა სტრატეგიები უნდა შეემუშავებინათ, ისინი ამისთვის მზად არ აღმოჩნდნენ.

თუ შიდა პოლიტიკურ მდგომარეობაზე ვისაუბრებთ, შეგვიძლია ვთქვათ რომ პოლიტიკური კრიზისი გრძელდება, რომ პოლიტიკური კრიზისიდან გამოსავალი მოძებნილი არ არის და ვერც იქნება იმიტომ, რომ წესით და რიგით ხელისუფლება რომელიც ომს აგებს უნდა წავიდეს. ეს ხელისუფლება კი არც ამაზე წამსვლელია და არც არაფრის დამთმობი. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ გარკვეულ წილად გამოუვალი მდგომარეობაა. აშკარად ჩანს პოლიტიკური ელიტა დაბნეულია, როგორც ერთი მხრიდან ასევე მეორე მხრიდან. არანაირი ნიშანი იმისა, რომ რაღაცას ეტყობა რეალური გადახალისება არ ჩანს. ხელისუფლება ცდილობს ფასადური დემოკრატიის გათამაშებას საპარლამენტო ოპოზიციასთან, ან ბოლომდე დაუახლოვდეს რუსული პოლიტიკური სისტემის ვარიანტს ე.ი პოლიტიკა ააწყოს ფასადური და მართვადი დემოკრატიის პრინციპებზე, ხოლო ოპოზიციას აქვს ორიენტაცია უფრო გარედან დახმარებაზე იმიტომ, რომ სრულიად რეალისტურად მიაჩნია რომ შიგნიდან ვერ შეცვლის ვერაფერს, მითუმეტეს იმ მილიარდების ფონზე რომელიც გარედან მოდის ხელისუფლების დახმარებით.

თვითონ პოლიტიკური ელიტების შეფასებისას, ექსპერტის აზრით, ხელისუფლების და ოპოზიციის ლიდერებს შორის დაინახავთ ერთ ძალიან თვალშისაცემ ფაქტს, რომ ძირითადად არიან ადამიანები რომლებმაც ინგლისური არ იციან მისი აზრით გლობალიზაციასთან მიმართებაში კარგი მახასიათებელია, იმიტომ რომ ოპოზიცია ძირითადად გამოხატავს იმ მოსახლეობის ინტერესებს და შეხედულებებს რომლებიც ვერ და არ არიან კარგად ინტეგრირებული გლობალურ პოლიტიკურ დინენებში და ამდენად განიცდიან დეპრივაციას, მარგინალიზაციას და საკუთარ თავს აღიქვამენ როგორც მეორე ხარისხოვან მოსახლეობას, რომელიც იჩაგრება და ვერ პოულობს თავის ადგილს ამ ახალ რეალობებში, ეს არ ნიშნავს გეოპოლიტიკურ ორიენტაციებს. ეს არის უფრო იდეოლოგიური დაყოფები რომლებიც არსებობს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის. რაც შეეხება საერთაშორისო გამოწვევებს, თუ ვგულისხმობთ რუსეთის ფაქტორს და კრემლის აგენტების ძიებას, ამის გათამაშებას ძალიან აქტიურად ცდილობს ხელისუფლება და ძალიან განსხვავებულია დამოკიდებულება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის სხვადასხვა საერთაშორისო მოთამაშეების მიმართ, იმ მხრივ რომ

ხელისუფლება ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად არის ორიენტირებული აშშ-ზე მით უფრო კონსერვატიულ წრეებზე აშშ-ში, რაც მათ სამხედრო რევანშის იმედს აძლევს როგორც ჩანს, ხოლო ოპოზიციაში უფრო შეიმჩნევა, თუმცა არა ძლიერად, ევროპისკენ გახედვები. ყოველშემთხვევაში აი ეს განწყობები ეხლა იზრდება. როგორც ჩანს ევროპა აშშ-სგან განსხვავებული მოთამაშეა, რისი შეგრძნებაც არ იყო დიდი ხნის განმავლობაში საზოგადოებაში, მიუხედავად იმისა, რომ ევროპული დროშები ყველგან ფრიალებს, ცხადი იყო ყოველთვის რომ ევროპასთან ინტეგრირირებისთვის ხელისუფლება სათანადო ნაბიჯებს არ დგამს.

ზოგადად საქართველოს ხელში დღესდღეობით არაფერი არ არის, ყველა საკითხი რომელიც წყდება საქართველოსთან მიმართებაში, წყდება არა საქართველოს დონეზე არამედ მის ფარგლებს გარეთ, მითუმეტეს ოპოზიციას არ შეუძლია დღესდღეობით რაიმე ზეგავლენა მოახდინოს ქვეყნის ბედზე და ქვეყნის მომავალზე, ხელისუფლების შესაძლებლობა კი მეტად შეზღუდულია. თუმცა რა საკვირველია ხელისუფლება შეუდარებლად უფრო კარგ პოზიციაშია პრობლემების გადასაწყვეტად, თუ არა სიტუაციის არევა მაინც შეუძლია. მაგალითად, როდესაც დონორთა კონფერენციის შემდეგ, როდესაც 4,5 მილიარდი თანხა გამოიყო საქართველოსთვის, დოკუმენტი ამ დონორთა კონფერენციისთვის მომზადდა ამერიკელების მიერ მსოფლიო ბანკთან მჭიდრო თანამშრომლობით და სხვა საერთაშორისო სტრუქტურებთან, ანუ სად და როგორ დაიხარჯოს ეს უზარმაზარი თანხა პრინციპში გადაწყვეტილია არა ჩვენი დემოკრატიული ინსტიტუტების მეშვეობით არამედ ჩვენი ინსტიტუტებისა და ანუ ფაქტიურად ჩვენი ზემოქმედების შესაძლებლობის გარეშე, რაც ნიშნავს იმას, რომ ეს არის მეტი ვიდრე ერთი წლის ბიჯეტი თუმცა სამ წელზე არის განაწილებული - ფაქტიურად რა არის მმართველობის კონტროლი, მმართველობის კონტროლი არის კონტროლი თანხების განაწილებაზე და განაწილებაზე, ეს დიდ წილად საერთაშორისო თანამეგობრობის ცხრილშია დიდ წილად მათ ხელშია ვინც წყვეტს, თუ რა როგორ დაიხარჯება საქართველოში, რომ აღარაფერი ვთქვათ სამშვიდობო მოლაპარაკებებსა და სხვა სტრატეგიულ საკითხებზე. ამდენად ვერანაირად ვერ ვიტყვით, რომ რამე შეუძლია დღეს ოპოზიციას და პოლიტიკურ ელიტას. ერთადერთი რაც პოლიტიკურ ელიტას უნდა შეეძლოს და რაშიც პოლიტიკურმა ელიტამ რაღაც მაინც უნდა გააკეთოს ეს არის ის, რომ პერსპექტივებისთვის უნდა ემზადოს,

პერსპექტივებისთვის, რაღაც საფუძვლები უნდა ჩაიყაროს რაც დღესდღეობით არ ჩანს, არ ჩანს რეალური ინოვაციები რომ როგორც ელიტა ასევე ოც წლიანი პერიოდი ჩვენი განვითარების 2008 წელს შეიძლება ითქვას რომ დამთავრდა, ანუ სადღაც განვითარების მომავალი პერიოდი ეს არის ახალი პერიოდი, რომელშიც შეიძლება ახალი ელიტებიც გამოჩნდნენ და შეიძლება ძველიც შენარჩუნდეს. ნებისმიერ შემთხვევაში რეალობები იქნება ძალიან განსხვავებული და სტრატეგიები და გამოწვევები უნდა იყოს სხვა, ვიდრე იყო აქამდე ეს არის ძალიან რთული ერთ თვეში და ორ თვეში გადაერთო ახალ რეალობებზე, უპასუხოთ ახალ გამოწვევებს და მოიქცეთ სიტუაციის შესაბამისად, სამწუხაროდ როგორც ჩანს ელიტას ამის რესურსი არ აქვს დღესდღეობით:

*“ამიტომ გარკვეული პერიოდი იქნება ისევ ასეთ ჩიხში ყოფნისა და გაყინული პოლიტიკური მდგომარეობისა, ანუ პოლიტიკა პოლიტიკის გარეშე და ვნახოთ მერე, თუ რამდენად გვექნება რესურსი და უნარი ამ ჩიხიდან გამოვიდეთ ახლებურად და არა ისევ ძველი შაბლონებით და სტერეოტიპების ჩარჩოებში დავრჩეთ”*

ე.ი ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი ელიტების ტრანსფორმაციაში და ფორმირებაში ეს არის ტელევიზიის ფაქტორი. როგორც წესი ელიტების რეპროდუცირება ეს არის პოლიტიკური პარტიების ფუნქცია, წესით და რიგით ნორმალურ პოლიტიკურ სისტემაში. საქართველოში ძირითადად ეს არის ტელევიზიის ფუნქცია, ანუ ვინც ჩნდება ტელევიზიაში ის ხდება პოლიტიკური ელიტა, სატელევიზიო არხი თამაშობს უფრო მნიშვნელოვან როლს, ვიდრე პოლიტიკური პარტია.

*“გარდა ნაციონალური მოძრაობისა, სადაც რასაკვირველია შიდა პოლიტიკური ბრძოლების საფუძველზე მოხდა გარკვეული შიდა პარტიული სტრატეგიკაცია, , მაგალითად ბოკერია ბუნებრივად წამოიწია წინ იმიტომ, რომ იმ შემადგენლობაშია, რომელიც ვარდების რევოლუციის შედეგად აღმოჩნდა პარლამენტში, “*

*“ბოკერიას და კიდევ ერთი-ორი ადამიანის გარდა ნაციონალურ მოძრაობაში პოლიტიკური აზროვნების და პოლიტიკური ლაპარაკის უნარიც კი არავის არ ქონდა”*



ელიტების ღიაობა / ჩაკეტილობა ისევ და ისევ ტელევიზიაზე არის დამოკიდებული, ერთეულები არიან პოლიტიკურ ელიტაში. დღეს საქართველოში ადამიანები რომლებიც აზროვნებენ პოლიტიკურად, როგორც ხელისუფლებაში ასევე ოპოზიციაში, თუ არიან პოლიტიკური პარტიის ლიდერები, ან მაღალჩინოსნები, ან ერთერთი თვალსაჩინო ფიგურა ეს არ ნიშნავს იმას რომ მას პოლიტიკური აზროვნება აქვს ანუ ე.წ ფენომენი ცნობადი ფიგურები, ეს არის ერთი ფენომენი კონკურენტული სისტემა ე.ი ეს არის რეალური პოლიტიკური სტრატეგიკაციის სისტემა, როცა ადამიანები რომლებიც პოლიტიკურად რაღაცას წარმოადგენენ, ამოდიან ზედაპირზე. ასეთი მექანიზმები ძალიან შეხლდულია, ანუ ზედაპირზე ამოდიან უფრო ის ადამიანები რომლებსაც წესით და რიგით პოლიტიკაში არაფერი არ ესაქმებათ.

ძირითადად ანალოგიური შეფასებები კეთდება რიგ საკითხებზე სხვადასხვა ექსპერტების მიერ, მაგალითად გამოკითხულთა შორის ყველა რესპონდენტი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენებმა განსაკუთრებით აგვისტოს ომმა ძალიან ბევრი რამ შეცვალა, პოლიტიკურ ელიტაში გაჩნდა სერიოზული ნაპრალი, რომელიც გამოწვეული იყო ძირითადად ჯგუფის განვითარებით. განვითარება ყოველთვის გულისხმობს რაღაც ჯგუფების შიგნით ტრანსფორმაციებს, რაღაც ჯგუფების ფორმირებებს, რაღაც გარიყული ჯგუფების არსებობას.

*ექსპერტი, პოლიტოლოგი: ამ შემთხვევაში გარიყული ჯგუფის როლში უვანიას სიკვდილის შემდეგ აღმოჩნდა ნ. ბურჯანაძე. მისი გარიყვა იყო დაკავშირებული ღრმა პროცესებთან, ჯერ კიდევ მისი და ნაციონალების შეერთების დროს იყო მათ შორის დაპირისპირება, ისინი კონკურენტი ჯგუფები იყვნენ. ყველაზე საინტერესოა ამ კონკურენტი ჯგუფების ჩამოყალიბების პროცესი იმიტომ რომ მ. სააკაშვილის მოხვლა პოლიტიკურ ელიტაში განაპირობა ზ. უვანიას გადაწყვეტილებამ ჩაესვა ის 1995 წელს სიაში.*

*“კარგად მახსოვს როგორ გამოჩნდა სააკაშვილი, აქტიური იყო საკმაოდ ემოციური, სასიამოვნო გარეგნობის, ბევრი თვისება ჰქონდა, რომელიც ქარიზმატულ ლიდერს შეიძლებოდა ჰქონოდა. ეს ყველაფერი კარგად იყო გათვალისწინებული და სააკაშვილი მოხვდა სიაში რომელიც მოქცავშირმა მაშინ წარმოადგინა. ე.წ. რეფორმატული ფრთის ფარგლებში. სააკაშვილი მოიაზრებოდა ერთ-ერთ სერიოზულ წევრად, სწორედ წევრად და არა რომელიმე*

თუნდაც პატარა ჯგუფის ლიდერად. სიის ფორმირების დროს სააკაშვილი არ მოიაზრებოდა პირველ ათეულში, ის მხოლოდ მერე გამოჩნდა როდესაც ფრაქციის ჩამოყალიბებაზე მიდგა საქმე. მოკლედ მან ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში მუშაობით გარკვეული ქულები დააგროვა, შემდეგ პარლამენტში ეს იყო მნიშვნელოვანი თემა და სააკაშვილიც კარგად გამოჩნდა. შემდეგ ის გახდა უმრავლესობის ლიდერი, იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე და ბურჯანაძე იყო მისი მოადგილე. ამ პერიოდიდან იწყება სააკაშვილის გარშემო ადამიანების შემოკრება, რომლებიც შემდგომ მისი გუნდის ყველაზე მნიშვნელოვანი წევრები გახდნენ. ასე რომ პოლიტიკური ელიტის ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა რა თქმა უნდა სააკაშვილია.”

ვარდების რევოლუციაში მ. სააკაშვილი ჩაერთო უკვე როგორც პოლიტიკური ელიტა. ხოლო პოლიტიკური ელიტა გახდა სწორედ მაშინ როცა ზ. ჟვანიამ ჩართო ის რეფორმატორთა ჯგუფში.

მთავარი ინტრიგა სწორედ იმაშია რომ ძირითადი ელიტა დაიშალა, ჟვანია-საკაშვილის გუნდებს შორის იყო გარკვეული დაპირისპირება, ამავე დროს ზ. ჟვანიას გუნდში არ მოიაზრებოდა ნ. ბურჯანაძე. მისი სიკვდილის შემდეგ ბევრი რამ გადაადგილდა, მაგრამ ახალი რეალობა წარმოიშვა ნ. ბურჯანაძის სახით, რომელსაც არ ჰქონდა რეალური ძალაუფლება და ბერკეტები. თუმცა მის გარშემო იკრიბებოდნენ ადამიანები, რომლებიც აიძულებდნენ მას მეტი მოეთხოვა საკუთარი თავისათვის. არჩევნების წინ იყო ასეთი დაპირება რომ თვითონ დააკომპლექტებდა ახალ პარლამენტს, ან ძირითად სიას მაგრამ ასე არ მოხდა. მანამდე მას ჰქონდა მცდელობა 7 ნოემბერს გამოეხატა თავისი აზრი, პირველად სერიოზული ოპონირება მ. სააკაშვილს გაუწია მან გირგვლიანის საქმეზე. იმ დროისთვის ნ. ბურჯანაძე ჩამოყალიბდა როგორც პოლიტიკური ელიტის ერთ-ერთი სერიოზული ნაწილი.

რა განაპირობებს ელიტის ჩამოყალიბებას, რას ჰქვია ელიტურობა პოლიტიკაში, ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. ამ სიტუაციაში ჩართული იყო ცირკულაციაც რეპროდუქციაც და ყველა სხვა მექანიზმიც.

2007 წლის მოვლენებმა განაპირობა სწორედ საპარლამენტო არჩევნებში ნ. ბურჯანაძის არ ყოფნა, რაც იყო ერთ-ერთი გენერალური მოვლენა. 7 ნოემბრის მოვლენების დროს მ. სააკაშვილის ხელისუფლების მხრიდან იყო მცდელობა

დაენახვებინა თავისი საზოგადოებისათვის, რომ ის ძლიერია და მზად არის იმისათვის რომ ნებისმიერი წინააღმდეგობა დათრგუნოს, იმიტომ რომ რეალურად 7 ნოემბრის დროს ძალის გამოყენება აუცილებელი არ იყო. თავისით დამთავრდებოდა ყველაფერი, როგორც მერე აპრილის დროს დაიშალა ხალხი თავისით. მაგრამ მათ მომზადებული ყავდათ ეს შეიარაღებული ხალხი და უნდოდათ გამოცდა ამ საშუალებების, თან უნდოდათ ეჩვენებინათ, რომ ჩვენ შეგვიძლია ამის გაკეთება. ეს იყო ძალიან დიდი შეცდომა და ეთიკურად აბსოლუტურად გაუმართლებელი რამ. ეს იყო დაშინების სერიოზული მცდელობა.

2008 წელს ოპოზიციის წარმომადგენლები რომ არ შევიდნენ პარლამენტში და დატოვეს თავისი მანდატები ეს იყო სერიოზული შეცდომა, იმიტომ რომ ეს მათ არაფერს არ აძლევდა, ჯობდა შესულიყვნენ.

დესპონდენტის აზრით, *“2008 წლის აგვისტოს მოვლენები სწორედ 2007 წ. 7ნოემბრის და 2008 წ. არჩევნების შედეგად მოხდა, იმიტომ რომ ეს იყო სააკაშვილის პროვოკაცია, მას ეგონა რომ კულახმეტოვი არ ჩაერეოდა ამ ამბავში, ასეთი რამ კი გამორიცხული იყო და მოხდა ის შედეგი რაც მიიღო. ამის შედეგად სააკაშვილმა რეალურად ხელში მისცა ოპოზიციურ პოლიტიკურ ელიტას მექანიზმები რომ მათ ძალიან სერიოზულად ემოქმედათ. თითქოს დაიწყო წინააღმდეგობა, მაგრამ რეალურად გამოვიდა ის რომ მათ ერთმანეთისკენ მიმართეს ეს ძალები, დაეტაკნენ ერთმანეთს, ვერ მოხდა კოორდინაცია. კოორდინაციის ვერ მოხერხებამ ხელისუფლებას მისცა ამოსუნთქვის საშუალება და მათაც ეს დიდი პოლიტიკური ცუნამი გადაავორეს”*.

ნაწილმა ადგილობრივ არჩევნებს უარი გამოუცხადა ეს არის ნ. ბურჯანაძის ფრთა. არჩევნებში მიიღო მონაწილეობა იმ პოლიტიკურმა ელიტამ რომელსაც ჰქონდა ა.შ.შ.-ს და დასავლეთის მხარდაჭერა. არჩევნების შემდეგ ისინი დაიშალნენ. მნიშვნელოვანი კი ის არის რომ ამის შემდეგ შეიძლება უფრო გამოდიფერენცირდეს და გამოკრისტალდეს ეს ელიტები, იმიტომ რომ მოხდა ძალიან სერიოზული დაშლა.

ექსპერტთა შეფასებებიდან გამომდინარე, სამომავლოდ ხელისუფლება იქნება დივერსიფიცირებული, ეს არ იქნება ერთ ხელში მოქცეული ერთ ძალად

წარმოდგენილი, როგორც ერთიანი ნაც. მოძრაობა და როგორც ეს იყო მოქ. კავშირი. დივერსიფიკაცია მოხდება და პოლიტიკური ელიტა უფრო მეტად იქნება დაბალანსებული.

მათი განცხადებით, გლობალურ პოლიტიკურ დინებებთან მოქმედი პოლიტიკური ელიტების მიმართება ჩამოყალიბებული და ნათელი არ არსებობს, არც მათ გეგმებში, არც მათ აქტივობებში და პუბლიკაციებში. სწორედ ამაში ხედავენ ექსპერტები ქართული პოლიტიკური ელიტის მნიშვნელოვან სისუსტეს რომ ის ჩამოყალიბებული არ არის.

ასევე მნიშვნელოვნად განიხილება საარჩევნო ტექნოლოგიები, რომლებიც 3 ტიპად იყოფა. ესენია პროფესიონალებისათვის, პოლიტიკურად აქტიური ჯგუფებისათვის და მოსახლეობისათვის. პიარ კამპანია რომ აიგოს ამ სიტუაციაში უნდა გქონდეს ეს სამი ტიპის პროგრამა.

“ცუდი რომ არის ამის თქმა არაფერს არ მოგვცემს, მთავარია ვთქვათ რატომაა ცუდი და რატომ იქნება ის სხვა უკეთესი, რომ მე აი ამას გავაკეთებ უკეთესად და პოლიტიკური ელიტა რომელიც ამას ვერ იტყვის, ის წარმატებას ვერ მიაღწევს.” (პოლიტ. ექსპერტი)

“ყოველთვის იქნება დაპირისპირება თუ პოლიტიკური ელიტა არ ჩამოყალიბდა. თუ რატომ არის მ. სააკაშვილი ცუდი და რატომ ვიქნები მე კარგი უნდა იყოს ნათლად წარმოდგენილი, (თავი დავანებოთ იმას რომ ამის შემდეგ საჭიროა ფინანსები და ორგანიზაციული რესურსი) იდეოლოგიურად 3 რამ განსაზღვრავს არჩევნებში გამარჯვებას ეს არის : იდეოლოგია, მტრის ხატი და შემდეგ რესურსები რომლებსაც შენ მართავ.”

აღნიშნული რესპონდენტის დასვნით, ელიტებს პოლიტიკურ იდეოლოგია არ აქვთ, მტრის ხატი ყავთ პოლიტიკურ ელიტებს, რომლებიც ებრძვიან დღეს ხელისუფლებას, ხოლო რესურსებს იშოვნიან როგორც კი იდეოლოგია იქნება ჩამოყალიბებული. როგორც კი იდეოლოგია ჩამოყალიბდება სხა დანარჩენიც დალაგდება. “იდეოლოგიის გარეშე ფული რომც ჰქონდეთ ვერაფერს ვერ მიაღწევენ. იდეოლოგია კი გულისხმობს იმას, თუ რატომ არის ეს ცუდი და რითი შევცვლი მე მას და რატომ იქნება ის უფრო უკეთესი.”

პოლიტოლოგი, ექსპერტი:

*“თავიდანვე მინდა აღვნიშნო, რომ ქართული პოლიტიკური ელიტა გარკვეულად პირობითი ცნებაა. ქვეყანაში, რომელსაც არ ჰქონია სახელმწიფოებრიობა, პოლიტიკური კულტურა საკმაოდ დაბალ დონეზე იყო, აქ პოლიტიკური ელიტის წარმოშობას და განვითარებას ათწლეულები სჭირდება. ამიტომ მიმაჩნია რომ ქართული პოლიტიკური ელიტა არის არაკლასიკური გაგებით პოლიტიკური ელიტა. რასაც ჩვენ პოლიტიკურ ელიტას ვუწოდებთ ხშირად გაიგივებულია მმართველ გუნდთან, რეალურად ეს ასე არაა, პოლიტიკურ ელიტას მიეკუთვნება ოპოზიციური პარტიები და საზოგადოების გარკვეული ნაწილიც, მაგ. ჩვენი საზოგადოების თეატრისა და კინოს ცნობილი სახეები, რომლებიც ძალიან გამოკვეთილები არიან, შეიძლება პოლიტიკურ ელიტად მოვიხაროთ.”*

“სახელმწიფო მაშინ არის სახელმწიფო, სადაც ხელისუფლება იცვლება არჩევნების გზით, მმართველი გუნდი აღიარებს თავის დამარცხებას და არ იშლება, აგრძელებს თავის პოლიტიკურ მოღვაწეობას. შემდგარ სახელმწიფოდ შეიძლება მივიჩნიოთ ის სახელმწიფო სადაც სათავეში მოდის წინა არჩევნებში დამარცხებული პარტია.” საქართველოში ეს ალბათ შორეული პერსპექტივაა. რატრანსფორმაცია მოხდა რევოლუციის შემდეგ: ერთ პოლიტიკურ ელიტად ჩავთვალოთ მაშინდელი ხელისუფლება (მოქ. კავშირი), რევოლუციის შემდეგ იმ პარლამენტმა გააგრძელა მუშაობა რამდენიმე თვე, მაგრამ ახალმა ძალამ რომელიც ჯერ არ იყო არჩეული, ფაქტიურად მიაღებინა მათ ის კანონები რომელიც თვითონ უნდოდათ, ეს იმით აიხსნება, რომ იმ პოლიტიკურ ელიტას ჰქონდა იმედი რომ დარჩებოდა, ან შეერწყმებოდა ახალ პოლიტიკურ ელიტას. რაც შეეხება ოპოზიციურ ძალებს, ნაწილი შეუერთდა რევოლუციას, ხოლო ნაწილი არა და რადაცნაირად იზოლაციაში დარჩა, შემდგომ კი დაუპირისპირდა ხელისუფლებას. სახელისუფლებო ელიტის ტრანსფორმაცია მაინც მოხდა რევოლუციის შემდეგ, რევოლუციას კი ყოველთვის მოსდევს ის ფენები რომლებიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ მასში და მანამდე შეიძლება არც წარმოადგენდნენ სერიოზულ პოლიტიკურ ძალას. ასეთ შემთხვევაში ისინი მოითხოვენ გარკვეულ ადგილებს, რადგან აქტიური მონაწილეობა მიიღეს რევოლუციაში და თუ მათი მოთხოვნა ვერ შესრულდა ისინი გადადიან ოპოზიციაში. ნათელი მაგალითი გვაქვს რევოლუციის შემდეგ უკვე მალევე

დაიწყო გასვლა სახელისუფლებო ელიტიდან და ოპოზიციაში გადასვლა, უმრავლეს შემთხვევაში მიზეზს წარმოადგენდა მათი პირადი განაწილება, ვინაიდან ასე ვთქვათ მათ ვერ მიიღეს ის რაც ეკუთვნოდათ. გამონაკლისები იყო, მაგალითად რესპუბლიკელები, რომლებიც იდეოლოგიურად ვერ შეთავსდნენ ნაც. მოძრაობის მიერ გატარებულ პოლიტიკასთან. პირად წყენაზე დამყარებული ტრანსფორმაცია არის დაბალი კულტურის მანქანებელი.

ჩვენი პოლიტიკური ელიტა, როგორც სახელისუფლებო ისე ოპოზიციური ჩაკეტილია. ისინი თითქოს “მასმედიაზე თამაშობენ” რომ ხშირად გამოჩნდნენ, ხოლო საქმე და სიმყარე რომელზეც მუდმივად უნდა მიდიოდეს მუშაობა ეს არ არის. ცირკულაცია მაინც ხდება. ყოველშემთხვევაში მე ასე ვთვლი

*რომ კლასიკური გაგებით პოლიტიკური პარტიები საქარდველოში არ არის, ისინი უფრო საძმოებს წააგავს და ძალიან პერსონიპიცირებულია.*

2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენები ეს ის მოვლენებია, რომელიც თვითონ ხელისუფლებამ აღიარა რომ შეცდომა იყო და არ უნდა მომხდარიყო. მთავარი შეცდომა იყო მოშიმშილეების დაშლა. ამის შემდეგ ხელისუფლებას ცოტა არჩევანი დარჩა თუ რა უნდა გაეკეთებინა. ხელისუფლების ამ ქმედებისადმი პროტესტის ნიშნად რაღაც გარკვეულმა ნაწილმა ოპოზიციას დაუჭირა მხარი, თუმცა ასეთი შემთხვევები იყო ცოტა მაგ. ლევან მიქელაძემ მაშინ პროტესტის ნიშნად დატოვა თანამდებობა. რეალურად ამ მოვლენებმა გააძლიერა ოპოზიცია და შეასუსტა ხელისუფლება. ამიტომ აქ გამოსავალი იყო ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები.

ჩემი აზრით ოპოზიციამ ხელიდან გაუშვა ძალიან კარგი შესაძლებლობა, ჯერ ერთი პრეზიდენტობის კანდიდატის არჩევანი გააკეთეს არასწორად, რამაც თავისი გავლენა იქონია, ალბათ ჯობდა პოლიტიკურად უფრო ჩამოყალიბებული ფიგურა ყოფილიყო პრეზიდენტობის კანდიდატი (მაგ. დ. უსუფაშვილი).

საპარლამენტო არჩევნები საპრეზიდენტოსგან განსხვავებით უკვე მართლაც მოიგო ხელისუფლებამ, აქ მათ გაყალბება აღარ დაჭირვებით, ეს იყო უკვე მუშაობა, ამომრჩევლის ყიდვა, რაც ჩემი აზრით გამართლებულია, ეს არ არის უკანონო ქმედება, არც ერთ ქვეყანაში. მაგრამ ამ არჩევნების შემდეგ ბევრი ხელისუფლების წევრი წავიდა ოპოზიციაში განაწილებული ამა თუ იმ მიზეზის გამო. ნაწილმა კი რომელიც უფრო ადრე წავიდა ოპოზიციაში, სავარაუდოდ ჩათვალა რომ ოპოზიცია გაიმარჯვებდა და თავისი ადგილი წინასწარ დაიბევა მათ შორის. ამას ვერ დავაბრალებთ ირაკლი ალასანიას

რომელმაც შეგნებულად დატოვა თანამდებობა, თუმცა მისი ეს ნაბიჯიც შეიძლება იმის შედეგი იყოს, რომ მანაც ჩათვალა რომ მ. სააკაშვილს მოაკლდა დასავლეთის მხარდაჭერა, ხოლო თავად მას მეტად დაუჭერდნენ მხარს. ეს იყო აჩქარება მისი მხრიდან, რამაც საბოლოოდ არ გაამართლა. ნ. ბურჯანაძის ოპოზიციაში წასვლის მიზეზი იყო პირადი განაწყენება, მან ჩათვალა რომ არ დაუფასეს სათანადოდ ის დამსახურება რაც მას ჰქონდა ხელისუფლების წინაშე. დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას ზ. ნოლაიდელზეც და ი. ოქრუაშვილზეც. ასევე პირადი ამბიციების გამო ვერ მოხერხდა ოპოზიციის შეკვრა, რათა მიედწიათ გარკვეული მიზნისათვის.

პოლიტიკური პარტიების უმრავლესობამ აგვისტოს მოვლენების დროს შეწყვიტა გამოსვლები ხელისუფლების წინააღმდეგ, რადგან ომის პერიოდი იყო და ეს აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება იყო. 2008 წლის აგვისტოს ომში საქართველოს ხელისუფლების დადანაშაულება ეს ოპოზიციონერობა არ არის, ეს არის მტრობა ქვეყნის მიმართ. არც ერთი ქვეყანა არ მოითმენს იმას რაც ხდებოდა, ჩვენი მოსახლეობა იბომბებოდა იმ მიზნით რომ მომხდარიყო ის რაც მოხდა. საუბარია იმაზე რომ როცა იცი ესაა პროვიკაცია, რატომ ებმები მასში. ეს ომი იყო პროვოცირებული რუსეთის მიერ, საკამათოა უნდა გვესროლა თუ არა, მე პირადად მიმაჩნია, რომ როცა სხვა გამოსავალი არა გაქვს ეს უნდა გააკეთო. ასეთ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს ოკუპანტი ქვეყნის გვერდით დგომა და ამიტომ ნ. ბურჯანაძეს და ზ. ნოლაიდელს ოპოზიციის დიდი ნაწილი მხარს არ უჭერს, მათ გვერდით არ დგანან. მიმაჩნია რომ სწორი იყო, როდესაც ამ ომის გამო პოლიტიკური ელიტის დიდი ნაწილი არ დაუპირისპირდა ხელისუფლებას იმ დროს და შეინარჩუნა სწორი კურსი. ის რასაც ვლადიმერ პუტინი ელოდებოდა არ მოხდა.

აღვილობრივ არჩევნებში უკვე წინასწარ დიდი უპირატესობა ჰქონდა ხელისუფლებას. მაინც მცირეა მოსახლეობის ის ნაწილი ვისაც იმდენად ეჯავრება მ. სააკაშვილი, რომ ოღონდ არ იყოს ის და სხვა ვინც გინდა ის იყოს, დიდი ნაწილი უკმაყოფილოა, მაგრამ ფიქრობს, კი ესენი არ ვარგანან მაგრამ ვინ უნდა მოვიდეს სხვა. ეს ნიშნავს რომ ოპოზიციამ ვერ დაანახა თავის თავი იმ ძალად რომელსაც მოსახლეობამ მხარი უნდა დაუჭიროს.”

ექსპერტთა უმრავლესობის აზრით, 2010 წლის არჩევნების შემდეგ სახელისუფლებო პოზიცია გამყარდა, ხოლო ოპოზიციის დასუსტდა. ხოლო რაც

შეეხება დანარჩენ მსოფლიოსთან მიმართებას, მათი აზრით ქართულ პოლიტიკურ ელიტასთან საკმაოდ არალერევანტურია ამ თემის განხილვა:

*ექსპერტი, პოლიტოლოგი:*

*“ჩემი აზრით ჩვენს პოლიტიკურ ელიტებს არ სცალიათ გლობალური გამოწვევებისათვის. მსოფლიოს აწუხებს: მსოფლიო კრიზისი, ეკოლოგიური პრობლემები, არალეგალური მიგრაცია, საქართველო ამ ყველაფერს თითქოს მოწყვეტილია, ჩვენთვის ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენ ყველაფერს მაინც შიდა პრობლემებს ვუკავშირებთ.”*

ქართული საზოგადოებისათვის მთავარ პრობლემად განიხილება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, მაგრამ ეს მთელ მსოფლიოს ნაკლებად აწუხებს. მათ გვითხრეს, ჩვენ არ ვაღიარებთ იმ ტერიტორიებს ეხლა დაელოდეთ იმ დროს როცა შესაძლებელი იქნება მათი დაბრუნება. რაღაცნაირად უნდა აღვადგინოთ რუსეთთან ურთიერთობა, ამით დასავლეთიც კმაყოფილი დარჩება და ჩვენც საქმე გაგვიკეთდება.

უკვე აღვნიშნე რომ პოლიტიკური ელიტები აქ ისეთი ჩამოყალიბებული არ არის როგორც დასავლეთშია, მაგრამ ამას სჭირდება დრო და ძნელად, მაგრამ მაინც ჩამოყალიბდება საბოლოოდ.

პოლიტიკური ვითარება ჩემი აზრით საქართველოში ისეთია, რომ რევოლუციებმა და ქუჩის აქციებმა თავისი დრო დაამთავრეს. გამონაკლისი იქნებოდა ის თუ იქნებოდა გამოსვლები ეკონომიკური კრიზისის გამო, ე.წ. მშვიერი აქციები (მასიური გამოსვლები), თუმცა საქართველოში სოციალური მიზეზების გამო ფართო მასშტაბიან აქციებს არც ჰქონია ადგილი, მიზეზი ყოველთვის სხვა რამ არის ხოლმე.



## შეჯამება დასკვნები

ჩატარებული ინტერვიუების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთი პოზიტიურად აფასებს ვარდების რევოლუციას და ქართული ელიტის პოსტ-რევოლუციურ ტრანსფორმაციას, აგრეთვე მმართველი ახალი ელიტის ოპტიმისტური ხედვისა, ცალსახაა, რომ კვლავ არსებობს უამრავი პრობლემა ქვეყანაში ახალი ელიტის პოლიტიკის ფორმირების თვალსაზრისით. არჩეული ახალი პოლიტიკური კურსის მიუხედავად, მმართველი ელიტის შემადგენლობა უშუალოდ რევოლუციის შემდეგ ფაქტიურად არ შეცვლილა. პოლიტიკას ახორციელებენ შვეარდნაძის მმართველობის პერიოდის ყველაზე აქტიური პოლიტიკოსები. პრეზიდენტ შვეარდნაძის გარდა, ძველმა ელიტამ - მისმა ოჯახმა, ახლო “გარემოცვამ”, ძველი კომუნისტური ნომენკლატურის წარმომადგენლებმა და ზოგიერთმა კორუმპირებულმა ბიუროკრატმა მოახერხა რეპროდუცირება და ვარდების რევოლუციის გზით ხელისუფლებაში მოსვლა. ახალი სახეები, რომლებიც “მიიღეს” მმართველ ელიტაში არიან არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, საზოგადოებრივი ფიგურები და ახალი კადრები ახალგაზრდა მხარდამჭერები. ოპოზიციური ძალებიც ძირითადად ძველი რეჟიმიდან მოვიდნენ. მმართველი ელიტის მიღმა აღმოჩნდნენ ისინი, ვისაც საზოგადოებაში დაბალი რეიტინგი ქონდა, რადგან მონაწილეობდნენ რევოლუციამდე ჩატარებული არჩევნების გაყალბებაში და ძველი სისტემის კონფორმისტები იყვნენ. ოპოზიციონერთა მეორე ჯგუფი დაკომპლექტდა იმ ადამიანებისგან, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს რევოლუციაში და შემდეგ იმედები გაუცრუვდათ შემდგომში შექმნილი ვითარებისა და მმართველი ელიტის გამო. ასეთი ძირითადად არიან არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და სხვა საზოგადოებრივი ფიგურები. ყველაზე მეტად კრიტიკის საგანს წარმოადგენს მ. სააკაშვილის რეჟიმის ავტორიტარიზმი და მოჭარბებული თვითდაჯერებულობა მმართველი გუნდის ხედვების და ქმედებების მიმართ. ამასთანავე მთავრობის წევრთა უმრავლესობის მიმართ გაჟღერებული კრიტიკის მთავარ საგანს წარმოადგენს ანგარიშვალდებულების დაბალი მაჩვენებელი და მმართველი ელიტის საეჭვო ქსელებში და ბიზნეს ინტერესტა ჯგუფებში ჩართულობა.

პოლიტიკური ელიტის ცვლილების დინამიკა გვიჩვენებს, რომ საბჭოთა კავშირის დროიდან დღემდე ხდებოდა ელიტის რეპროდუცირება. ელიტებს აქვთ უნარი მოერგონ ახალ ვითარებას, პოლიტიკური კურსის ცვლილებისა და ქსელების წარმოქმნის გზით დარჩნენ მთავრობისა და ძალაუფლების სათავეში.

მას შემდეგ რაც საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა, ქვეყანაში ადგილი ქონდა პოლიტიკურ კოლაფსებსა და არეულობებს: საბჭოთა კავშირის დაშლა, შეიარაღებული გადატრიალება, რომელსაც მოჰყვა ზ. გამსახურდიას საპრეზიდენტო მმართველობის დასრულება და ე. შვეარდნაძის ძალაუფლების დაბრუნება, ვარდების რევოლუცია და არჩევნები - რომლებსაც მოყვა ოპოზიციური ძალების ხელისუფლებაში მოსვლა. აღნიშნულმა რყევებმა პოლიტიკაში ვერ შეძლეს ძველი ელიტის ახალი ელიტით შეცვლა. როგორც აღვნიშნეთ, ე. შვეარდნაძე იყო ძველი ნომეკლატურის ერთ-ერთი ლიდერი საბჭოთა პერიოდში და დამოუკიდებლობის პირველ წლებში ელიტაში მოვიდნენ ძველი ნომენკლატურის, ყოფილი “კომსომოლის” წევრები. როგორც ჯეიმს შერმა განაცხადა:

“კაპიტალიზმისა” და “საბაზრო ეკონომიკის რეფორმის” პოსტკომუნისტური სლოგანების მიღმა, ამ ქსელებმა გარდაქმნეს ბიუროკრატიული ძალაუფლება ფინანსურ ძალაუფლებად და მოახდინეს არა მხოლოდ ეკონომიკის, არამედ თავად სახელმწიფოს “პრივატიზაცია”.

რაც შეეხება საქართველოს განვითარებას ვარდების რევოლუციის შემდეგ კვლავ პრობლემა დგას დღის წესრიგში მმართველ ელიტასთან დაკავშირებით, რომელიც ძირითადად შედგება ძველი ელიტის წევრებისგან, რომლებიც მოდიან ავტორიტარული რეჟიმიდან და აყალიბებენ ახალ კლანურ ქსელებს. ახალი ელიტის ბევრი მოქმედება მოგვაგონებს ძველ ელიტას. მიუხედავად მოსახლეობის გარკვეული მხარდაჭერისა ბევრ ადამიანს უკვე გაუცრუვდა იმედები, რომლებიც ქონდა პოსტ-რევოლუციურ პერიოდში. ერთ-ერთმა დასავლელმა ჟურნალისტმა განაცხადა: “მე ვარ ვარდების რევოლუციის “ფანი” და ვეცდები ჩემი რეაქცია გამოვხატო მ. სააკაშვილის მთავრობის დაცვით, მაგრამ ეს დაცვა მოხდება, იმ შემთხვევაში თუ რევოლუციის იდეალები თანხვედრაში იქნება მთავრობის ქმედებებთან. დღესდღეობით კი

არსებობს ღრმა ნაპრაღი მათ შორის. სიტყვები ჯერ არ გადაქცეულა კონკრეტულ ქმედებებად.”<sup>11</sup>

დასკენის სახით შეიძლება ითქვას, რომ ელიტათა თეორია ყველაზე ახლოს დგას რეალობასთან და გამოსატავს იმ სიტუაციას რაც დღეს არსებობს დემოკრატიულ, თუ გარდამავალ პროცესში მყოფ ქვეყნებში მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რეალურად მართავს და მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს იღებს საზოგადოების უმცირესობა, ხელისუფლებაში მყოფი ელიტა, ასეთი ვითარებაა “ძველი დემოკრატიების” დასავლურ ქვეყნებშიც და საქართველოშიც თუმცა, კვლევამ აჩვენა, რომ ამ ელიტების პოლიტიკური კულტურა და ღირებულებები ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავდება. საქართველოს პოლიტიკური ელიტის შემთხვევაში ყველაზე რელევანტური ელიტების რეპროდუცირების თეორია, მაშინ როდესაც აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებს ელიტების ცირკულაციის თეორია უფრო მიესადაგება. ამასთან, ძალიან მცირე და უმნიშვნელო პოზიტიურ ძვრებზე საუბარი ალბათ მაინც შეიძლება ქართულ საზოგადოებაში პოლიტიკური კულტურისა და დემოკრატიული ღირებულებების დანერგვასთან მიმართებაში, თუმცა ცხადია ამას წლები ჭირდება და იმედს ვიტოვებთ ქართული ელიტები შეძლებენ სწორი მიმართულებით განვითარებასა და ჩამოყალიბებას და შეძლებენ ქართული საზოგადოების გაძლიერებას კეთილდღეობისა და განვითარების გზით. ქვეყნის რეალურად დემოკრატიულ რელსებზე დაყენებას.

---

<sup>11</sup> Robert Mayer – *Eurasia Daily Monitor*, 19/9/2005

## დანართები

### დანართი 1

#### ქართული პოლიტიკური ელიტის ფორმაცია

(2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენების და 2008 წლის არჩევნების შემდგომ)  
კითხვარი ექსპერტული გამოკითხვისთვის და რესპონდენტთა სია:

1) როგორ დაახასიათებდით უახლესი ქართული პოლიტიკური ელიტის ტრანსფორმაციებს “ვარდების რევოლუციიდან” მოყოლებული დღევანდელობამდე? (წარმოშობა, ღიაობა/ჩაკეტილობა, მობილობა...)? განვითარების და ცვლის რომელ მექანიზმებს გამოყოფდით ამ ელიტის ფორმაციაში (ცირკულაცია, რეპროდუქცია ...)?

2) როგორ გაანალიზებდით 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენების და 2008 წლის საპრეზიდენტო/საპარლამენტო არჩევნების შედეგად შექმნილი ახალი რეალობის განვითარების პროცესს და ცვლილებებს ქართულ პოლიტიკურ ელიტაში?

3) რა გავლენა იქონია 2008 წლის აგვისტოში განვითარებულმა საომარმა მოვლენებმა ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობაზე და მის პოლიტიკურ ელიტაზე?

4) როგორ შეაფასებდით 2010 წლის ადგილობრივი არჩევნების შედეგებს და მნიშვნელობას პოლიტიკური ელიტისთვის და ზოგადად ქვეყნისთვის

5) როგორია საქართველოში მოქმედი პოლიტიკური ელიტების მიმართება გლობალურ “პოლიტიკურ დინებებთან”? როგორ პასუხობენ ისინი საქართველოს გარშემო არსებულ საერთაშორისო გამოწვევებს?

6) ქართული პოლიტიკური ელიტისა და პოლიტიკური ვითარების პერსპექტივა თქვენეული თვალთახედვით

**რესპოდენტთა სია 2006-2008 და 2010-2011 წწ.**

**1) პოლიტიკოსები:**

ა) სახელისუფლებო:

დავით დარჩიაშვილი

პავლე კუბლაშვილი

ბ) ოპოზიცია, საპარლამენტო:

გიორგი თარგამაძე

გიორგი ცაგარეიშვილი

ზურაბ ბიგვავა

ირაკლი მელაშვილი

გ) ოპოზიცია, არასაპარლამენტო:

დავით გამყრელიძე,

სალომე ზურაბიშვილი,

დავით უსუფაშვილი

ნესტან კირთაძე

კახა კუკავა

დავით გამყრელიძე

## 2) ექსპერტები:

რამაზ კლიმიაშვილი

ალექსანდრე რონდელი

მარინა მუსხელიშვილი

გია ნოდია

ემზარ ჯგერენაია

ლევან თარხნიშვილი

ზურაბ დავითაშვილი

## დანართი 2

### ქართული პოლიტიკური ელიტის ფორმაცია

(2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდგომ)

კითხვარი ექსპერტული გამოკითხვისთვის და რესპონდენტთა სია:

აღნიშნული კვლევის ნაწილი შესრულებულია ინგლისურ ენაზე 2006 წელს

რესპოდენტთა სია 2003-2006წწ.

<i>Experts</i>		
#1	Sociologist., Independent Political Expert	
#2	Political Scientist, Independent Political Expert	
#3	Economist, independent Political Expert	
<i>NGO leaders</i>		
#4	Youth Non Governmental Organization leader	
#5	Non Governmental Organization leader, Jurist	
<i>Politicians</i>		
#6	MP, Majority party representative, Jurist	
#7	MP, Majority party representative, Former NGO leader	
#8	MP, Majority party representative, Jurist	
#9	MP, ‘Right Opposition‘ party (New Rights), pedagogue	
#10	Oppositional party ‘New Rights’, former MP by 2003 list	
#11	MP, ‘Democratic Front’ fraction, ‘Conservatives’ Jurist	
#12	MP ‘Democratic Front’ fraction, ‘Republicans’, Historian	

## გზამკვლევი

<p><u>To the Political Elite group representatives:</u></p>
<p>1) Career path - Please, tell how you came to the politics and current position, your career path.</p>
<p>2) Educational background - Please tell about your educational background and path.</p>
<p>3) What do you think about new and old elites in Georgian politics? Do you see real changes? Any similarities? Connections? (no strict frames, free talk, with emerging questions directed to the point of connection between old and new elites according to the development of the interview )</p>
<p>4) What do you think about causes and effects of the rose Revolution for the ruling elites? [This question was also asked separately to the experts when this issue was not discussed within asked questions]</p>
<p><u>To the Experts and NGO Representatives</u></p>
<p>1) What do you think about new and old elites in Georgian politics? Do you see real changes? Any similarities? Connections? (No strict frames, free talk, with emerging questions directed to the point of connection between old and new elites according to the development of the interview) [The same question as for members of elite group]</p>
<p>2) Please characterize the situation after the state socialism till today in terms of elite transformation, and policy making. (Longer interviews)</p>



--

### დანართი 3

#### ქართული ელიტის ფორმაცია

კითხვარი ექსპერტული გამოკითხვისთვის და რესპონდენტთა სია:

რესპოდენტთა სია 2003-2006წწ.

№	ექსპერტები	რომელ ორგანიზაციას წარმოადგენს	სფერო
1.	გია ნოდია	არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი,	პოლიტოლოგი
2.	მარინე მუსხელიშვილი	არასამთავრობო ორგანიზაციის წევრი, უნივერსიტეტის ლექტორი,	პოლიტოლოგი
3.	გია ჟორჟოლიანი	არასამთავრობო ორგანიზაციის წევრი, უნივერსიტეტის ლექტორი,	პოლიტოლოგი
4.	მალხაზ მაცაბერიძე	გაზეთ “მთავარი გაზეთის” რედაქტორი, უნივერსიტეტის ლექტორი, პროფესორი	პოლიტოლოგი
5.			
6.	ამირან ბერძენიშვილი	უნივერსიტეტის ლექტორი, სოციოლოგიის კათედრა	სოციოლოგი
7.	მარინე ჩიტაშვილი	ღია საზოგადოება საქართველოს ფონდი	
8.	გურამ თევზაძე	საქართველოს მეცნიერებათა აკადემია	ფილოსოფოსი
9.	ნიკოლოზ ორველაშვილი		

10.	დავით უსუფაშვილი	არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი,	იურისტი
11.	რამაზ საყვარელიძე		სოციოლოგი
12.	ირაკლი ბათიაშვილი		
13.	ემზარ ჯგერენაია		
14.	ომარ გოგიაშვილი	უნივერსიტეტის ლექტორი, პოლიტოლოგიის კათედრა	პოლიტოლოგი
15.	ზაზა ფირალიშვილი		
16.	გაბა ნიჟარაძე		
17.	გონა ცქიტიშვილი	კვლევითი ორგანიზაცია “აი პი ემ” ჯგუფი	სოციოლოგი
18.			
19.	ზურაბ ბიგვავა		ფსიქოლოგი
20.	კახა კაციტაძე		
21.	ქეთი როსტიაშვილი		პოლიტოლოგი

## ცხრილი №2

	გზამკვლევი
1.	არის თუ არა ქართული სოციუმი მკაფიოდ სტრატეფიცირებული; რომელ სტრატეგებს გამოყოფდით და სტრატეფიკაციის რომელი კრიტერიუმების გამოყენება შეიძლება ქართული სოციუმის ანალიზისას?
2.	არსებობს თუ არა ქართულ სინამდვილეში ელიტები და სად ვეძიოთ ისინი, რომელ სფეროში ჩანს ელიტიზმი ყველაზე მკაფიოდ?
3.	რამდენად ჩამოყალიბებულია (ინსტიტუციონალიზებულია) ეს ელიტები, ანუ ფუნქციონირებენ თუ არა ისინი სოციალურად რეგულირებადი ნორმების, სტატუსებისა და როლების საფუძველზე?
4.	რამდენად ღია ან ჩაკეტილია საქართველოში არსებული ელიტები? ექვემდებარება თუ არა ისინი სოციალურ მობილობას?
5.	რომელია, ყველაზე მეტად, რეალური ძალაუფლების მქონე ელიტები, რომელს

	გაანხია ყველაზე დიდი გავლენა საზოგადოებაზე? რამდენად არის შესაძლებელი ელიტების რანჟირება ძალაუფლების ხარისხის მიხედვით? შესაძლებელია თუ არა მიუთითოთ ამა თუ იმ ელიტის გავლენის ჯგუფებზე (სუბიექტებზე) ქართულ საზოგადოებაში?
6.	რა უწყობს ხელს ელიტების ჩამოყალიბებას (მედია, ტრადიციები და სხვ.)? რომელ ხელისშემწეობ ფაქტორებს გამოყოფდით ამ თვალსაზრისით?
7.	რა განსხვავებაა ელიტათა ჩამოყალიბების მექანიზმებს შორის დემოკრატიულ და არადემოკრატიულ საზოგადოებებში?

#### დანართი 4

მასალები შესაბამისი დეტალური ინფორმაციისთვის (ინფორმაციის წყარო ორიგინალში - ინგლისურ ენაზე)

a) Material from the journalist investigation on Shevardnadze's network

<p><u>Shevardnadze's family – Georgian 'Meddici' of 20<sup>th</sup> century:</u></p> <p>'Patron-client' relations, 'make up informal networks that are the result and vehicle for vertical corruption, i.e. corruption within the branches of the state encompassing various administrative levels. Personal loyalties are the basis for such networks, illustrated, for example, by the preference given to friends and family over competent candidates when allocating professional positions. The general tendency to ascribe power to persons rather than office holders has helped to keep a limited number of families/clans in key positions per branch of state (ministry) and region'. The objective of the family or clan is profit, the establishment of political networks cutting across state agencies means eliminating investigations and enabling co-ordination among family and clan activities.</p> <p>The dominant position of the family members and close relatives of Shevardnadze in the shadow economy was well known before the 'Rose Revolution' and more comes to light after it. In one high-profile case, Sulkhan Molashvili, a Chief Auditor in the Shevardnadze government,</p>
--

was held in detention, and prosecutors say that he profited from corruption and significantly assisted corrupt practices for the Shevardnadze family; critics say his treatment is part of an old feud with President Saakashvili, who served as Justice Minister under Shevardnadze for a time. Within the family group, the several subgroups developed. The father-in-law Shevardnadze's son Paata, Guram Akhvlediani, was the Chairman of the Chamber of Commerce and the leader of the most influential of the subgroups – the 'clan Akhvlediani'. This subgroup developed business interests in mineral oil and aircraft. It also controlled the port of Poti. According to some, the law on the Chamber of Commerce passed by Parliament in 2002 was created specifically for the clan Akhvlediani. In general, this clan gave its activities a legitimate guise and consequently established its business on the decrees of the President. The leading position in telecommunications business was occupied by Shevardnadze's son-in-law, Gia Jokhtaberidze, leader of 'clan Jokhtaberidze'. This clan had interests in state property, in industrial giants such as Rustavi 'Nitrogen' and Zestafoni factory of non-ferrous metallurgy. Jokhtaberidze obtained contracts for the benefit of the Magti telecommunications company, unsurprising as the interests of the state were at that time "protected" by the Deputy Minister of Transport and Telecommunications Gia Kakuberi – a witness at

Jokhtaberidze's wedding. The third group is represented by Shevardnadze's nephew, Nugzar Shevardnadze. In the first half of 1990s, this group was the strongest clan, but its position weakened as the 'clan Akhvlediani' increased its control of the mineral oil business.

The 'clan Nugzar Shevardnadze' had a principal interest in the import of consumer goods. His relatives and friendly links testify to his influence: Kakha

Targamadze, Minister of Internal Affairs of Georgia in 1995-2001, was his friend and a witness at his wedding. His son-in-law Merab Tkeshelashvili (whose father Melor Tkeshelashvili remains an old representative of nomenklatura elite of Rustavi and a member of parliament) became mayor of Rustavi city, and this naturally gave Nugzar an opportunity to augment his interest in the large state enterprises existing in Rustavi. In the sphere of transport, the Shevardnadze's nephew, Avto Baramashvili, controlled ecological inspection on motor transport. His brother, Temur Baramashvili, held a high rank in the traffic police. Especially close relations between the Shevardnadze family and the

Chairman of Railway Department, Akaki Chkhaidze and the Chairman of the Road Fund Boris Salaridze assisted their interests. Members of the Shevardnadze family dominated the state's few 'big' businesses. As to the private sector and, especially, local manufacturing, businessmen of a non-nomenklatura origin appear, although their entry in politics has incrementally taken place. Levan Gachechiladze, the leading shareholder of the leader of manufacture of wine in Georgia,

GWS, and Gogi Topadze, the leading shareholder of beer manufacturer is company “Kazbegi” won seats in parliament in

1999. Gachechiladze is chairman of the New Right party, and Topadze is chairman of the political association “Industry Will Save Georgia” or the Industrialists—the sole political group to surmount the 7 per cent electoral barrier in the Parliamentary elections of March 2004.

\* This appendix is based on articles published in the newspaper New Version (releases N8, N37 and N38, by Givi Targamadze, a member of anticorruption council created by the President of Georgia. Taken from the article by Zurab Chiaberashvili and Gigi Tevzadze ‘Power Elites in Georgia’ [http://www.dcaf.ch/\\_docs/SSR\\_RRGeorgia/ChapterIX.pdf](http://www.dcaf.ch/_docs/SSR_RRGeorgia/ChapterIX.pdf). 2005

ð) – Material from the journalist investigation on Saakashvili’s network

Saakashvilis’s network – pattern of the new elite structure:

At the head of the Saakashvili team is the Okruashvili-Merabishvili-Bezhuashvili-Kemularia quartet. Former minister for justice, Kote Kemularia occupies the strategic post of secretary of state for national security. Like the Georgian head of diplomacy, Guela Bezhuashvili, he is in the closest team of Saakashvili. As for Irakli Okruashvili, the second-in-command of the government, he has a firm hold on the Defence portfolio. Described as charismatic and popular, he has softened his views, which were once considered radical. His political potential is clear. According to certain experts, he could even have a career on his own, without the backing of Saakashvili.

But the network of the president is not restricted to the executive powers. The picture would not be complete if we failed to mention one of his most heavyweight allies in the judicial sphere, public prosecutor Zurab Adeishvili, or even his pawns in the parliament. At 33 years of age, Giorgi Bokeria, MP belonging to the ruling party, vice-president of the parliamentary commission on judicial issues, is a valuable player in the shadows for Saakashvili’s government. Highly influential both inside and outside the

government, he has on his team MP David Kirkitadze and Maia Nadiradze, among others. Although he no longer plays a prominent role on the official political stage, Giorgi Bokeria, a former player from civil society from the Liberty Institute, is key to the government of Saakashvili, particularly when it comes to passing controversial or unpopular laws, even laws unpopular within the heart of government. The second key link in the Saakashvili network is Giorgi Arveladze. At the heart of the presidential administration, this former MP is a central character in Saakashvili's informal network.

\* This appendix is based on the article 'What has happened to Zhvania's followers?' By Célia Chauffour, Translated by Victoria Bryan [www.caucaz.com](http://www.caucaz.com) 06/03/2006

#### 8) – Background information on parliamentary elections 2004

##### Parliamentary Elections of 28 March 2004 – Outcome of the Rose Revolution:

Georgia's Central Election Commission has announced the results with all votes cast on March 28 counted. The count showed the Mikheil Saakashvili's National Movement-Democrats (NMD) in the lead with 67.02% of the votes cast and the Rightist Opposition bloc of two parties – New Rights and Industrialists – a distant second with 7.67%. Thus, out of 150 seats elected from the party lists the ruling bloc gained 135 and the opposition 15 seats. None of the other parties, including Aslan Abashidze's Revival Union, were able to cross the 7% threshold necessary to gain seats in the parliament. Importantly, the preliminary statements of the international observers evaluate the vote as a "step forward" towards free and fair elections. The vote count for the 75 single-mandate Constituency MPs elected in first-past-the-post districts on November 2 was allowed to stand. 19 of these MPs supported president Shevardnadze, while the National Movement-Democrats have 17 MPs, the Rightist Opposition 8, the opposition Labor Party 4, and Abashidze's Revival Union 6. As a result, the ruling coalition has 152 MPs and the Rightist Opposition 23. Hence, the NMD does not have a 'clear' constitutional majority of 157 votes (2/3 of the 235-member chamber plus one MP). Nonetheless, in practice the

ruling coalition is able to garner the constitutional majority, relying on those 19 Constituency MPs who supported the former president.

\* Appendix based on the article ‘Saakashvili Consolidates Power in Parliamentary Elections’ by Jaba Devdariani <http://www.cacianalyst.org/articles.php?SMSESSION=NO>  
April 07, 2004

⊗) The Rose Revolution, background information

Rose Revolution refers to a peaceful 2003 revolution in the country of Georgia that displaced president Eduard Shevardnadze.

